

Handwritten notes in red ink at the top right, including the number "2" and "11/10/60".

ԿՅՅՆՈ ՕՂՈՒԹՅՈՒՆ

Handwritten notes in black ink, including the number "10" and some illegible text.

10

Յ Մ Ո Ւ Ն Ո
1940

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენი თაობა

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური თბგანთ

12 798
21

10



სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი
1940 წელი. ოქტომბერი

შინაარსი

	გვ.
მხატვრული ლიტერატურა	
მარიკა ბარათაშვილი — გამიგონე	3
ლადო ასათიანი — კრწანისის ყაყაოები	4
კოტე ხიმშიაშვილი — ჯონქა ხორნაული	5
გიორგი ძიგვაშვილი — სახელი	16
გიორგი კალანდაძე — ბალტიის ზღვა დელვის დროს	17
ვლადიმერ სულაბერიძე — ჯავახეთის მთებზე	18
ოთარ ჩხეიძე — შეხვედრა	20
ვუიკა ფხოველი — მხატვარი პატიმარი	31
ანდრო ლომიძე — სიყვარული	32
ვასილ გოჩალიშვილი — გორის ღამე	36
ინგლისელი პოეტებიდან	
ჰერბერტ რიდ და უილიამ ბეტლერ აეიტს, თარგმანი ინგლისურიდან გივი გაჩეჩილა- ძისა	38
კლასიკური მემკვიდრეობა	
უილიამ შექსპირი — ორი სონეტი, თარგმანი ინგლისურიდან ალექსანდრე საჯაიასი	40
ედვარ ჰო — ანებელ ლი. თარგმანი ინგლი- სურიდან ალექსანდრე საჯაიასი	41
კრიტიკა	
შალვა გოჩალიშვილი — იაკობ გოგებაშვილი	43
იაკობ ბალახაშვილი — გრიბოედოვი საქართ- ველოში და ნინო ჭავჭავაძე	49
ვ. კაკაბაძე — აკაკი წერეთლის დაუბეჭდავი პოემა „ასი წლის ამბავი“	60

**სარედაქციო კოლეგია: ასტვანცატურგოვი ეკემია, გენაშვილი დი-
მიტრი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ბრიშაშვილი იოსებ, კლდიაშვი-
ლი სერგო, ძინაჩელი ლეო, უნგვლია დემან, ჩიქოვანი სიმონ.
პასუხისმგებელი მდივანი: ნიკოლოზ აბიაშვილი**

წარმოებას გადაეცა 28/X-40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდათ 3/XII-40 წ. ქალ. ზომა 72×108.
ჟურნალის ზომა 7×12. ფორმათა რაოდ. 4. შმ 4341. შეკვეთის № 1783. ტირაჟი 2000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, უორესის ქ. № 5.

მარიკა ბაკათაშვილი

გ ა მ ი ბ ო ნ ე

გამიგონე! ეს დღე ჩვენსკენ იჭარის,
ბედნიერი მობრძანება ვთხოვოთ!
ოქროს ღამეც, ალისფერი ცისკარიც
ჩვენ გვიცინის, ჩვენ გვიცინის მხოლოდ.

ეს გარემო... ყველაფერი ჩვენია,
დღეს ვერავის ვერ დავეუთმობთ, ვერა!
გაზაფხული ტოლად აგვიჩევიან,
შოგვესურვა ხმამაღალი მღერა.

ნუმც დღე ჩაჰქრეს, ნუმც მზემ დაიგვიანოს
და ჩვენც ასე ღიღი გრძნობით ვღელავდეთ!
ამ სავალზე მარად ერთად ვიაროთ,
ვავროვებდეთ ჯერ არნახულ ფერადებს.

ლადო ასათიანი

კრწანისის ყაყაღოები

სამასი არაგველის ხსოვნას

ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმადლარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.
შავჩოხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია!
ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაღების ცეცხლია?
შავჩოხიანო ვაჟებო, ასე რამ გაგახალისათ,
ჟრიალი ხომ არ მოგესმათ ოჟა ჯურხაის ფარისა!
სიმღერა ხომ არ მოგესმათ პატარა კახის ხმალისა?
იქნებ მე თვალი მატყუებს, ზეცა მამრმავებს კრიალა,
მაშინ თქვენ თვითონ აღსდექით და მარქვით ომახიანად:
თუ არც ყაყაღის ცეცხლია და არც ახალი იარა,
მა ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ ააბღლილა?...
ჰეი, თქვენ არაგველებო, გაუმადლარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.

ჯონა სორნაული

V.

იმედების საღამო

რასაკვირველია, გახამებულ საყელოს კაცი ორ დღეში ვერ მიეჩვევა. ცისფერ აბრეშუმის შუქფარისა და კუთხეში შავად მჭვინვარე როიალის დანახვამ ჯონქას უწინდური უხერხულობა მოაგონა და ხელი თვითონ წაუვიდა ყელსახვევის გასასწორებლად.

საბედნიეროდ ახლა სასტუმრო ოთახში არვინ იყო.

სანამ მანანა ტალანში პალტოს იხდიდა და თმებს ისწორებდა, ჯონქამ ფრთხილად გადააბიჯა კარის ზღურბლთან ხაფანგივით დაგებულ საფენს, — კარგად ახსოვდა იმდამინდელი გაკვეთილი, — ერთერთ სავარძელს მიუახლოვდა და საგულდაგულად მოიკალათა შიგ.

ახლა კოტახნით შეეძლო მშვიდად ყოფილიყო. ფაიფურის საფერფლე ყოველშემთხვევისთვის მაგიდის მეორე ბოლოში გადასდგა, რათა ხიფათი არ მოსვლოდა, თუ ვინმე შემოვიდოდა ოთახში და აუცილებელი იქნებოდა ფეხზე წამოდგომა.

როცა ხორნაული პირველად მოხვდა აქ, ისე იყო გართული, უფრო სწორად — შებოჭილი საკუთარი საყელოთი და ცნობისმოყვარე სტუმრების შემოხედვით, რომ კედლებზე არც კი შეუნდინავს ზეთიანი საღებავებით ნახატი, ჩარჩოებში ჩასმული სურათები. ეს უთუოდ ნინო ციხისელის ნამუშევარი იყო. აბრეშუმის შუქფარისაგან ისევე ისეთი, მოლურჯო ბინდი იდგა, შორიდან მუქი და ნათელი ლაქების გარდა ვერაფერს გაარჩევდი.

სხვა ირგვლივ ყოველივე ჩვეულებრივი ჩანდა. კედლის ერთმხარეს წითელი ხის, მინის კარებიანი გრძელი კარადა იდგა, წიგნებით საფხე. ვარაყიანი წარწერები გვიმსად ბზინავდნენ. კუთხეებში — ცალფეხა, მრგვალი მაგიდები, მძიმე ლარნაკებით. ეს ლარნაკები უმეტესად წითელი ან შავი ფერის ხაზებით არიან ხოლმე აჭრელებულნი. ჩინური ხელოვნების თუ მასპინძლის პატივისცემით ხმამალა ვერვინ განაცხადებს, რომ ლარნაკებზე გამოხატული აუარებელი დრაკონები, მარაოები და ბრძნული წარწერები უცნაურად მოგაგონებენ ახალფეხადგმული ბავშვის ცელქობას; ათივე თითით გასწევენ ჯაფას პატარები, თუ მელანი ჩაიგდეს ხელში, ენისწვერსაც კი მოიხმარენ, ცხვირს, ნიკაპს. ლარნაკები საკმაოდ მძიმენი არიან, ყოველთვის პირამდე საცხენი მომწვანო წყლით, ზოგჯერ დიდი თაოგულიც სჭკნება შიგ, უკანასკნელ ფურცლის

*) გაგრძელება. „ჩვენი თაობა“, № 9.

ჩამოვარდნამდე, შიშველ ღეროების გამოჩენამდე. ამიტომაც ვერცინ იკისრებს ლარნაკის ფსკერზე მარკას დახედოს, — იქნებ ეს უსაშველი დრაკონები რუსეთის რომელიმე საგუბერნიო ქალაქში წარმოიშვნენ და ამაოდ გვაკვირვებს პეკინელი მხატვრების ფანტაზია.

ღრმა სავარძლებთან, დაბალ მაგიდებზე, სურათებიანი სქელყდიანი ალბომები ელაგა. ლეჩაქიანი და ჩოხოსანი წინაპრები, სააღდგომოდ მისალოცი პრიალა ბარათები და ბორჯომ-ბაღის ფერადი სურათები ბოლოდროს ტრეტიაკოვის გალერიისა და სხვადასხვა გამოფენათა ალბომებმა შესცვალეს.

ესეც ჩვეულებრივი იყო.

მაგრამ ერთად, მთელ ოთახს მაინც განსაკუთრებული ელფერი ჰქონდა; ვიღაცის ხელს ისე მოეთავსებინა თითოეული ნივთი, რომ მათ გადაადგილებას თვალი ვეღარ აიტანდა, როგორც წინად ნახულ სურათზე გაჩენილ სვირინაღებას.

მანანა ტალანში დედამისს გამოეგლაპარაკა, ოთახში შემოვიდა და თან უცნობი ყვაგილის სურნელება შემოიტანა.

ერთხანს მანანას კონსპექტებსაც კი იასამნის ისეთი ძლიერი სუნით ასდიოდათ, რომ როცა ჯონქამ გადასაწერად მიიტანა ისინი თავის ბინაზე, ჩაგუმფანჯარა გამოაღო — თავს აგვატკივებსო. ის სუნი, და თან რაღაც სხვა; უჩინარი, თეთრი იასამნის მტევნის მსგავსებას აძლევდნენ მანანას.

— წიგნს მერე მოგიძებნი, ჯერ ვისაუბროთ. — მანანა მოპირდაპირე სავარძელში ჩაეშვა და დაფიქრებული მიაჩერდა სტუმარს.

ჯონქამ თანდათან მყუდროდ იგრძნო თავი აქამდე უცხო ოთახში; აფორიაქებული გონება გაუყუჩდა. ქუჩაში დიდხანს ფეხზე დგომამ და წელანდელმა დაძაბულობამ უთუოდ ძლიერ დალაღეს და მოაჩვენეს, რომ ისეც დაუბრუნდა სულიერი წონასწორობა. მას ახლა წყნარად, გარკვევით შეეძლო აზრების დალაგება და საჭირო სიტყვების შერჩევა მათ გამოსათქმელად. ღრმა სავარძელმა თითქო სიღინჯე შეჰმატა და თავდაჯერება, მთელ სხეულს არაჩვეულებრივი სიმშვიდე დაეუფლა. ასეთი განწყობილების დროს კარგად იწერება გრძელი, განმარტებითი ბარათი, ბოლომდე შეიძლება დაფურცვლილი ბიბლიის აკინძვა, ძაფის დახლართული, დაბურდული მორგვის გამოხვევა. სრულიად მშვიდად, ზმის აუთრთოლებლად იტყოდა იმას, რაც წინათ ვერც წარმოედგინა როგორ უნდა ეთქვა.

მაგრამ ამ სიმშვიდემ იგი დააშორა კიდევ იქვე, გვერდით მჯდომ ქალს. როცა წელან, ქუჩაში, ხეებქვეშ მხარღამხარ მოდიოდნენ და ფოთლების ჩრდილები დაურბოდნენ მანანას სახეზე, ჯონქა გრძნობდა, რომ მისი ხმის ოდნავ შესამჩნევი ცვლილება, ლაპარაკის დროს ხელების ზედმეტად თავშეკავებული მოძრაობაც კი უფრო მეტს იტყოდნენ, ვიდრე ახლა მთელი საათის აუღელვებელი, გრძელი საუბარი. ინსტინქტი ეუბნებოდა, რომ ამ წუთში შეფერებული იყო სიმშვიდე.

ჯონქა შეეცადა დაებრუნებია, მოგონებით მაინც გამოეწვია ცოტახნის წინ დაკარგული აღელვება. უწინ მას არაოდეს უფიქრია, თუ როგორ უთხრას... ან საჭირო იყო კი თქმა?

მანანამ რომელიღაც წიგნზე, თუ მომავალ გამოცდებზე დაიწყო ლაპარაკი.

ეს ჩვეულებრივი, სტუდენტური თემა კიდევ უფრო აღრმავებდა განწყობილებას. ჯონქას აღარ შეეძლო მოსმენა. იგი თვალებდახრილი იჯდა სავარ-

ძელში და თავისთავს აკვირდებოდა. თითქო ზღვის ფრთონა იყო მის სულში, გარინდებულ, ღუნედ და წყნარად მერხვე ზედაპირზე ამაოდ მოელოდა ზვირთების გამოჩენას. მას ახლა მესამე პირით-ლა შეეძლო ლაპარაკი საკუთარ გრძნობებზე. მსგავსი რამ სხვებისაგანაც ხშირად სმენია; თუმცა სხვებს ალბათ გაუბედაობით მოსდიოდათ, ჯონქა კი ამით მხოლოდ სიმსუბუქეს თუ მისცემდა თავის აღსარებას.

რამდენჯერმე გადასწყვიტა კიდევ პირდაპირ, უეცრად ეთქვა, ისე, როგორც რაიმე, არც თუ ძალიან დიდ უბედურებას შეატყობინებენ ხოლმე ადამიანს. და მერე ამდგარიყო, თავაუღებლად გამოსულიყო გარეთ. მაგრამ იცოდა, რომ უხეშად, უგულოდ გამოუვიდოდა, მხოლოდ დამცინავ ღიმილს თუ მიიღებდა საპასუხოდ. თანაც, რაც უფრო მეტს იფიქრებ და თვალთ გაზომავ ნაპრალს, მით უფრო გაგიძნელდება ნახტომის გაკეთება.

მანანას მალე შემოეღია სალაპარაკო და უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. აქამდე შეიძლებოდა ისეთი სახე დაგეჭირა, ვითომ ყურადღებით უსმენ და ამით დაგემალა ფიქრი. ღუმილი კი აუტანელი გახდა, ჯონქას თვალი ველარ გაესწორებია ქალისათვის.

წიგნების კარადაზე საათი იდგა და ხმადაბალი ჩაქჩაქით ამცნობდათ, რომ დრო მიდის.

— რას გაჩუმებულხარ, ჯონქა, სთქვი რამე.

— რა ეთქვა... — ჯონქა სავარძლიდან წამოდგა. უნდოდა სხვა რამ ეფიქრა, განთავისუფლებულიყო უცნაური სულმძიმობისაგან.

ოთახში გაიარა, წიგნების კარადასთან მივიდა და საათს დააკვირა. იგი გააოცა ამ საუცხოოდ ნაკეთები ნივთის ახლო ნახვამ. ფაიფურის ქალ-ვაჟი, როკოკის პასტორალების მწყემსურ ტანსაცმელში გამოწყობილნი, ფარფლებიანი, ფერად-ბაფთიანი ქუდებით, ცელქი პროფილებითა და არისტოკრატიული, მაღალი წვივებით, ზურგშექცეულნი ისხდნენ მწვანე ბორცვზე, გაბუტულნი მიწას ჩასცქეროდნენ. მათ თავზე კი ფუტკრის ქერეჭიან ამურებს მრგვალი ციფერბლატი მოჰქონდათ პატარა ხელებით, დროს ნუ ჰკარგავთო, სიცილით ანიშნებდნენ.

ჯონქას გაელიმა.

„— ეს ჩემთვისაც გამოდგება ჭკუის სასწავლებლად“... — გაიფიქრა თავისთვის და ველარ გაბედა მანანასკენ მობრუნება, თითქო ხმამალა ეთქვას.

— მართლა, შენ დედაჩემის ნახატები არ გინახავს, ჯონქა? — მანანა წამოდგა, კედელთან მივიდა და ელნათური აანთო.

უთუოდ წინასწარ იყო ნაანგარიშები — ამ ელნათურის სინათლე მხოლოდ ერთ ჩარჩოს ეცემოდა და კედლის დანარჩენ ნაწილს ისევე ბნელში სტოვებდა. სავარძლებიც სწორედ შესაფერ მანძილზე იდგნენ, იქ მსხდომთ კარგად შეეძლოთ ყოველი უმნიშვნელო დეტალის აღქმა.

ჩუქურთმიან, წითელი ხის ჩარჩოში მოხუცი ქალი ნემსში ძაფს უყრიდა. არც ნემსი სჩანდა ტილოზე და არც ძაფი, მაგრამ მოხუცის ისე ეჭირა თვალის სიმაღლეზე ორივე ხელი, რომ გამხმარ, სიბერისგან დაძარღვეულ თითებში არამც თუ ნემსის კრიალი, ბუხრის თავზე მდგარ სანთელიდან ყუნწის ნახვრეტში გასული სხივიც კი მოგვიწვინებოდა. მოხუცი სათვალის ზევიდან იყურებოდა თვალდაწვრილებული. შავი ჩითმერდინი ეხურა, ქალარა კავეები ეყარა მოხრილ მხრებზე. ასეთ მოხუცებს მუდამ კომპისა და ჩურჩხელების სუნი ასდით ხოლმე, რადგან ხილს ტანსაცმელთან ერთად ინახავენ ძველებურ ზანდუქში.

— მოგწონს?

— საუცხოვოა, მგონი ამ წუთში თითებს დაინერწყევას ძაფის დასაგრეხად. — ჯონქა ორიოდ ნაბიჯით მიუახლოვდა ტილოს და ისევ უკან დაიხია.

— რატომ იმ დღეს ვერ შევნიშნე ეს სურათები.

— მაშინ ფარდები ჰქონდათ ჩამოფარებული. დედას არ უყვარს უცხო სტუმრებისთვის თავისი ნახატების ჩვენება, სახლი გამოფენად გადაიქცევა და თანაც ყველა ცდილობს უეჭველი აღტაცება გამოსთქვას, კიდევ რომ არ მოსწონდეს რაიმე.

— მე სამხატვრო გალერეებში მინახავს დედათქვენის ნამუშევარი.

— ჰო, მეტი ნაწილი იქ არის. მხოლოდ ეს სამი-ოთხი ტილო გვაქვს სახლში.

— შენ სხვა პორტრეტი უფრო მოგეწონება, — სთქვა მანანამ ცოტახნის შემდეგ, ელნათური ჩაქრო და გვერდით მეორე ანთო.

ახლა მეზობელ ჩარჩოს დაეცა სინათლე. თითქო ვილაციის ნაცნობი სახე დააცქერდა კედლიდან ჯონქას. თავლისფერო, ოდნავ ზომიან მსხვილი გუგები თანამად იცქირებოდნენ.

შეხორცებული ნაჭრილობევი ყვრიმალის ძვალზე; პატარა, მრგვალი ყურები, თითქო განაბული, უკან გადახრილი ჩასაფრებულ კატის ყურებივით; განვითარებული, ყბებთან დაძაგრული საღეჭი კუნთები. ვაჟკაცური, შეუპოვარი იერო, მაგრამ თვალები ცხვრის გამოხედვასაც მოგაგონებენ. ცხვარი თუ უცნობს დაინახავს — მიაშტერდება ერთ ადგილზე გაჩერებული, არც შიში ეტყობა, არც ვაოცება.

ასეთი სახეები ბევრი უნახავს ჯონქას, მაგრამ პირველად მხოლოდ ახლა გაიფიქრა, რომ მათში რალაც არაჩვეულებრივიც იყო. მხატვრის ხელმა უთუოდ განსაკუთრებით მოინდომა ამის გამომქლავება.

— ვინ არის ეს ჭაბუკი?

— „მთიელი ახალგაზრდის პორტრეტი“. ნატურად არ ვიცი ვინ გამოიყენეს.

— საოცარია, — სთქვა ზორნაულმა, — რა ნაცნობი სახეა და თან რა უსიმბატიო. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქო უეცრად აღმოვაჩინე, რომ ვინმე, ჩემი ახლობელი აჭამდე გრიმს ატარებდა.

— ნუ გადააჭარბე, ჯონქა. მართალია, ლოყაზე დამჩნეული ნაიარვეი ცოტა მეტ სიტლანქეს აძლევს, მაგრამ დააკვირდი რა მალალი, აზრიანი შუბლი აქვს.

— არა, მე კარგად ვიცი ახლად ასეთ ტიპებს და გუმანი მეუბნება, რისი გადმოცემაც უნდოდა დედათქვენს.

— მაინც?

ჯონქამ არაფერი უპასუხა, ისევ სურათს ათვალევრებდა. მთიელი ახალგაზრდა უქულოდ იყო, ნიკაპთან მჭიდროდ ჰქონდა შეხვეული მხრებგანიერი ნაბადი. მხატვარმა უთუოდ განგებ არ გადმოსცა ტანსაცმლის დეტალები, რათა რომელიმე ცალკე ტომის წარმომადგენელი არ გამოსვლოდა. ნაბადში გახვეულ, თავშიშველა ჭაბუკზე ვერ იტყოდი მოხვეე იყო, ქისტი, სვანი თუ რომელიმე სხვა კუთხის მცხოვრები. მის ზურგსუკან, სიღრმეში, ბურუსი იდგა, თითქო შორეული კლდის ქიმიც მოსჩანდა. შავი ნაბდისა და ლეგა ბურუსის ფონი სახის ნაკვეთებს მეტ სიცოცხლეს აძლევდნენ.

კარი გაიღო და ოთახში ნინო ციხისელი შემოვიდა. მას საშინაო, ფართო სახელოებიანი, გრძელი მწვანე ხალათი ეცვა და ამ ციხეგრ ბინდბუნდში რო-

ნინით წამოვიდა ქურუმით. მაგრამ მოახლოვებულმა ისე გულლიად გაუღიმა ჯონქას და ჩამოართვა ხელი, რომ ზორნაულმა ფიქრით წამსვე შეუნდო იმდღევანდელი დამცინავი, შემნიშნავი გამოხედვა და ეს უცნაური სიარულიც, იქნებ გრძელი ხალათის გამო დადიოდა საზეიმო ნაბიჯით.

— ჯონქა რატომღაც ძლიერ დააინტერესა მთიელის პორტრეტმა, — უთხრა მანანამ დედამისს.

— სასიამოვნოა, — სთქვა ნინომ და სავარძელში ჩაეშვა, — დაბრძანდით, ყმაწვილო.

— მე თითონ მთიელი ვარ, — დაიწყო ჯონქამ და შენიშნა, რომ მანანამ თავისთვის ჩაიღიმა, — ამ პორტრეტმა... ძლიერ დამაინტერესა.

მას უნდოდა რაიმე ჭკვიანური, მოულოდნელი ეთქვა და ასე უფერულად კი დააბოლოვა. რასაკვირველია, გაწითლდა, გულში მანანას გადააბრალა.

— ჯონქა ამბობს, რომ როცა ეს სურათი ნახა, ისეთი გრძნობა განიცადა თითქო ვინმე, მისი ნაცნობი თუ მეზობელი, აქამდე გრიმით დადიოდა და ახლა პირდაბანილი აჩვენეს. მგონი ასეა, არა ჯონქა?

— დიალ, მე მინდოდა მეთქვა, რომ ამ პორტრეტმა პირველად დამაფიქრა ჩემთვის აქამდეც კარგად ნაცნობ ფიზიონომიებზე.

ნინომ ღიმილით დახარა თავი.

— მე დიდიხნის მასწავლებელი ვარ, — სთქვა მან, — ბევრ მთიელ ახალგაზრდას ვიცნობდი. თქვენ ფშაველი ხართ, არა?

— დიალ.

— ფშაველი მოწაფეებიც მყავდა, ვოგოლაურები, რაზიკაშვილი, ლუღუშაური. საერთოდ ძლიერ ნიჭიერი ხალხია ჩვენი მთიელები. მაგრამ თუ ბავშვობისას დიდი ცოდნისწყურვილი აქვთ და საუცხოოდ ითვისებენ ყველაფერს, შემდეგ, სიმწიფეს რომ მიაღწევენ, უცნაური ცვლილებები მოსდით, ბოლომდე ძლიერ ცოტას თუ გაუგრძელებია სწავლა. როგორც ვატყობ კულტურტრეგერობას არც თუ მაინცადამაინც ეკიდებიან.

— დიალ, წარმოიდგინეთ, ზოგი მათგანი მთაში თუ დაბრუნდა სწავლა-განათლებას იმისთვის იყენებს, რათა სოფელში მეტი გავლენა მოიპოვოს და კანონს უკეთესად დაუძვრეს ხელიდან. მეორე დღესვე ხანჯლებს დაიკიდებენ ისევ და აქო და ადათს არ ვემორჩილებითო — ისე იქცევიან, რომ ბარშიც უხნეობად და ცუდკაცობად ჩათვლებოდნენ. რასაკვირველია, ჩვენ მაინც გვყავს პატიოსანი და თავდადებული მთის ინტელიგენცია, თუმცა ჯერ კიდევ ნიცირერიცხოვანი. მაგრამ ქალაქს სასწავლებლად წამოსულნი ხშირად ვერ ამართლებენ იმედებს.

— ჰო, ჩემთვისაც უთქვამთ, რომ ქალაქიდან დაბრუნებული ახალგაზრდობა ცუდ მაგალითს იძლევა. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს ამის მიზეზი. უწინ, რუს ჩინოვიკებს თუ ჰკითხავდით — კავკასიელებს ველური სისხლი გვაქვს, ავაზაკური, как волка не корми, он все в лес глядит.

— არა, მე მგონი ეს ქალაქის ცუდი ზემოქმედების ბრალი უნდა იყოს. მთიელი უფრო მგრძობიარეა, ბუნებით უფრო აფექტიური, ადვილად აპყვება ქალაქელ ამხანაგებს. დარდიმანდი ახალგაზრდები ყოველთვის ცდილობენ თავიანთ წრეში ჩაითრიონ გულადი, ღონიერი და გამტანი მთიელი. მისი დაშვებობა ადვილია — თუ შეაქებ და ვაჟკაცურად გამოიყვან — ერთ დღეში ღვიძლ ძმასავით შეგიყვარებს, ზოლო თუ იარაღსაც აჩუქებ — სიკვდილამდე გემსახურება. ეს ანგაჩებით. კი არ მოსდის, მთაში ყველაზე საამაყო —

ვაჟაკის სახელია, ყველაზე ძვირფასი ნივთი — იარაღი, იქ იარაღის ჩუქება უდიდეს ნდობას ნიშნავს. ზოგს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ვაჟაკობაზე, ყოველგვარი სახიფათო საქმე საგმიროდაც ეჩვენება, ამიტომაც წაქეზებით ადვილად სჩადიან ცუდკაცობას, — ჯონქამ პორტრეტისაკენ გაიხედა, — აი, ეს სახეც, ერთი შეხედვით ატყობ, რომ მისგან შეიძლება პატიოსანი ვაჟაკიც დადგეს და თავზეხელაღებული ავაზაკიც. ხელსაყრელი მასალაა ზემოქმედებისათვის.

— *Tadula rasa*, — ჩაურთო მანანამ და ისევ გაიღიმა თავისებურად. ჯონქა ვერ მიმხედარიყო რა არ მოსწონდა მანანას მის სიტყვებში.

— თქვენ სწორედ იმას ამბობთ, რასაც მე ვფიქრობდი, — ნინო სავარძლის ზურგს მიეყრდნო, თავი უკან გადასწია და ისე დააცქერდა პორტრეტს; დაღლილი ადამიანის გამომეტყველებამ გადაჰკრა სახეზე, დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი; ასე ბავშვებს შესცქერიან ხოლმე დედები. ცოტახნით თითქო დაავიწყდა იქ მყოფნი; გრძელი თითები საფეთქლებთან დაიღო, წინ წამოიწია, — დიალ, სწორედ ასე... — ჩაილაპარაკა თავისთვის; შემდეგ სწრაფად გაიმართა სავარძელში, ჯონქას მოუბრუნდა:

— მე მოხარული ვარ, რომ თქვენგან ეს მესმის. იგივე აზრისა ვიყავი მაშინ, ოციოდე წლის წინ, როცა ამ პორტრეტის წერა დავიწყე.

— „ოციოდე წლის წინ...“ — გაიფიქრა ჯონქამ, — უთუოდ საოცრად ლამაზი ქალი იყო, ახლაც კამდენი სინაზე აქვს; ასეთი იქნება ხან შესული მანანა...“

— თანდაყოლილი აფექტურობა მთიელებს ძლიერ საინტერესო და კეთილშობილ მასალად ხდის ხელოვნებისათვის, — განაგრძო ნინომ, — მაგრამ ცხოვრების მიმართ... იყვნენ ისეთი წლები, როდესაც ლიტერატურა, თეატრი, მხატვრობა მხოლოდ მთის თემატიკით იკვებებოდა. ასეთი რამ ევროპაშიც მოსდიოდათ, ისინი ეგზოტიურ ქვეყნებს მიმართავენ ხოლმე. მაგრამ მე ვლაპარაკობ ჭეშმარიტ ხელოვნებაზე და არა ბულვარულ ეგზოტიკაზე. ხშირად ცხოვრება იმდენად გამძაფრდება, ადამიანები ყოველდღიურად იმდენ საოცრებას ხედავენ, რომ ხელოვნებას ჩვეულებრივი გმირებისა და ყოფის მოცემით აღარ ძალუძს ყურადღება მიიპყროს, მოსაწყენად გადაიქცევა. მაშინ იგი სხვა მასალას ეძებს, აფექტურ ტიპებსა და ეფექტურ ამბებს მიმართავს, რადგან შუადღისას, ცხოველყოფილი მზით განათებულ ცაზე, ფერადი შუშხუნების კაშკაშს თუ შეჰხედავენ მხოლოდ. აი, როდის გამოდგება მთა. მაგრამ, მე სულ სხვა თვალთ ვხატავდი ამ პორტრეტს.

მხატვარმა თავისთვის გაიღიმა, უთუოდ იმ დღეების მოგონებით.

— როგორც მიწის უამრავ ბელტებს დაფშვნიან და გარეცხავენ, ათასჯერ გაცხრილავენ, რათა ბოლოს ოქროს ქვიშა გამოამჟღავნონ, ისე უნდა ეცადო მოაცილო ის უთვალავი დანაშრეგები, რომლებიც ადამიანის სახეს ეკვრიან მისი ნამდვილი ხასიათის დასაფარავად. ზოგი ძილშიც ვერ იცილებს ცხოვრების ნიღაბს. გარწმუნებთ, უფრო ადვილია მთელი ტომარა ოქროს ქვიშა დააგროვო ამ იშვიათი ლითონით ღარიბ მიწის ნაკვეთზე, ვიდრე ტილოზე გადაიტანო ვინმე, პატიოსან და საქმიან კაცად ცნობილი მელოტის ჭეშმარიტი ფიზიონომია.

იგი ისევ დააცქერდა სურათს, მაგრამ ახლა გამარჯვებული გამომეტყველებით, დარწმუნებული, რომ შიომას ანაოდ არ ჩაუვლია.

— დიალ, *Tabula rasa*, ოღონდ ძლიერ ფიცხი მასალისა, შეიძლება მკირე სიტლანქემ სამუდამოდ დაამახინჯოს. მეც ოდნავ უხეშად მოვექეცი... — ნინოს თვალები დაუწვრილდა, — კინალამ გაეაფუჭე. ერთი თითის დადებით მე-

ტი ნაჭრილობევი, ნაბდის უკან თოფის შალითა და... მეტი სინათლე თვალე-
ში, — ნამდვილი აბრაგი გამოვიდოდა.

— ახლა სხვა პორტრეტი ვნახოთ, დედა, — მანანას ალბათ მობეზრდა-
მთიელ ქაბუკზე საუბარი, — შეიძლება?

— როგორც გენებოთ, — ნინო კვლავ მიეყრდნო სავარძლის ზურგს, თა-
ვი უკან გადასწია და მოლოდინში თვალევი ნახევრად დახუჭა.

მანანამ ჩააჭრა სინათლე და კუთხესთან, კედლის ბოლოს, მესამე ელნათუ-
რი ანთო.

კედელში სარკმელი გაჩნდა, წითელი ხის ჩარჩოთი შემოვლებული. სარკ-
მლიდან იყურებოდა გაუთხოვარი, ხანდაზმული ქალწულის სახე. მას უკვე იმ
დროისთვის მიეღწია, როცა აღარ კეკლუცობენ, მაგრამ მაინც შერჩენიათ ქა-
ლიშვილობის ნიშნები, როგორც ეზოში გადაადგებულ საახალწლო ნაძვს შე-
რჩება ზოლმე ტოტებზე ფერადი ქალაღის ხვეული ბაფთები და ციმციმა კი-
ლიტები. ქალს ყვითელი ქსოვილი ეცვა; გულზე დიდი, წითელი ვარდი ებნია,
წვრილი ნაჭრებისაგან შეკერილი. ისეთი გრძელი, ოვალური ოქროს საყურეები
ეკეთა, რომ პატარა ბავშვებს საქანელად გამოადგებოდათ. სახე უკვე საკმაოდ
დამუქნარი ჰქონდა, თმებსაც ფერი შელახვოდათ საღებავის ხმარებით. ფანჯრის
ჩარჩოზე ორი, მზისუმზირის ყვავილებით ამოქარგული ბალიში ეფინა. ერთს
თითონ დაყრდნობოდა იდაყვით და პაპიროსს აბოლებდა, მეორე ბალიშზე კი,
გვერდით, მისი მეგობარი დაცუტქულიყო და სახით ამ ქალს უცნაურად დამს-
გავსებული ისეთივე ანჩხლი, მიზეზიანი გამომეტყველებით იცქირებოდა. ეს
გახლდათ ტანმორჩილი მოპსი, მზინაფი, დახვეწილი ბეწვით, თეთრი, შავლა-
ქებიანი. მოკლე და ჩაჭყლელილ დრუნჩზე თითქო მური ეცხო და თან სიბე-
რისგან უღვამის ძირები შეეთერებოდა. გადმოკარკლულ თვალეებზე ეტყო-
ბოდა — ძლიერ ნერვიული უნდა ყოფილიყო. ერთი შეხედვით იგრძნობოდა ამ
წყვილის მეგობრობა და სულიერი სიახლოვე. მთელი დღეები უთუოდ ასე იყ-
ნენ მომდგარი ფანჯარასთან, ქუჩაში იცქირებოდნენ, ერთნაირად განიცდიდ-
ნენ მოწყენილობას და თითქმის ერთნაირი ხმით ეკაპანებოდნენ აბეზარ ბიჭებს,
რომლებიც ქვევიდან ჯოხს შეუჩუჩხურებდნენ ხოლმე ხანდახან. ქალი გამ-
კილავად ათვალერებდა ყველა გამვლელს და ეს საბრალო მოპსიც, ენა რომ
ჰქონოდა, ალბათ მშვენიერი ჭორიკანა დადგებოდა.

ჯონქამ ღიმილი ველარ შეიმაგრა, მართო რომ ყოფილიყო, ახლო მივი-
დოდა ტილოსთან და ზელს მოუთათუნებდა იმ ადგილს, სადაც მოპსის მურა-
დრუნჩი იყო გამოსახული; ფინია ისე გამომწვევად იცქირებოდა, რომ რაც უნ-
და მშვიდობის მოყვარე ყოფილიყავ, მაინც მოგინდებოდა მისი გამოჯავრება.

— ძველი ნამუშევარია, — სთქვა ნინომ, — ახლა ასეთ ტიპს იშვიათად
შეხვდებით. გაუთხოვარი ქალები უკვე აღარ შეადგენენ განსაკუთრებული ფსი-
ქიკის მქონე ხალხს, როგორც ეს უწინ მიაჩნდათ. უკანასკნელ დროს საერთოდ
გაძნელდა პორტრეტზე მუშაობა. სოციალური წრე, პროფესია, უამრავ დამა-
ხასიეთებელ თვისებებს აძლევდნენ ადამიანს, მისი ტანსაცმლის, თუნდაც მხო-
ლოდ ქუდის მიხედვით თქვენ დაწვრილებით გაიგებდით არამართო წოდებას,
ხელობას, არამედ იმასაც, თუ რა შეძლების პატრონი იყო, საიდან ჩამოსულა,
ან ქალაქის რომელ უბანში ცხოვრობს. თავისებურ დაღს სტოვებდა პიროვნე-
ბის გარეგნობაზე გარემოწრე, გამდიდრებული მდაბიო სასაცილო სჩანდა, თუ
ძვირფასად, დიდკაცურად ჩაიცვამდა. სიარულიც კი განსხვავებული ჰქონდათ,

„— რა თავადივით დაბრძანდებიო“, დასცინებდნენ ერთმანეთს გლეხები,
ან „რა პრისტავივით დაიჯგიმებიო“, ხოლო თავად-აზნაურობა სიაცხვილად

სთვლიდა, თუ რომელიმე მათგანი „გლეხივით დაჯლაცუნობს“, „დაცუნცულობს ფოსტის ჩინოვნიკივით“, ან „ბაზაზივით დაბაჯბაჯებს“. ახლა, სანამ თითონ არ გეტყვის, ვერ გაიგებ პარიკმსხერია თუ მსახიობი. თანდათან წაიშალა ის ბლაგვი, „უბრალო“ გამომეტყველება, რომელიც ხალხს ჰქონდა უწინ. მე მახსოვს, — ცხრაასხუთ წელს პოლიცია დემონსტრანტებში გონიერ სახეებს არჩევდა და ყოველშემთხვევისთვის წინასწარ აპატიმრებდა — შემდეგ გამოიძიებდნენ რომელი იყო მათ შორის რევოლუციონერი. თანაც ახლა ძლიერ იშვიათად შეხვედებით ძველი არისტოკრატის დამახასიათებელ, მედიდურ და მიუტარებელ, უნებურად კრძალვის აღმძვრელ სახეებს. მხოლოდ ტუჩის კუთხით იმდენი ზიზღი და დაცინვა შეეძლო გამოეხატა რომელიმე „კეთილშობილებას“, რომ ორ ტომიანი პამფლეტითაც ვერ გადაუხდელი სამაგიეროს.

— მე მგონი თავისუფალი, დამოუკიდებელი პიროვნება უფრო საინტერესო უნდა იყოს მხატვრისათვის, — სთქვა ჯონქამ, — გარემოს მიერ შექმნილი დანაშრევები, როგორც თქვენ წელან სთქვით, ახლა ხომ ძლიერ შემცირდა.

— მართალია, მაგრამ სამაგიეროდ დაიკარგა კოლორიტი. — ნინომ თავი გადაიქნია განათებულ ჩარჩოსკენ, — აი, ასეთ პერსონაჟებს ადვილად ვეღარ იპოვით. ტანსაცმელი, სამკაულები პორტრეტს უკვე ვეღარ შევლიან, არაფერს გვეუბნებიან პიროვნებაზე. ნაციონალური კონსტრუქცი კი გაჰქრა, სამასკარადოდ გადაიქცა. ზოგჯერ გვიშლის კიდეც თანამედროვე სამოსელი, აღარ იცი რა ჩააცვა გმირს. მალე მხატვრობა იძულებული გახდება ისევ შიშველ სხეულს დაუბრუნდეს, ანტიურ ხელოვნების მსგავსად. ტანისამოსი მხოლოდ თვითმიზნად თუ გამოადგება.

— მოქანდაკეებმა მაინც უნდა დააჩქარონ ეგ ამბავი, — სთქვა მანანამ, — ჩვრებში გახვეული გამოსდით, რაც უნდა კარგი სკულპტურა იყოს.

ნინო სავარძლიდან წამოიღა.

— მოგაწყინეთ თავი ამდენი ლაპარაკით, ახალგაზრდებო, — მან ბოდიში მოიხადა და კარებისკენ გაემართა.

ჯონქა ახლა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ნინო ციხისელი ქურუმის ნაბიჯით მწვანე ხალათის გამო დადიოდა, — ფეხებში ედებოდნენ გრძელი კალთები. მაგრამ ხალათი ძლიერ სადა იყო, საგანგებოდ, ეფექტისთვის არ სჩანდა შეყვრილი. თუმც ვინ იცის, გაიფიქრა ჯონქამ, ყოველი მხატვარი, ამბობენ ახირებული ადამიანიც არისო.

— კარგი დედა გყავს, მანანო, — სთქვა ჯონქამ, როცა მარტონი დარჩნენ.

— მაშ. თქვენ ადვილად დამეგობრდით, სხვებთან კი თავის ნახატებზე იშვიათად ლაპარაკობს.

— ერთი ეს მითხარი, მანანო, — ჯონქამ ადგილი მოინაცვლა და მეორე სავარძელში ჩაეშვა ქალის პირდაპირ, — ერთი ეს მითხარი, რატომ იცინოდი წელან?

— ისე. ყოველთვის მეცინება, როცა შენს მთიელობაზე დაიწყებ ლაპარაკს.

— ვითომ რათაო, არა ვარ მთიელი?

— როგორ არა, მაგრამ ისეთი პათოსით აცხადებ... ალბათ განსაკუთრებულ ჯიშის ხალხად მიგაჩნიათ თავი. რა საჭიროა ამდენი თეატრალიზა, აქაოდა აფექტურები ვართო... თუკი ეგ გესმით, მოუარეთ თქვენს გრძნობებს, გარდაჰქმენით თქვენი ხასიათი.

— მოიცა, მანანო, გამაგებინე რა გვჭირს გარდასაქმნელი.

— ოჰ, აი, უკვე აფექტაცია, კიდევ კარგი — ხანჯალი თან არა გაქვს. ჯონქას გავცინა, თუმც ცოტა ნაწყენი კი იყო.

— ყველა კავკასიელს ახასიეთებს ყოყოჩობა. თბილისელ ბიჭებს, აქ მილიციელის დანახვაზე სული რომ ეპარებათ, რუსეთში ზელიმ-ხანებად მოაქვთ თავი, გოგონებს უღვაშებით აშინებენ.

— მე უღვაშები არა მაქვს...

— ეგ ლა გაკლია. იცი რა, ჯონქა, შენ უკვე ინტელექტის მქონე ადამიანი ხარ, რილასთვის გჭირდება ეს პრიმიტივიზმი...

— მაინც ვერ გავიგე რას მისაყვედურებ.

— არ გისაყვედურებ. შენ გაქვს განსაკუთრებული პრინციპები, რომლებითაც განსხვავდები შენი ამხანაგებისგან. ეს არის შენი ღირსება. მაგრამ ყველა ახალგაზრდა მთიელი, ქალაქს სასწავლებლად ჩამოსული, როგორც კი შეატყობს, რომ მას რაღაც იშვიათ არსებად სთვლიან, უფრო მეტად მთიელობს, ვიდრე ნამდვილად არის. ჩვენ ყველანი ვაჟამ შეგვეშალა ჭკუიდან და ახლა ვინმე ხანჯლიანი თუ ვნახეთ, ან დუმის სუნს ვიყნოსეთ — სულ აღუდა ქეთელაურები გველანდებოდა. დარწმუნებული ვარ, — დედაჩემმაც იმიტომ გავიშარათა საუბარი, — ფშაველი სტუდენტი, ნაკითხი ახალგაზრდა... თავი გაანებე მაგ ფშაველობას, ჯონქა, შენ ახლა ჩემზე უფრო მეტად თბილისელი ხარ.

— მანანო, მე თუ ყალბი პათოსი მაქვს — ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ისე კი, — ფშაველი მაინც ფშაველია და რა ვქნა.

— როგორ „მაინც“, რატომ მე არ გავიძახი ყოველწამს, რომ ქართლელი ვარ, ან რად უნდა განსხვავდებოდე ჩემი ფსიქიკით რუსი ან ფრანგი ქალბატონიდან?

— არც განსხვავდები. მაგრამ მე ვგრძნობ, რომ კიდევ რაღაც ისეთი დამაქვს თან გულით, რასაც ვერც შენ მიმიხვდები, ვერც სხვა ვინმე ბარისკაცი.

— მიმახვედრე, ძლიერ გთხოვ, გამაგებინე. რა გახდა ასეთი მიუწვდომელი ჩვეულებრივი მოკვდავისთვის.

ჯონქა სავარძლიდან წამოღდა, მაგიდას შემოუარა და მანანას სავარძლის წინ გაჩერდა.

— შენ გგონია ესეც პოზაა, მაგრამ მე გულწრფელად გეუბნები.

მას უცნობი ყვავილის სუნს სცემდა, ესმოდა ქსოვილის ჩუმი შრიალი, როცა მანანა შეირხეოდა სავარძელში, ამჩნევდა პატარა ბუსუსებს ქალის თეთრ მაჯებზე.

— მჯერა, შენი მჯერა, ოღონდ გამაგებინე, ნუ თუ სიტყვით არ ვადმოიცემა.

ჯონქა გრძნობდა, რომ ისევ ლელავს. ფრთონამ გადაიარა ზღვის ზედაპირზე, ტალღები ნაპირს მოაწყდნენ.

— დავანებოთ მაგას თავი, მანანო, მე მესმის შენი კულტი სრულყოფილი, ჰარმონიული პიროვნებისა. მე თუ შევეძელი ოდესმე ასეთი ადამიანი გავხვდებოდი, შენ როგორ ფიქრობ — ჩემი ფშაველობა დამიშლის?

— არ ვიცი. მაშინ აღარც ფშაველი ორეული გეყოლება გვერდით.

საათმა თორმეტის ნახევარი დარეკა. ღია კარებში, სასადილო ოთახიდან, ჯონქამ ყური მოჰკრა ჭურჭლის წკრიალს, უთუოდ ვახშამს აწყობდნენ.

ახლა საჭირო იყო წასვლა, თორემ მაგიდასთან ისევ შეიქნებოდნენ ცერემონიები...

— მომეცი წიგნი, მანანო, წასვლის დროა, — აჩქარდა ჯონქა.

მანანამ სთხოვა დარჩენილიყო, ნინომაც გამოიხედა კარში და თხოვნა გაუმეორა, მაგრამ ჯონქამ ნინოს ზურგს უკან დავითიც შენიშნა მაგიდასთან გაზეთით ხელში და მტკიცე უარზე იყო.

მანანამ წიგნი მოუძებნა და კარებამდი გამოაცილა ჯიუტი სტუმარი.

— მაშ ეგრე, — სთქვა ხორნაულმა, როცა კიბესთან მივიდა, — ხვალ ლექციები არა გვაქვს.

მანანა ზღრუბელთან იდგა, კარის სახელურზე ეჭირა ხელი და მხარით შიყრდნობოდა კედელს.

— ხვალ... — გაიმეორა ხორნაულმა, თანაც თავისთვის ფიქრობდა, რომ მთელ ორ დღეს ისევ ველარ ნახავდა მანანას.

და უეცრად მან იგრძნო, რომ ქალმა გაუგო ფიქრი.

მანანა სახით მიეყრდნო კარს და გაიღიმა.

— ხვალ, — სთქვა მანანამ, — მე კონცერტზე წავალ, — და ბავშვით დაუწყო კარებს რჩევა, თითქო აბრაზებდა, — შენ ხომ გიყვარს მუსიკა?

ჯონქამ არ იცოდა რა ეთქვა.

— მიყვარს, მანანო...

ორთავეს გაეცინათ, ისეთი ხმით იყო ნათქვამი.

— რა გიყვარს, ჯონქა? — ჰკითხა ქალმა, იგი ისევ განაგრძობდა კარების რჩევას, თავი გვერდზე გადახარა და თვალები უცნოდნენ, ჯონქას მოეჩვენა, რომ მალე ენასაც გამოუყოფდა.

— მუსიკა.

— ჰოო, ეგ კარგია. ღამე მშვიდობისა, ჯონქა.

— ნახვამდის, მანანო...

კარი სწრაფად მიიხურა და შიგნით, ტალანში, აუჩქარებელი ნაბიჯებით ჯაიარეს.

ჯონქა წიგნით ხელში იდგა კიბეზე, ვერ გამორკვეულიყო.

მანანა მიუხვდა, უსათუოდ მიუხვდა ფიქრებს...

ხორნაულს კი თურმე მუსიკა ჰყვარებია...

— „იდიოტი.“ — ჩურჩულთ სთქვა თავისთავზე ჯონქამ, — „ხებრე“. და კინალამ იქვე, კიბეზე ჩამოჯდა.

რომ შეიძლებოდა წარსულის დაბრუნება... დიად, ეს ბევრჯერ უნატრი-ათ. გარდა ამისა, გერმანელებს აქვთ ერთი წიგნი — „ჭკუუამახვილობა კიბეზე“ — ბევრს თავის დროზე, როცა საჭირო იყო, ვერაფერი უთქვამს და მხოლოდ კიბეზე ჩამავალს მოჰგონებია მოსწრებული პასუხი.

კარგახანს იდგა ბიჭი შესასვლელთან, წიგნს ხელში ატრიალებდა და შეს-ცქეროდა კარებს. შემდეგ როგორც იქნა მოიფიქრა, რომ საჭირო იყო აქედან წასვლა. წყნანარად ჩაჰყვა საფეხურებს და გაოგნებულმა იდაყვით ბოლომდე გასწმინდა მტვრისაგან ხის მოაჯირი.

ქუჩაში ჯონქამ სიცივე იგრძნო, ილიაში ამოიღო წიგნი, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. მხოლოდ ერთხელ, როცა ქუჩა გადასჭ-რა, მაინც მოუხედა მანანას ბინის განათებულ სარკმლებს.

სიარულში თანდათან გათბა. რუსთაველის გამზირზე გამოსული ერთა წუთით შესდგა ქუჩის კუთხეში, თითქო არჩევდა — საით წასულიყო. შესდგა და თავისთავს შეეკითხა:

— „რა გიყვარს, ჯონქა?“

„მუსიკა“.

გაეცინა, ტუჩზე იკბინა და დაუმატა: „ხეპრე“...

მაგრამ, მაინც... მანანამ იცოდა, უთუოდ იცოდა. როგორ უცნობდნენ თვალები კარის ჩაჩოჩში სურათივით ჩასმულს. „ხვალ კონცერტზე“... უგნური უნდა იყო, თუ ვერ მიხვდები, ხომ ეს შენს გასაგონად სთქვეს.

თავადებული, ჯიბეებში ხელჩაწყობილი მიდიოდა ბიჭი შუალამისას რუსთაველის გამზირზე. ილიაში წიგნი ეჭირა, ოდნავ სციოდა, რადგან უპალტოდ იყო. მიდიოდა ფიჭიანი, გაღიმებული თვალებით.

ვის არ უვლია ასე, პატარა სევდითა და სიხარულით. პატარას ვეძახით, თითქოს ვინმეს გაეზომოს ან დიდს ვერ დაიტევდეს გული. გავყვებით ქუჩას, ფიჭვი იქსოვება, ბოძებზე გაიბმევა ობობას ქსელივით. მერე მავთულებზე წვიმის წვეთები იციმციმებენ.

ვიტრინებში მოგვსდევს ორეული — მუქი ანარეკლი, ზოგჯერ გაჰქრება სინათლეში, ან უსწორმასწორო მინის ზედაპირთან ღიმილივით გაუეღვებს სახეზე ათინათინი.

გავყვებით ქუჩას, ხან ავდრიანში, როცა ნარიყალა რუხ პირბადეს წამოიბურავს და წვიმს ისე უინიანად, თითქო ფილაქნები უსინდისო კაცის ნაკვალევს ირეცხავდნენ. ქარი შემოაგლეჯს ქვის კედლებს საკინძს და აფიშები თრთიან შრიალით.

ტანმორჩილ ხეებს ფოთლები სცვივით — კბილს თუ იცვლიან.

თვალთა შემოგვცქერიან ნათურები, მავთულთა ზუზუნით ძილგატეხილნი. სწუხან ბოძები, სულ ფეხზე დგომამ გაუჩინათ მუხლში ქარები.

ხმაურობს მტკვარი. სადღაც აწვალებენ კლავიშებს.

მოსახვევში ეტლი გამოჩნდება.

უბინაოსავით მოეხეტებიან დაღლილი ცხენები. კოფოზე სთვლემს წითელქამრიანი მეეტლე.

მხიარულად დაუსტვენ, გამოაფხიზლებ.

ზანტად მოიხედავს, გუმანით ატყობს, რომ მისი მუშტარი არა ხარ.

გავყვებით ქუჩას, მთელ ქალაქს ფეხით შემოვიართ, ოღონდ სიხარულის, იჭვისა და იმედების საღამო იყოს.

(შემდეგი იქნება)

სახელი

რა სახელი დარხევიათ გმირებსა და მამაცებს,
რა სახელი არ რქმევიათ ჩვენი ქვეყნის ლამაზებს!..
ტურფა იყო ტფილისისა თუ გლეხქალი ქართლისა —
ზოგსა ერქვა პირიმზისა, ზოგსაც — დილაგარდისა.
ხან ფრესკაზე დახატული, ხანაც ოხვრა თარისა,
მზექულა და მზეხათუნი, მარიხი და მთვარისა.
და ვაჟკაცს კი ლხინში მკექარს, გმირს თუ ყანის მომყვანსა —
— ირემა და ვეფხა ერქვა, ზვიადა და ლომკაცა!
და ეს მიტომ, მამამ შვილი ასე მიტომ მონათლა, —
ამ სახელთან თანშეზრდილი ვერ გასძლებდა მონათა!
მტერთან ომს რომ დაიწყებდნენ, მოკვდებოდნენ მარტონი,
სახელს კი არ შეირცხვენდა ამ სახელის პატრონი!

გიორგი კალანდიაძე

ბაღიის ზღვა ღელვის ღროს

აქაფებულა, აღუღებულა.
გრიალებს, გრგვინაეს მკერდგაურღვევი,
დაბლა და დაბლა დაკიდებულნი
ტალღებს სრუტავენ ფრთებით ღრუბლები.

არის ტალღათა ღელვა — ღალადი,
გადმობრუნებას ღამობს ქვესკნელი.
ზღვის სიმშვიდის ღროს სიოს ნახატი
წაშლილან წყალზე არაბესკები.

და ქარიშხალი ნისლებს იქითაც
ზეიმობს ზღვაზე გზად მიმავალი...
პირქუშო, შენზე მე წამიკითხავს
ქარიშხლიანი წიგნი მრავალი!

864
798
31



ვლადიმერ სულაბერიძე

ჯავახეთის მთაზე

პარძიის ქვევრები

ბევრი შემოდგომის აქ დადნენ ფერები,
მტკვარს გაღმა ისევე ის გორებია.
დაბერებულან ვეება ქვევრები,
წვანან მთქნარებით და იზმორებიან.
ახლაც შემოდგომის ქარი და ნისლია,
ღრუბლები ეკვრიან ცას ნაფლეთებად.
დგებიან მთები, მზეს ნაღმად ისვრიან,
ხევებში სიბნელის ასაფეთქებლად.
განთიადს გზას ვუფენთ ოქროსფერ ფოთლებით. —
ყველა საწნახელში თაფლად იღვრება...
ასწელთა აკრავთ ამ ქვევრებს ლოდები
და დარდის არ ახსოვთ დათარიღება.
ახლა?.. ახალ ღვინით თვრებიან ჭურები,
მტკვარს გაღმა ისევე ის გორებია...
დაბერებულან და ბედის მღურებით
წვანან მოწყენით და იზმორებიან.

*
* *

„თავფარავნელი კაბუკი
ასპინძას ქალსა ყვარობდა“.

მზე სხივს შეახებს ბალახს დანამულს,
ნისლების აკრავს მთას გაღავანი.
საღლაც აკვნესებს მწყემსი საღამურს
და უსმენს მთელი თავფარავანი.
ჩერდება წამით ქალარა მგზავრი
და ზიზლით სულმყარლ ბებერს იგონებს.
საღამურის ხმას წაიღებს ქარი,
ასპინძის ველზე გადაიჭოლებს.
შემოეხვევა მწყემს გოგოს მკერდზე
და გაუჩაღებს გულში ნაღვერდალს,

გაჰხედავს ქალი ღონიერ ვერძებს,
თავფარავანის გორებს გახედავს.
მზე ესალმება ველებს დანამულს,
ნისლის ერღვევა მთას გალავანი.
უსმენს გოგონა მწყემსის სალამურს,
ყურს უგდებს მთელი თავფარავანი.

ვარსკვლავი ვარსკვლავს

მთაზე დაჯდება მთვარე, ვით მოგვი,
ცაში გაბნეულ ვარსკვლავებს ითვლის.
მალლით ზეობას დაჰყურებს თმოგვი,
როგორც ქაჯეთი და როგორც მითი.

ვღგავარ მოგვივით და ზეცის ღიმი
გულზე უცნაურ ჟრჟოლად მენტება.
უცებ ერთ ვარსკვლავს მოწყდება ჭიმი,
საღლაც მეორეს შეუერთდება.

რომ შენაც, კარგო, ამ ცდომილივით
ტფილისის მიწას მოწყდე ამაღამ,
ელვას გამოჰყვეს შენი ღიმილი,
აჰ ჩამოგადოს ქარიშხლის ტალღამ,

როგორც ღამეში გზას შეცდენილი
მარად მონახავს მნათობს მნათობი,
მე ჯავახეთის მთებს შერჩენილი
თან ვავიტაცებ ირმის ნახტომით.

შეხველა

სალამოს შვიდი საათი იქნებოდა, დეპეშა მოიტანა ფოსტალიონმა. ვილაც უცნობი მატყობინებდა თელავიდან. ფირანს ცოცხალს მოუსწარიო. თავზარი დამცა მოულოდნელმა ამბავმა. ის იყო გუშინ წინ სალ-სალამათი კაცი მატარებლამდის მივაცილე, დღეს კი სიკვდილს ებრძვის თურმე... რა დავმართა ასე უეცრად? განსჯის დრო არ იყო, უნდა მივპატრონებოდი მოხუცს. სხვა არავინ ვააჩნდა ამ ქვეყნად.

დიდი ხანი არ იყო, რაც ფირანს ვიცნობდი. ზამთრის ერთ ღამეს, როს პირველი თოვლი თეთრ ნაბადში ახვევდა ტფილისის სანახებს, ქუჩებში ვეხეტებოდი. გვიან იყო. აქა-იქ თუ გაიეღვებდნენ ადამიანთა ლანდები. ბარდნიდა ძალუმად, თოვლით ივინგლებოდა ყველაფერი. თოვლის კაცს ვგავდი მეც-მივდევი ქუჩებს ხალისიანი. შევტრფოდი თოვლის ფანტელებს. ვილაცს წამოვეწიე. ფორხილით მიდიოდა ჯოხს დაყრდნობილი. აუსწლტა ფეხი. ხელი შევაშველე გაქანებულს. მადლობის თვალით გადმომხედა მოხუცმა, მკლავზე დამეყრდნო. ქუჩებს გავყევით ერთად. ვმასლაათობდით, პირველ გაცნობილთ რომ შეჰფერით, ისე.

ასე გავიცანი ფირანი....

შემდეგ ხშირი სტუმარი შევიქენ მისი. ვიჯექე იქ ზამთრის გრძელ ღამეებში ბუხართან, ყურს ვუვღებდი მის ტკბილ საუბარს. ენამქვერი იყო ფირანი.

იმ ხანებში ჩამოსულყო ფირანი ტფილისს. აქამდე ადამიანებს მოწყვეტილი ვცხოვრობდით. ახლაც მოწყვეტილი იყო ადამიანებს. თუ არ დიდი აუცილებელი საქმე, ხმასაც არ გასცემდა არვის. სულიერთაგან ორი მეგობარი ჰყავდა: ალმასა და... მე.

ფირანი ხშირად ყარაიაზზე დადიოდა სანადიროდ. თუ ტფილისში ჩარჩებოდა, ზოოპარკში ატარებდა მთელ დღეს, ელაციცებოდა მხეცებს. მხეცები საერთოდ უყვარდა ფირანს. სევდიან გულს იქარებდა მათთან ალერსში. ყურადღება მიაქციეს მოხუცს. რაღაც ადგილი გამოუძებნა ზოოპარკის ადმინისტრაციამ.

ხშირად ზოოლოგიური შინაარსის წიგნებს გადმიშლიდა ფირანი. მიხასიათებდა ცხოველთა სხვადასხვა ჯიშებს. ამასწინათ ამბავი დაირხა: ალაზნის პირად მწყემსებს ავაზები უნახავთო. ბავშვივით გახალისდა მოხუცი: ბადეები, ხაფანგები გააწყო. სანადიროდ გამოეწყო ჩვეულებრივი გულმოდგინებით.

მატარებელი რამდენიმე წუთსღა ითვლიდა გასვლამდის, ფირანი ვაგონის სარკეკელს გადმოყრდნობოდა და მესაუბრებოდა. გატაცებით მიწერდა ავაზას ნატიფოზას!..

„ახლა რომ ხელში მყავდეს, სიყმეს ვფიცავ, ვერ გავძლებოდი მისი კოცნით!“ სთქვა ბოლოს. მე მომიბრუნდა შემდეგ.

„შენ რას იზამდი?“

„ეგეთ ლამაზ მხეცს მეც გადავკოცნიდი“.

გავიღიმე, მერმე დავუმატე:

„მისგან კოცნა მომიხდა, ვინც მწვავს ცეცხლითა ცხელითა“.

ფირანსაც გაელიმა. ნელნელა ჩაუქრა ღიმი თვალებში. ნისლმა შებურა ცრიატი სახე. ხელი გამომიწოდა, „კეთილ შეხვედრამდის“ მომიგდო და სარკმელს მოშორდა. აღარ გამოუხედა, ისე წავიდა მატარებელი.

გული მეტკინა. ვინ იცის რა მტკივან ადგილზე დავადგი ფეხი...

მეორე დღეს აღრიან მოვძებნე ფირანი. თელავის საავადმყოფოში იწვა. მორიგე ექიმი ამაოდ მარწმუნებდა, ჯერ ადრეაო; ძალით ვაპირებდი შექრას. საავადმყოფოს დირექტორი შემოგვესწრო, შემდეგ — სხვა ექიმებიც. დამიყოლიეს დამეცადა ცოტა.

შევიტყე, დაჭრილ ყოფილა თურმე ფირანი. ავაზას დაუფლეთია ოხერს. ექიმები გადარჩენას ირწმუნებოდნენ. ბაკური სწამლობსო, იგი უებრო დოსტაქარიაო. საეგებო იყო მაინც გააფთრებული მხეცის მიერ გაბღვნილი ადამიანის გადარჩენა.

მოსაცდელ დარბაზში შევედი. გლეხი დამხვდა ვილაც, თავი დაეღო და იატაკს ჩაშტერებოდა. გულმა გამწია მისკენ. გვერდზე მიუჯექი. ხანდაზმული სჩანდა იგი. მთლად თეთრად შელავდა თმაწვერი. ჯაგარა თმა მარჯვნივ წამოშლოდა შუბლზე. მის ლაყლაყა სახეს თუშური ქუდი დიდებულ იერს აძლევდა. ფირანს ძალიან მოსწონდა ეს ქუდი. ხშირად ატარებდა თვითონ. იტყოდა, ამაზე უკეთესი, სიმსუბუქით და გამძლეობით, მსოფლიოში არაფერი მოიპოვებაო.

„თქვენი, ვინმეა აქ?“ — ვკითხე გლეხს მოკრძალებით.

თავი ასწია, უგულოდ დამიქნია, ნიშნად თანხმობისა.

„რითაა ავად?“ ვეკითხები კიდევ.

„მხეცმა დაფლითა“, მომიგო კანკალიზ.

„მხეცმა?“

„ღიად!“

„როგორ?“

„როგორ და ისე!“ შემიწყრა იგი.

ხელი დავადე მხარზე. ვეუბნები.

„გამიგონე ძია კაცო!“

„ხო!“

„თქვენ ფირანთან ხომ არ ხართ?“

„ღიად! თქვენა?“

„მეც... ტფილისიდან ამოველ ახლახან.“

ატირდა მოხუცი. მუჭით ამოიმშრალა ცრემლები. ნათლიმამა ყოფილა ფირანისა. აღარ ენახათ ერთმანეთი ოცდა შვიდი-რვა წელიც იქნებოდა. ახლა მასთან ამოსულიყო. ერთად წასულიყვნენ ავაზის შესაპყრობლად. შამბნარს მისდგომოდნენ ერთს. გეში აეღო აღმასას. ფირანი გაჰყოლოდა მას. ნათლიმამისათვის თავსმოვლა დაუვალეზია. ფირანი ნაუცბათევედ გადაყროდა მხეცს. ძუ ყოფილიყო ტიალი. ძუძუს აწობდა თურმე ლეკვებს. წამოჭრილა, ძგერებია თავსწამომდგარს. დროზე შეუნიშნავს ნათლიმამას, თოფი კი ვერ უსვრია, ვაი თუ ფირანი გავაფუჭოო, უფიქრია. გაუძვრია სატეგარი.

„საიდან მომეცა მოხუცს ძალა მიკვირს. თითქოს ოცი წლის ჭაბუკი ვყოფილიყავი, ვისკუბე... გავსნიპე ავაზა! ღმერთმა ააშენოს, დროზე მოგვაშველა კოლმეურნეობამ ავტო“. იმედოვნებდა, „გადარჩებაო ფირანი. სწორუპოვარი დოსტაქარია ბაკური, ბევრი უხსნია მის მარჯვენას სიკვდილისაგან. ახალგაზრდაა სრულიად, მაგრამ დიდად მცოდნე თავის ხელობისა“.

შევევით საუბარს. თან წუთებს ვითვლიდით ჰაჰჰარ.

კვირობდა ნათლიმაშა.

„როგორ გადარიეს ნადირებმა ეგ კაცი. (გიჟს გავდა ავაზას ხსენებაზე. საკვარველია: ვუყურებდი, ავაზა მკერდს აბღღენიდა, შინც ღიმი აჩნდა სახეზე. სანამ გონთ დაკარგავდა, მოასწრო გამწყრომოდა: რად მოკალიო. შენი მისამართიც მომცა თან, ძალუმ ინატრა შენი ნახვა“.

... ველირსე, როგორც იყო. ბაკური ვნახე, ნება მომცა ფირანთან ყოფნისა.

ფრთხილად მივეუახლოვდი ავადმყოფის საწოლს. თვალმოხუტული იწვა იგი. ისედაც გამხდარი სახე ძვალ-ტყავად ქცეოდა. თვალთა უბენი კეფას მიკროდნენ თითქოს. გათანგული იწვა, არტახებით შეკრული. სასთუმალზე ჩამოვჯექი. ჭრაჭუნმა გამოაღვიძა ფირანი.

„ოჰ, შენ!.. რა მიხარია... როდის ჩამოხველ?“

„ამ დილით, ვწუხვარ უფრო აღრე ვერ მოგისწარი!“

„რატომ, რატომ, ძმობილო! რა მოვალე ხარ!.. სხვა, რასა იქ?“

„მე რა მიჭირს, ბატონო ფირან. თქვენი ამბავია საკითხავი!“

„ჩემი?.. არა მეგობარო! მე ჩემი დრო მომიჭამია. ჯაჰნაბას, ავი იყო თუ კარგი — წუთისოფელი გადავმტკავლე, ცხოვრებას ისე ვამთავრებ, როგორც უნდა დამემთავრებინა. შენ იცი, რატომ შეგაწუხე, ძმაო? მინდა გთხოვო, ერთი სამსახური გამიწიო სამარის პირას მისულ კაცს.“

„რას ამბობ, ბატონო ფირან, რა დროს სიკვდილია!“

ექვანარევი რომ იყო ეს თქმა, შემატყო. გაიღიმა.

„დიად, დროა!.. მე მოვკვდები. სიკვდილი... გლოვა წუთიერი. მე კი არვინ მყავს ჭირისუფალი, გინდაც მყავდნენ, იწუწუნებდნენ ერთხანს და მერე მიმივიწყებდნენ. მე ერთს გთხოვ... მოდი ჯერ გითხრობ, ყური მომაპყარ“.

გარინდდა ერთ ხანს, ეტყობოდა ხანგრძლივ საუბრისთვის ემზადებოდა. ლაპარაკი კი ვინ იცის როგორი სავალალო ყოფილიყო მისთვის, კაცს ყოველგვარი იმედი გადაწყვეტილი ჰქონდა და არ უფრთხილდებოდა თავს. მოვალე ვიყავ გავფრთხილებოდი

„ბატონო ფირან, თქვენთვის ეგებ საზიანო იყოს ხანგრძლივი საუბარი. შემდეგისათვის გადავდოთ... აი, მომჯობინდებით და...“

თავი გაიქნია ფირანმა.

„ჩემთვის სულერთია, საამქვეყნიო პირი აღარ მიჩანს“.

მე არ დავანებე შინც. ბაკური მოვნახე, ვკითხე: ხომ არ აწყენდა ლაპარაკი ფირანს. შეიძლებაო, მითხრა. გამაფრთხილა ოღონდ, თუ შეატყო აღელდეს, ლაპარაკის ნება აღარ მისცეო.

... ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიყვებოდა ამბავს ფირანი. დილამდის გასტანა ამან.

„... ჩემი სიჭაბუკე ცხრაასხუთი წლის რევოლუციის პერიოდს დაემთხვა. მოსკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობდი მაშინ, მუშათა წრეებში ეტრიალებდი და მარქსიზმის კლასიკოსთა შესწავლას მივყავ ხელი. ბარიკადებზეც ვიდექი“.

და ახალგაზრდული ცეცხლით ვჭეხდი ჩვერლუციურ ლოზუნგებს... ძალა მოიკრიბეს ბნელეთის ურჩხულებმა, ლეშით აავსეს მიდამო. ყვავ-ყორნები ყიოდნენ ცაში, გახშირდნენ სახრჩობელები. მუშური მაცჯა კვლავ ძალუმად ფეთქავდა მაინც, იატაკ ქვეშ იჭედებოდა ახალი ყუმბარა.

ავწუწუნდით უხერხემლონი. ცრემლი დაგუბდა ჩვენს თვალებში, ცრემლი დიაცისა. სახრჩობელამ შეგვიკუმშა გული. ოხვრა წუწუნით ვალამებდით და ვათენებდით.

ციხე მაწვენევინეს „ცოდვებისათვის“. შემდეგ დავბრუნდი ჩემს სამშობლოში. მამას დიპლომის მაგივრად მეფის მოლაღატის სახელი მივუტანე. სიცივემ დაისადგურა მის გულში. დედის სიტბო მაკავებდა შინ. გაჭრას ვლამობდი, გადაკარგვას. სად წავიდოდი კი!.. ხერხემალმოშლილი სხეული, დაცემული სული სად გაიტანდა თავს!

უემურად გადიოდა ხანი.

მთელ დღეს ლიახვის პირად ვატარებდი, შევეტრფოდი აქაფებულ წყალს, ლალად რომ სჩქეფდა. მისი ცივი უხეფებით ვივრილებდი მოთენთილ სახესა და გათანგულ გულს. კავკასიონის რიხი მოჰქონდა, რიხი და უდრეეკლობა, აზვირთებულ წყალს. კავკასიონის ძალა იდგა მის ძარღვებში. მიჰჭეხდა და სარკენად იწვევდა ყველას. ფლატეებს შლიდა, არღვევდა, ქვას-ქვას ახლიდა, მოჰკიჟინებდა თავქუდმოგლეჯილი. და ეს ძალა აზავთებული მშურდა წყლისათვის. ვნატრობდი, ჩემს ძარღვებშიც გამჯდარიყო იმისი რიხი, მაშინ შევძლებდით მხოლოდ ჭიდილს ბოროტებასთან, მაშინ შევძლებდით მის იავარქმას.

ვიჯექი მთელ დღეს. ქავლებს დავთამაშებდი წყალში. სიცოცხლე ბრძოლით აღსავსე მსურდა, მებრძოლის სულს შევთხოვდი ბუნებას.

დღე ჩვეულებრივ ილეოდა.

მთაფრი ყივილით ზერავდნენ ცას არწივთა გუნდები, მათი ფრთათა ქარიც მაძრწუნებდა სავათმიხდილს. ახლა ფრენის უნარს ვინატრებდი, ცაში ნავარდს, ეგებ იქ მიმეკვლია რასაც ვეძებდი. მაჯრამ შქონდა კი ძებნის თავი? მე შვება მსურდა, სხვა ყველაფრისთვის უვარჯისი ვიყავი, ხომ ვეცადე ერთხელ ხმა შემერთო აზავთებულ ტალღის ჭუხილისათვის, მაგრამ უკვალოდ განჭრა იგი. მეტად სუსტი იყო და მიტომ... ბრძოლას ჩამოვრჩი. ბრძოლის გარეშე დარჩენილი უიმედო, უიდეალო კაცი ჩვარს ემსგავსება. მეც ჩვარი ვიყავ. რომ არ მსურდა ჩვრად ყოფნა?..

...წყანწყარები ლალად წრიპინებდნენ ჩემს ორგვლივ, ქვიდან ქვაზე ხტოდნენ ნეტარნი. ბოლოქანქალით შეჰყვებოდნენ რიყეს ერთხნობით, ვადაშვილდავდნენ მერმე ცას. ნეტავი იმათ! ცაში შეეძლოთ ასულიყვნენ, დაბლაც ვიდოდნენ.

ყოველი დილა ფრინველთა ლალი ჰიკჰიკით იწყებოდა და ლამის მებრეთთა იმედიანი შეძახილით:

ტოროლას მაინც არ მოვკლავ,
ბევრიც რომ მქონდეს წამალი,
საწყალი ლამის მებრისა
ის არის კარგი მამალი.

მერე ცხრაუღელა ხარ-კამეჩი ქაპანს გასწევდა. გარუჯული მებრეები უღლებზე შემოხსდებოდნენ, ოროველას გუგუნში კლავდნენ ბედის უკუღმარაობას, საწყურთროს ბალღამს.

გალმა კორიანტელი ადგებოდა, ურმების ქარავანი ჩნდებოდა ლანდად, სახლს მოახლოებული მეურმეები მღეროდნენ:

გზა სიარულმა დალია,
სიბი ქვა წყლთა დენამა,
ლაბაში ქალი და ვაჟი —
ერთმანეთისა ცქერამა.

ასიცხებულზე მწყემსი ბიჭები გალექებულ კამეჩებს ლიახვში ჩარეკავდნენ, გამხმარ ზურგებზე შეასხდებოდნენ, უტყაპუნებდნენ შიშველ ფეხებს. გადენიდნენ გალმა. მერმე ქვიშაზე გადადიოდნენ მალაყს. ნეტარებდნენ წუთით ნაადრევად ჭაპანსშებმულნი.

„კვლავ აქ ზიხართ თქვენ, საკვირველია, ასე ძალუმად რამ შეგაყვართ ლიახვი?“

მოულოდნელად მესმა ასეთი სიტყვები. ნაზი იყო ისე, როგორც ნიავე დღის მიდრეკისას. მემამა. არ შეგვრხეულვარ მაინც. ვის რას ვაკითხავ, რატომ შემიყვარდა ლიახვი, ან ვინ მკითხულობს? მეგობარი რომ არავინ მყავს!

„რად სდუმხართ, მეგობარო!?“

„ვინ ოხერია!“ შეჰკიჟინა გულმან ჩემმა, წამოვიჭერი... თითქოს მახვილი დამაბჯინა ვინმემ ნაუცბათევეად. გავშეშდი, ქალწული იდგა ჩემს წინაშე, ქალწული სახიერება მშვენიერებისა, ამოდ უთრთოდნენ ალანძული ლოყები. ძლიერი მღელვარება ემჩნეოდა დატალღულ მკერდზე.

„დიდ ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, უზრდელობისათვის!..“

მუხლამდის მოვდრიკე თავი, ქარისგან გადაგრეხილ ალვას ვგავდი, ალვას, მეორეს მხრიდან რომ უცდის დაქროლვას, რათა კვლავ წელში გაიმართოს.

„გებატიებათ, მოულოდნელად დაგატყდით თავს, მოულოდნელია ამიტომაც თქვენი ქცევა“.

„რაც უნდა იყოს, დიდი ზრდილობა მართებს რაინდს ქალბატონის წინაშე“.

ილიმის ქალი.

„მე ზომ თქვენი ქალბატონი არა ვარ!“

„... ეს თუ მიხსნის!..“

რიყეს შევეყვით ნელის ნაბიჯით.

„ვინ ბრძანდებით, ქალბატონო, ასე უეცრად მოვლენილი?“

ვკითხულობ მოკრძალებით.

„ვერა მცნობთ განა?!“

„აბა, საიდან? პირველად გხედავთ!“

„პირველად მხედავთ?! დაგვიწყებიათ სიყმაწვილე!“

შემდეგ ნეტარად წარვლილი დრო მომავონა ყრმობისა და ამილახვრიანთ პატარა გოგო.

„მანანა, შენ ხარ?!“ ვკითხულობ განცვიფრებული. „ჰაეროვანს დამსგავსებულხარ, ქალო!“

მილიმის მანანო.

მითხრა: ყოველ დღე გხედავ ლიახვის პირასო. მივხვდი შენს უღიმღამო ყოფას, რაღაც ბალაში უნდა ჩაგწვეთებოდეს გულში. უნდოდა აქამომდეც გამომცნაურებოდა. ეგებ ეფონა ჩემს გულისთვის. ვერ კი გაბედა დღევანდლამდის, ქალწულებრივი სიმორცხვე ჰბოჭავდა და ბატონკაცური სიამაყე.

„ასე გარე-გარე რატომ დადიხარ, ფირან?! მშვიდობას ხომ არ ეძებთ? აქ რას იპოვით!... ცივია ქვეები, ლიანვიც ცივი, შენ სითბო გინდა.“

„ჩემი ბუნებაც ცივია, სიცხეში ვპოულობ შევებას. ეპ, დავანებოთ ამას თავი!.. შევებას ვინც ეძებს, დიდებისათვის არ არის ის დაბადებული. ცხოვრება ქუხს, გრვეინავს, თავადაც თუ არ იქუხე. განადგურდები“.

„რატომ არ იქუხებთ, მერე ფირან?..“

„ვიქუხე, მაგრამ ხმა ჩამიწყვიტა, ფრთები შემომამდღენა ცხოვრების ქარიშხალმა, გოდებლა მხვდა წილად!..“

მალე დამემშვიდობა მანანა. სახლამდის მივეყევი. სპეტაკი ქალი სჩანდა. ამოდ მხედებოდა მისი ნაუბარი. სულის სინაზე მოსჩქეფდა მის სიტყვებიდან. ოპ, რა მისწრება იყო ჩემთვის ნაზი სული!.. სულის სავანედ დავსახე მანანა ქალი. ლტოლვილი აფრა შეიფარე, ლტოლვილი, ქლავ!..

„მშვიდობით, ქალბატონო!“

„მშვიდობით, ფირან! ხშირად მოდი ხოლმე ჩვენთან, ძალიან გთხოვ! სიტყვები ჩვენს სახლში. ძმა-რძლები ქალაქად არიან წასულნი. მარტოდენ მოხუცი დედა-მამაა შინ... მოხვალთ?..“

„ვერ შევძლებ, მანანო. თქვენი წრე მაღალია უფრო... სიახლოვემ ეგებ დამიტანოს ქვეშ“.

„ნუ იტყვი ამას, ფირან!.. მე გთხოვ მოხვიდე!“

ო, რა მძაფრი მოწოდება იყო ამ სიტყვებში, განა შემქმნო ვაჯიუტება?! შით უფრო, სათუთი სული საით შესძლებდა მასთან ჭიდილს, შეველაგი...

კვლავ თხოვნა:

„მოდი!“

აფრთოვანებულს მსურდა მეყვირა: მოვალ, მოვალ, ეგებ შენს იქით... ხმადაბლა ვუთხარი.

„კარგი!“

უამი გამოხდა.

ძალიან დაეუახლოვდი მანანას. ხშირად ვისხედით კაკლების ჩრდილ ქვეშ, საღამოთი სახლის აივანზე, დავმზერდით მჩქეფარე ლიანვს, ჩვენი სისხლიც ხომ ასეთი აჩქეფებისკენ ილტვოდა... ვამჩნევდი მელანქოლიის მაგივრად მანანას სახე იკრებოდა ჩემს გულში. ბურუსს ფატრავდა ნათელი...

ჯერხნობით მყუდროება სუფევდა ამილახვრიაანთ სასახლეში. მალე მანანას ძმა-რძლები ამოვიდოდნენ, მოჯარდებოდნენ ნათესავებიც. ღრეობა დაისადგურებდა ირგვლივ. ვფიქრობდი, აღარ იქნებოდა ჩემი ადგილი აქ. ვერ შევძლებდი მათთან შეგუებას. მანანას მიტოვებაც მიძნელებოდა. რაც ხანი გადიოდა, აღელვება მეტყობოდა. მანანა მოახლეს მოუხმობდა, განოს. მასთან გულუბრყვილო საუბრით ცდილობდა ჩემს გართობას:

„გოგო განო, ძალიან გიყვარს ღვთისო?“

„უი, ქალბატონო!“

დაირცხვენს განო.

„ნუ კრთი... ფირანი შინაური კაცია“.

გათამამდებოდა განო. მკლავებს გულმკერდზე შემოიჭდობდა, გააჟოჟოლებდა.

„უიმე!.. როგორ, ქალბატონო!“

„ღვთისოსაც უყვარხარ?“

„მაშა!“

„ხომ არ გიწყრება ხოლმე?..“

ფერფურმა აპკრა სახეზე განოს.

„გამიწყურება ხოლმე... იმ დღეს ქვაბებს ვხეხავდი. ჩახრიელაზე ვიყავ გა-
დახრილი. მოჯამაგირეები იდგნენ შორი-ახლო, იცინოდნენ... მე თუ დამცი-
ნოდნენ ვერ გავიგე. ზეთისოს შეესწრო თვალი, მომეჭრა, დამიბღვრა... უიმე
როგორ!.. კინალამ გული ამომივარდა!.. რა არის, მკერდი რომ გავიშიშვლე-
ბიას, აღარ ვნახო მეორედო, უი როგორ მიყვირა!.. ქალბატონს ძველი აზლუ-
დი ექნება, სთხოვე და შეიხვიეო“.

მანანას აღმურმა აპკრა სახეზე. გავიღიმე. არ კი შევამჩნევინე.

„ბედნიერია განო!“

სთქვა მანანამ, როცა ის წავიდა.

„რაა მოახლეობაში საბედნიერო?!“

„გააჩნია ვისი მოახლეა!...“

„ვისიც უნდა იყოს!.. განო კი ბედნიერია არა იმიტომ. რომ შენი მოახ-
ლეა, არამედ, რომ უყვარს... აი მიზეზი მისი ბედნიერებისა... მიზანი აქვს... აი
შინაარსი მისი ცხოვრებისა“.

... მეტის ატანა აღარ შემეძლო. სიყვარულმა დამრია ხელი. აღარ შემეძ-
ლო აუღლეველად შემეხედნა მანანას სახისთვის. ვატყობდი მასაც ასევე მოს-
დიოდა. ეს თითქოს კმაროდა ჩემთვის გამბედაობის მოსამატებლად. მაგრამ
ჯერხნობით სურვილი ოცნებას არ სცილდებოდა. ოცნებაც გაუბედავი იყო.
მეტად. მორცხვი.

ბოლოს გავენდეთ ერთმანეთს.

მწუხრი იყო ჩემს გულში. ვენტარებდა სხივმოსილი, ვით ია დილით
სხივნაპკურები. მეც მიყვარდა... მიზანი მექნებოდა და შინაარსი, სიცარიელე
ლტოლვილი იქნებოდა ჩემგან. ბრძოლის გზაც შესახებოდა და ნეტარებისაც.
დასტამალა აღარ ვიქნებოდი. შევძლებდი ლიახვივით ჩამომეშალა ფლატეები,
დამებდღენა ციხეები, შეყეფნა ლოდებზე.

...ამილახვრიანთ სასახლე აივსო შინაურებით თუ სტუმრებით. ღრეობაში
ჩაიფლო. ეს სრულიადაც არ მიტაცებდა მე, იშვიათად თუ მოვხვდებოდი მო-
ჭიფეთა წრეში. არც მანანას ძმებთან მქონდა მეგობრული კავშირი, განლ-
ტოლვილი ვიყავი მათგან. ხანდახან მანანაც დაიძვრენდა ხოლმე თავს, დავ-
ყიალბდით ბაღ-ვენახებში, ველმინდორზე, ყურს მიუპყრობდით ტოროლათა
ჟღერტულს, ვივსებოდით ხალისით. ალლო აულეს მანანას დედ-მამამ და ძმებმა
ჩვენს დაახლოებას, აშკარად შეეტყოთ სიძულვილი ჩემდამი. მანანას პირდაპირ
ვერაფერს ეუბნებოდნენ, ისე კი ანიშნებდნენ ხოლმე, მოვეშორებინე თავიდან.

გადიოდნენ დღეები,

მანანა უგუნებოდ შეიქმნა. თავი ეჩინა სიყვარულის ნაყოფს. ახლოხანში
შვილს ველოდით. გვეშინოდა ტრფიალების გამჟღავნებისა, და ჰა.. მუწუკი
თავს რომ არ დამალავდა, არ ვიცოდით, ვერ ვხვდებოდით, განსაცდელს რომ
გვიქაღდა ნაქურდალი სიყვარული. მანანას აძრწუნებდა ის ამბავი, რომ გასწი-
რავდნენ მახლობელნი ჩემთან კავშირისათვის. ძმები ლუკმა-ლუკმად ასჩეხავ-
დნენ სირცხვილის მოსარეცხად.

თავადის ჭალი და გლეხის ვაყი!

აჰაუ, რა დამდაბლებად ეჩვენებოდათ.

დიდი ხანი გავიდა, აღარ მენახა მანანა. თავშიდაკრულივით დავდიოდი.

ერთხელ გავიჭერი ბრძოლად, მაშინვე დავმარცხდი. ქიმერებმა დამიკორტ-
ნეს გულმკერდი, მომირღვიეს ალთქმის სამრეკლო, დამინჯკრიეს ოცნების ხუ-

ხულა, მაინც არ დაგნებდი, კიდევ გავიჩინე საოცნებო, ახლა იმას შევეტყებე მართმევენ მასაც... ასე მოვთქვამდი ილაჯმოწყვეტილი.

მაშ ხსნა არ არის?.. არის! ბრძოლით მოიპოება იგი.

ამ გადაწყვეტილებით ამილახვრიანთ ეზოში შევიჭერი. ქალთა შეკვივლება მესმა, კაცთა ბუხუნნი. მუხლმა მისუსტა, გული კი კაჟობდა, ყიოდა ბობოქარი-სახლს ბოლოდან მოვუარე, მივაყურადე.

წუწუნებდა ვილაც.

„დამადგეს ნამუსზე ფეხი, ხომ!.. ვაჲ, სირცხვილო! წამიმურტლეს წმინდა ოჯახი“ — უცებ შეჰკიჟინა: „ჩაჰქოლეთ, ჩაჰქოლეთ ულიჩსი შვილი“.

ეგ მამა იყო მანანოსი.

ქალები ამშვიდებდნენ; თავათაც შესწრიბინებდნენ ხოლმე.

ცოფმორეული გამოვარდა მანანას უფროსი ძმა აივანზე. სატევზრი გაიძრო, მზეს შეასხიბა სხივები, კიბეზე დაეშვა. ცოლი გამოჰყვა წივილით: მობრუნდიო, მიჰკიოდა. რა ღირსია შენი ხელი რომ შეეხოს მურტალს. სახლში მობრუნდიო. ქმარმა სრბოლას უმატა. ცოლი ჩაიკეტა და ვიშვიში მორთო.

ნათელი შეიქმნა ჩემთვის ყველაფერი. ვაიგეს ალბათ!.. გაცოფებულნი მანანას გასწორავენ გვარის „სიწმინდისათვის“, ეჭვი არაა! მერე მე რა ვარ, კაცი ვარ ხომ, აღმიანი? განა საეჭვოა ეს!... მაშ სინდისში რომ მაფურთხებენ, გულზე ფეხი რომ დაუბჯენიათ, მსრესენ, რათ არ ვინძრევი!.. გავინძრევი, ვიქუხებ, ჭეყანას შევძრავ. ვიყვირებ: მე, მიყვარს გესმით, მიყვარს, მოვალენი ხართ გაუწიოთ ანგარიში ჩემს გრძნობას!

აივანზე ავევარდი. განო შემეხეჩა.

„ფირან, აჰ რა გინდა! ჩქარა, შენი ჭირიმე, თავს უშველე! ჩქარა! ჩქარა მეთქი. გესმის!.. ყველაფერი ვაიგეს. მოსაკლავად არ დაგინდობენ, თუ თვალი შეგასწრეს“.

ხელი წავავლე განოს, შევანჯღრიე.

„მითხარი, გესმის! მანანასი მითხარი რამე!“

„აღარა უჭირს რა მანანოს, ვაჟი ეყოლა. განაცხადა, რომ მამა შენა ხარ.“

წარმოიდგენ შენ ჩემს მდგომარეობას? არა, არა მგონია! შვილი მეყოლა, შვილი!.. გვირგვინი სიყვარულისა, სავანე ნეტარებისა!.. მერე?.. უნდა დავისაჯო, რადგან შვილი მეყოლა. სხვასაც ხომ ყავს შვილი? მას არ ეხება არავინ. მას ჰქონდა შვილის ყოლის უფლება, მე რატომ არა ?!..

განო მანჯღრევედა, შემუდარებოდა, ცრემლებს ღვრიდა ჩემთან ერთად.

„გესმის ფირან?.. გაშორდი, წადი, მანანო გთხოვს, მანანო!“

კვლავ ისმოდა:

„ჩაიჭოლოს თავლაფდასხმული, ოჯახის შემარცხვენელი“.

კარები გავადე, ჯიქურ შევიჭერი, შევკიჟინე:

„ჰეი, თქვენ ხმა გაიკმინდეთ! ვინ უნდა ჩაჰქოლოთ, სიყვარული?“

ანაზღეულად მეძგერა მანანოს უმცროსი ძმა. ხელი გავავლე.

მანანოს ოთახის კარები გაიღო, მისუსტებული გამოვიდა ჩემი ღვთაება განოს მხარზე დაყრდნობილი.

ამოიძახა:

„მოიცათ!“

ხმა სუსტი იყო, მაგრამ მტკიცე.

ხელი გავუშვი მოსისხლეს. მანანოსკენ გადავსდგი ფეხი.

„ფირან, წადი, გასაგლეჯად არ დაგინდობენ!“

უკუვიქეცი, კარებთან ავიტუზე. სურვილი მწვავდა—გულში ჩამეკრა იგი, გულში ჩამეკრა და ქვეყანას შევჭიდებოდი, მაგრამ...

ამზობდა მანანო:

„თქვენ მძრახავთ გლეხის სიყვარულისათვის. ჩირქაო ეგ გვარისათვის. დე, ასე იყოს! მე უღირსი შვილი ვარ თქვენთვის. გამწირეთ, ჩამქოლეთ. შეუ-
რაცმყოფელს მომთხოვეთ პასუხი. მაგრამ რა დაგიშავათ, რად მომტაცეთ მკერ-
დიდან არსება, რომელიც მხოლოდ გულში დავიბადა? ჯერ ხომ თვალი არ აუ-
ზელა. რატომ წარმტაცეთ. რა უყავით??? შვილი, შვილი, ჩემი შვილი! რა
უყავით, ადამიანებო?“

ხმამ უსუსტა. გულმეწუხებული გადაიქცა უცებ.

დაეცქერი გულშემოჭრილს. ქეჩოში ჩამავლო ვილაცამ ხელი.

„მოშორდი ემ, მურტალო.“

მიყვირა მან.

„თქვენ მოჰკალით ადამიანი, წაბილწეთ მისი უმანკო სული, მე რად არ
მძძღვეთ უფლებას მასში გადავრგა ჩემი სუნთქვა, რომ სიცოცხლეს დავუბ-
რუნო, სატანებო!..“

ვიყვირე და მიძალბებულს გავარტყი. სატევარი იმიშვლა მან.

...ღვთისო შემომესწრო, მან მიხსნა.

ოსეთის მთებში გადავიხვეწე მეორე დღესვე.

მოჯამაგირედ დავუდექი ერთს. ცხვარს ვმწყესავდი. ვტიროდით მე და
ჩემი სალამური, ვგოდებდით, და გოდება იგი არსად მიდიოდა ჩემს იქით. მო-
ქუფრულნი დამყურებდნენ მთები. ჩხრიალებდნენ ჩანჩქერები. შრიალებდნენ
ტყეები. ჭარაფებს დაჰყოფდნენ არწივები. მზე კვლავ ცხოველი იყო და მოლი-
მაჩი. ვტიროდი, კვენესოდი, არავინ ფიქრობდა ეფონა ჩემთვის. ამაოდ კუნტ-
რუშობდნენ ციკნები, ლაღად კოტრიალობდნენ მოლზე.

რა იქნა ბავშვი?

ღვთისოსთვის გაეტანებინათ ის. სადმე მიაგდე, ადრეულად წუთისოფელი
მოუსწრაფე, მაგის სუნთქვამ გარემო ჩვენი არ მოშამოსო.. წაეყვანა ღვთისოს.
უკან მობრუნებულს ჩვრები მოეტანა სისხლიანი. ძალღებს შევაჯამეო, უთქ-
ვამს. დაუმაღლიათ ბატონებს სამსახური, მიწა უჩუქებიან, განო შეურთავს და
დასახლებულა.

მანანო ცოცხლობდა, მაგრამ, ვამ იმ სიცოცხლეს, ძვლები იყო ცარიელი,
შვილის დარდი კლავდა და ჩემი. სახლშიაც აბუებული ყავდათ, რას გავდა მისი
სიცოცხლე? შეხედებოდა ღვთისოს, მიჰკიოდა: „ჩემი შვილი! ჩემი შვილი!..
ადგილი მაინც მაჩვენე, ადამიანო!“

გარბოდა ღვთისო, ვერ უძლებდა შემზარავ ნათქვამს. ეთუთქებოდა ვაე-
კაცს გული. ვეღარ გაუძლო ბოლოს, კაცი იყო, ქვის გული ხომ არა ჰქონდა!
კოლს განდობოდა ერთ დღეს.

„მეტის ატანა აღარ შემიძლიან, ლამის ცოლდით დამწვას მაგ ქალის ყურე-
ბამ! უთხარი მანანოს, ცოცხალია—თქო შენი შვილი. სანდო კაცი ზრდის, ბაკურ
ფირანიშვილის სახელითაა მონათლული თქო“.

ეხარებინა განოს ეს ამბავი მანანოსათვის. მეზობლებსაც განდობოდა!
მთელ სოფელში დარხეულიყო ხმა. ამილახვირინათაც ჩასწვეთებოდათ ყურში.

მერმე ის იყო, რომ დაჩეჩქვილი იპოვეს ერთ დღეს ღვთისო ტყეში.
დათვმა დაგლიჯაო, ამბობდნენ. უფრო დახედულნი იმ აზრისაც იყვნენ, რომ
მანანოს ძმებმა აწამესო...

ერთი იყრ თუ მეორე, მე შვილი დავკარგე. ვერ მივაკვლიე იმ სანდო კაცს. ჰოდა, ტლუ ვარ, მიუსაფარი!.. ვინაა კაცი, კაცური კაცი, ადამიანი... მაჩვენეთ ჩემი ერთა, მე ხომ იგი არ მინახავს სრულეზ...

ჰოდა ის უნდა მეთხოვნა შენთვის, თუ ნახო სადმე ასეთი კაცი, უთხარი: მშობლების ბრალი არაა, რომ მათგან მოშორებით აღიზარდე, დედის ძუძუ რომ არ გიგეზია და მამის ამბორი, ბოროტმა ძალებმა დასჯაზბნეს და მოგვლი-ჯეს მათ გულიდან-თქო. დედა დარღმა იმსხვერპლა და მამამაც შენს ფიქრში დალია სული თქო.

...ღამე გაიცრიცა. ფირანმა თვალეზი მილულა. გარინდდა გაწამებული.. თავბრუდახვეული წამოვდექი, მეც ვადამდეზოდა ფირანის სულის ჩქოროლე. საავადმყოფოს ბაღში გავედი. მისაღბუნა დილის ნიაგმა, შევეყურეზდი ამომავალ მზის სხივებს, რომ მოვეპარაყეზინათ ცის კიდურზე ღრუბლები, იქ ვეძებდი რაღაცას... რამდენ ხანს გასტანა ამან, აღარ მახსოვს.

ბაკური წამომდგომოდა თავს.

„ო, დილამშვიდობისა, აქა ხართ!“

„იცოცხლეთ, ბაკურ!“ მიუუგე.

მეუზნება ბაკური:

„ძალიან ცუდი გიქნიათ მეგობარო. ხომ გაგაფროთხილეთ ამალეღვებელ რამეზე არ ჩამოგეგდოთ ფირანთან საუბარი. მეტად დასუსტებულია. საეჭვოა! გულახდილად გეტყვი, მეტად საეჭვოა მისი გადარჩენა!.. რა პრის თქვენი?“

„მეგობარი“.

„მხოლოდ მეგობარი, რას ამბობთ! შვილი არ ყავს, ან მახლობელი ვინმე?“

„შვილი არ ყავს, მახლობლებისა კი არა ვიცი რა“.

„ძნელია, ერთნაირად ძნელია, როგორც უმშობლობა, ისე უშვილობა“.

რაღაც ტრაგიკული კილო ჩანდა. რატომღაც ჩაეჭვიდე „უმშობლობას“.

„ხომ არ განგიცდიათ უმშობლობა, მეგობარო?“ რაღაც ისეთ კილოზე, სთქვით, რომ!“

ხელი ჩაიქნია ბაკურმა.

„უმშობლობაო... ხანდახან მაფიქრებდა კიდევ, მართლა ადამიანმა მშობა, თუ მიწიდან ამოვძვერო!“.

„არ მესმის!..“

„სწორე ვითხრა — არც მე მესმის!“

მომიყვა მერმე ორიოდე სიტყვით თავის ცხოვრების შესახებ. ისიც კმაროდა. ოსეთში იზრდებოდა, თურმე, სხვათა კარზე; როგორც შემდეგ გაიგო. ათ წლამდის ისე მივიდა, რომ დედ-მამას თავის აღმზრდელებს უწოდებდა. რა იცოდა ბავშვმა, ქალმა ძუძუ აწოვა და დედად მიაჩნდა. კაცი ანებივრებდა და მამად მოუწოდებდა. გაენდენენ ბოლოს: შენი დედ-მამა არა ვართო, არც ვიცი თ შენი ვინაობაო. ვინც ჩვენთან მოგიყვანა ამის შესახებ არაფერი არ გვითხრაო. შემდეგ ის შემთხვევით გარდაიცვალა. ნიშნად სახელი და გვარი გრჩება, ეგებ მშობლებს ამით მაინც მიაგნოვო. ათ წლამდის ზრდიდენ ისინო. იმ ხანად აჯანყება მოუწყეს ოსებმა მენშევიკებს. დააწიოკეს მენშევიკებმა აჯანყებულნი. ამან იმსხვერპლა მისი დედობილ-მამობილი. დარჩა უპატრონოდ. ეხეტებოდა უპატრონო ბავშვების კვლობაზე... ბავშვთა თავშესაფარში მოხვდა. კომკავშირმა აღზარდა. მიიღო უმაღლესი განათლება, ექიმია დღეს. საამოა სიცოცხლე, ცხოვრება, შაგრამ მშობლები, საკუთარი ვინაობის არ ცოდნა, რაღაც ჩრდილს აყენებს თითქოს...

ჩავაშტერდი ბაკურს. ნაცნობი სახე მიდგა თვალწინ, ნაცნობი. სურათში რომ მენახა ახალგაზრდა ფირანი.

ხელი ჩავავლე მხრებში, შევანჯღრიე.

„ბაკურ, მეგობარო, თქვენი გვარი ფირანიშვილი ხომ არ არის?“

„ჰო!“

ენა დამება, რა მემართებოდა!..

„ბაკურ! ფირანი!.. ბაკურ!“

„რა გემართებათ, ძმობილო!“

„გამიგონე მეგობარო! გამიგონე, ბაკურ!.. შენ მამა იპოვე!.. გესმის, მამა! ფირანი მამაა შენი!“

„რას ამბობ?!“

„მისმინე!..“

და მოვეუყევი ფირანის ნათბარი. ბაკურის თვალები ბუდიდან გადმოვარდნას ლამობდნენ. მესმოდა მის გულის ბაგაბუგი. შეჭარხლებულ სახეზე ალმური ასდიოდა.

დაგვავიწყდა ყოველგვარი სიფრთხილე. ხელი ჩავავლე ბაკურს. მივედი. ფირანთან. ისევე იწვა, როგორც დავტოვე იგი.

ვიყვირე:

„ფირანი, ბატონო ფირანი!..“

წამოიწია ფირანიმა.

„რაო?“

„აი... ფირანი, პატარა ბაკური, შენი ბაკური!“

გაშტერდა ფირანი. ჩაცვივით უმზერდა ბაკურს, რომელიც მთელი ტანით ცახცახებდა. თვალთავან განცვიფრებისა და სიხარულის ნაკვეთებს იპოვდა.

ჩიფჩიფებდა მომაკვდავი:

„თვალები მანანოსია, თვალები... სახის სხვა ნაწილები ჩემი, ტანიც შედგმული... ასეთი ვიყავ ჯველობისას... ბაკურ, შვილო ნუთუ... არ მჯერა, ბაკურ!.. დაიცა, დაიცა!“

თავიდან სურათები გამოიღო, თავისი იყო და მანანოსი. და სამივენი ჩავაშტერდით. ვუყურებდით და... ორთავეს სახეები იყო ბაკური.

„ბაკურ, შვილიყო, გიპოვე ხომ... აღამიანები ყოფილან ქვეყნად, ხომ... დალუპვისაგან ხსნა შესაძლებელი გახდა... ხომ... ნუ კრთი, გულო, ძალუმად... სიცოცხლე მინდა, მინდა ახლა!.. მოდი შვილო, ხელი მომხვიე... სიცოცხლე, სიცოცხლე... თქვენმა მზემ მეც გამათბოს!..“

წამოიწია ფირანიმ, გადაფითორდა. ხელები შეაშველა ბაკურმა, გულში ჩაიკრა.

უკანასკნელად და ამოიძახა ფირანიმა.

„ვაჟ, სული მუხუთება...“

მოზღვავებულმა სიხარულმა გათანგა დაძაბუნებული სხეული:

ფირანი აღარ იყო.

მხაფეარი პაფიფარი

ღამეა, ღუმილს კაცოვით სძინავს,
დაღლილს, დავრდომილს და განაყუჩებს.
აქ უშოვნია შავ ღამეს ბინა
და შეჰფარვია ლონდონის ქუჩებს.

დილეგში ვილაც ბელადის სახელს
ახსენებს, მღერის და ხატავს ცხადად.
ხატავს მზესავით უქრობელ სახეს
და ქვეყანაზე პირველ კაცს ხატავს.

არის ღუმელი ციხის კარებთან,
შეუცნობელი დგანან წამები.
ამ მზეს ხატავდა საკანგარეთაც
მისთვის ტანჯული და ნაწამები.

ამ მზეს ხატავდა, ამ მზისთვის სტანჯეს.
გული ამ მზისთვის დაიცალაო.
თუმცა დაეცნენ თავს რისხვად, ასჯერ
აწამეს, მაგრამ მაინც ამაოდ.

ბნელა საკანში და ახლაც იმ მზეს
აკვდება, უანჭრით ფერებში ახვევს
და ბნელით მოცულ კედლების ქიმზე
ანათებს მისი უკვდავი სახე.

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

ქალაქის მაღალ, ხავსმოკიდებულ კოშკიდან დიდი საათის ზარმა თერთმეტჯერ დაიწკრიალა.

საბარგო კატარლის „წითელი პარტიზანის“ კაპიტანმა თამარ საყვარელიძემ სახეზე ჩამოყრილი ხუჭუჭი, შავი თმები გადაუვარცხნა ქმარს — თენგიზს და ტურებში აკოცა. მერმე გაისწორა ქუდი, გაირბინა ოციოდე ნაბიჯი, შავი კაბა აიწია მუხლებამდე და კატარლაზე ავიდა.

— მოემზადეთ წასასვლელად, — უბრძანა ბოცმანს, ხელი მოისვა მარჯვენა უბეზე და ზღვას ჩაჰხედა. როცა თამარი ადიოდა „წითელ პარტიზანზე“, ფანქარი გადაუვარდა უბიდან და კატარლასთან განაბულ დიდი თევზის მახლობლად დაეცა. შეტოკდა თევზი, ბოლო მოიქნია, დატრიალდა, ჩაიჭრა სიღრმეში და წყალში დასტოვა ვერცხლისფერი წრე და კითხვითი ნიშანი. თანდათან ჰქრებოდა ფოსფორული სინათლე წრისა და წრეში მოქცეულ კითხვითი ნიშნისა, გოაცებას და აღფრთოვანებას რომ იწვევდა კაპიტანში.

სახედანაოკებულ, პირრგვალ ბოცმანის ნიკოლოზ კასტენკოს დიდი, ლურჯი თვალები ცისფერი ყელსახვევივით შემოხვეოდა თამარის მაღალ, თეთრ, ფაფუკ ყელს. აუჩქარებელი ნაბიჯით მივიდა ის კატარლის მილთან, რომლიდანაც სქელი და შავი კვამლი ბლომად ამოდიოდა, სამჯერ დააგუგუნა საყვირი.

— გაანთავისუფლე ბაწრები! — სანაპირო ნაოსანს გადასძახა ბოცმანმა. მკლავებდაკაპიწებულმა ლონივრად მოვქაჩე „პუშკიდან“ მოხსნილი ბაგირი, კატარლის ბოლოში დავალაგე, ხელები დავიბანე და მესაქის შესაცვლელად გავემართე.

„წითელი პარტიზანი“ უხმოდ მიარღვევდა ზღვას და ღამეს.

ცოლმა აკოცა ქმარს, რა იყო აქ ცუდი? ნუთუ ადამიანს არა აქვს უფლება — აკოცოს საყვარელ ადამიანს? ვუმტკიცებდი თავს, რომ უდანაშაულოა თამარი და მაინც მწვავედ მტკიოდა გული.

წარმოვიდგინე თენგიზთან შედუღებული, თამარის რძისფერი სხეული და გადავაფურთხე.

— რისთვის იფურთხები და სახე რისთვის დაგღრეჯია, — შემეკითხა თამარი, როცა შტურვალს მოვიკიდე ხელი და კომპასს უაზროდ დავამტკირდი.

— არ ვიცი, — მივუგე მკვახედ, მძიმედ ამოვისუნთქე, თვალებში ჩავაქქერდი და თავი დავხარე.

ზღვისფერ თვალებში წყენა და ცნობისმოყვარეობა ამოვიკითხე. ისეთი კარგი, ნაზი და სუფთა იყო თამარი, რომ ზიზღს უკვე აღარ იწვევდა ჩემში.

და გული კი სტიროდა, სისხლს ღვრიდა, როგორც უმიზეზოდ გალახული მოს-
თქვამდა გულსაკლავად.

მესმოდა კაპიტანის მშვიდი სუნთქვა. მისი ფილტვებიდან იებათ მოღე-
ლავდა მხურვალე, ვარდისფერი ნათელი.

— ვინმე ხომ არ შეგყვარებიათ უიმედოდ? — შემეკითხა და გაიცინა.

— რატომ გგონიათ?

— ამ ბოლო ხანებში აუტანელი ხართ, თუმცა არც წინათ იყავით თავა-
ზიანი.

მინდოდა შემეხედნა მისთვის, მაგრამ ვშიშობდი. ღიმილის დროს თამარის
ცხვირის მთრთოლვარე ნესტოებთან ჩნდებოდნენ პაწია, ნაზი ხაზები და მა-
ღელვებდნენ. ვგრძნობდი — იღიმებოდა. შტურვალს ისე მოგუქირე თითები,
რომ კინალამ დავამტერიე.

ნავსადგურის კარებს ვავცილდით.

— ბაგი! თუ ამინდი გაფუჭდა, აუცილებლად გამაღვიძე.

პატარა, რგვალი, ნახევრადგათეთრებული თავი ილუმინატორიდან გა-
მოჰყო კაპიტანის თანაშემწემ ელიზბარ თუნთიამ.

— თქვენ გაგაფრთხილეს ნავსადგურის სამორიგეოში, რომ ამინდი გა-
ფუჭდება, მაგრამ თქვენ მაინც არ იშლით თქვენსას.

— ნუ გეშინიათ. გრცხვენოდეთ.

— ნუ გეშინიათ... — გაიმეორა დაცინვით, თავი შეჰყო და მიხურა ილუ-
მინატორი.

თუმცა ვიცოდი, რომ თამარი უშიშარი მეზღვაური იყო, მაგრამ მაინც
ვუთხარი: ელიზბარის თქვენ ყოველთვის გეჩვენებათ ავდარი. ქარი არ მო-
ძრაობს, რა გააფუჭებს ამინდს?

— ეს კიდევ არაფერს არ ნიშნავს, — ცივად მომიჭრა და თავისი კაიუ-
ტის კარები შეაღო.

— თუ გაფუჭდება ამინდი, არ სჯობდა ზვალ წავსულიყავით?

— მშენებლობა შეჩერდება, თუ დროზე არ მივაწოდეთ ცემენტი. რალაც
დალაჩრდით... ამ ბოლო დროს ველარა გცნობთ, — დამტუქსა მან, შევიდა კა-
იუტაში და მოაჯახუნა კარები.

— „თამარ“! — ნალვლიანად ვთქვი ჩემთვის. „თამარ“! — გავიმეორე, და
ეს სიტყვა გაიშალა ჩემს წინ თამარის ლილისფერ ლანდად, კომპასის მინაზე
გაწვა შრიალით, შემდეგ წამოდგა რხევით, თავიდან ფეხებამდე ჩამათვალიე-
რა, გაიხარხარა და გაუჩინარდა.

ჰე... ყველაფერი შეიძლება სთხოვო კაცს, ვარდა გრძნობისა. თამარს
უყვარს თენგიზი, ნუთუ ეს დანაშაულია? მეც მართალი ვარ, თამარიც, რა თქმა
უნდა, მაგრამ რისთვის უნდა ვიტანჯებოდე მე, და ის კი გახარებული იყოს?

* *

ჩემს გულში კამკამებდნენ ვარსკვლავები, ანათებდა მზე, მიეჭანებოდა მი-
წა და მუსიკობდა, სდუმდნენ ოკეანები და ზღვები, ეძინა თამარს. გული ჩემი
უსაზღვროებად ქცეულიყო.

უცებ ზღვაური შეასკდა კატარლას, ანძაზე-დაკიდებულ წითელი ფანრის
შუქი ააფორიაქა. მცირე ხნის შემდეგ ისევ დაგვეჭროლა ძლიერად, ანძის წვერ-
ზე შემოჯდა და ბანდიტივით სტვენა გააბა, თითქო ამხანაგებს უხმობს ჩვენს
დასალუბადო.

ჯერ უთვალავი ფოთლების შრიალი გაისმა ზღვაზე, მერე ყრუ გუგუნნი
ატყდა. კატარლამ დაჰკარგა წონასწორობა, გვერდით გადაწვა ტალღებზე. ან-

ძაზე გაბმულ მავთულებზე წითელი ფანარი ისვროდა პავიანის მსგავს წითურ ლანდებს. ლანდები ხტებოდნენ მავთულიდან მავთულზე და გრძელი ხელებით ეკიდებოდნენ, ქანაობდნენ, მისრიალებდნენ ქვევით, უსტვენდნენ და წყალში ცვიოდნენ.

ჩემს გულში აღარ კამკამებდნენ ვარსკვლავები, აღარ სდუმდა ზღვა. ბრძოლის უნით ავინთე. ტალღები და ქარი შევიცანი, როგორც მოსისხლე მტრები. „ვიბრძოლოთ, აბა ვნახოთ, რას დამაკლებთ“, — ფეიქრობდი და კომპასს არ ვაშორებდი თვალს.

ჩემი ფეიქრების დენა შეწყვიტა თუნთიას გამოჩენამ.

— უნდა დავბრუნდეთ უკან, ქარიშხალია, დავიღუპებით, — წამოიღრინა, კაპიტნის კაიუტის კარებთან გაჩერდა, დააკაუნა და ქვეიდან ბოროტად შეშველო თვალები.

— საკუთარი გემები როცა გქონდათ, მაშინ, ალბათ ასე არ უფრთხილდებოდით თავს.

— მაშინ ჩემს საქმეს ვაკეთებდი, ახლა კი რაღაც ელევატორია, იმის ცემენტისათვის არ მოვისპობ სიცოცხლეს. ვეტყვი კაპიტანს — ახლავე დაბრუნდეს. ჰმ... რა ქალის საქმეა კაპიტნობა.

ნაოსნებს არ გვიყვარდა თუნთია; ოდესღაც საკუთარი გემების პატრონი ვერ იფიწყებდა ძველ ჩვევებს, წარამარა გვაგინებდა. თამარზე რომ წამოისროლა უხეშად, თითქო დანა დამარტყესო გულში, შეეწრიალდი.

— ჩვენ სახალხო საქმეს ვაკეთებთ. საერთო საქმე კი უფრო დიდია, ვიდრე შენი თუ ჩემი.

— შენ არავინ არ გკითხავს ამას. გამომიჩნდა ფილოსოფოსი... სჯობია კომპასს უყურო კარგად, რომ კატარღა არ გადაბრუნდეს.

ხელმეორედ დააკაუნა. გაიღო კარები. ელიზბარმა ბოდიში მოიხადა. მაღალი ტანი მოშვილდა და შევიდა.

კაპიტნის კაიუტაში კარგა ხანს საუბრობდნენ ხმამაღლა. საუბარი ყვირილში გადავიდა. „გავათავებ“, — იყვირა ელიზბარმა; შემდეგ ქახაჭუხი მომესმა. გულმა მიგრძნო, რომ კარგი საქმე არ კეთდებოდა. დავეტაკე კარებს. კარები ზურგში მოხვდა ელიზბარს. ელიზბარი წაიქცა და ხელიდან გაუვარდა ბებუთი.

კედელთან ატუხულ, თმაგაწეწილ გაფითრებულ თამარს მაჯაზე ჩამოჰკიდებოდა თეთრი ტილოს ბლუზიდან ჩამოვლევჯილი სახელოები. ზევით აწეულ მარჯვენა ხელში ბროლის ლარნაკის ნატეხი ეჭირა და ყელზე იფარებდა დასისხლიანებულ მარცხენა ხელს. ხელიდან მოსწვეთდა სისხლი და იატაკზე იშლებოდა.

ძირს ეყარა ლარნაკის ნამსხვრევები.

მუხლებზე დაცემულ ელიზბარს მარჯვენა ლოყა ისე დასიებოდა, რომ თვალი აღარ უჩანდა. მან ქვევიდან შემომხედა ცალი თვალით, სისხლიანი ცერი აილოკა და ბებუთისაკენ ქურდულად წაიღო ხელი. ელიზბარს სკამი დავკარი თავში, ბებუთი გამოვტაცე და სამი ჭრილობა მივაყენე სახეზე.

— კმარა, — მემუდარებოდა თამარი. — ისიც ეყოფა, რაც ჩემგან მიიღო. დავიღალე. მუხლები და მკლავები მიკანკალებდა. გარეთ გავათრიე ელიზბარი.

— მე არა მიჭირს რა, კატარღას მიხედეთ. ბოცმანი დადგეს საჭესთან. არავის არ უთხრა, რაც მოხდა.

გავალციე კასტენკო.

თვალების ფშვნეტით და ბარბაცით წამოვიდა. — ჰუ... ეს რა ლელვა ყოფილაო, — სთქვა, ამოჰყვა კიბეს, დააცქერდა კომპასს და შემომიბუზლუნა: რომელი კურსი აგილია, კატარლა რად მიგიტოვებია უპატრონოდო.

დავუბრუნდი თამარს. კისერი შეეხვია ბინტით, აბრეშუმის ზეწარში გახვეულიყო, იწვა მუხლებმოკეცილი, დასუსტებული და მილიმოდა. ლოგინზე ჩამოჯექი, წაიქცევით, — ხელით მანიშნა.

კატარლა გვერდით იღებდა ზღვის აქაფებულ წყალს. გადაწვებოდა კატარლა და აწკარუნდებოდნენ ლარნაკის ნამსხვრევები, ხტომით, გორაობით მიექანებოდნენ ქვევით, გადადიოდნენ თამარის სისხლზე, ენარცებოდნენ მწვანე კედლებს და წითლად ღებავდნენ.

მღეროდნენ შპანგოუტები.

დავჯექი ტახტის კიდეზე. ნესტოებთან გაწოლილ სათუთ ხაზებს მოვარიდე თვალი, თავი ჩავკიდე. ჩემი შუბლი ნელა შეეხო თამარის მუხლებს. თმაში უღონოდ ჩამავლო ხელი. რაღაცას ჩურჩულებდა.

„თამარსაც ხომ არა აქვს გრძნობა ჩემდამი?“ — ვფიქრობდი, და ვკოცნიდი ზეწარს, ვკოცნიდი მის მუხლებს.

დადუმდა.

„დაეძინა“, — გადავწყვიტე და ფრთხილად ავდექი. შიშითა და სიხარულით დავხედე საყვარელ სახეს. თანაგრძნობას თურმე ამაოდ ვეძებდი.

მკერდზე ჩამოდებულ მარცხენა ხელის ყვითელ, თლილ თითებში თენგიზის პატარა პორტრეტი ჰქონდა ჩაბლუჯული.

ვასილ გოჩალეიშვილი

გორის ლამე

მეც განმიცდია, ვყოფილვარ ბავშვი,
მინახავს ცა და ჭალარა მთები,
მთის კალთებიდან მოსული ბარში
ცხვრების ფარა და გრიალი თერგის!

ენახე ჯეჯილის ლივლივი მზეშიც,
ბავშვის ოცნება ტკბილი ესოდენ, —
მავრამ ამგვარი ბუნების ეშხი
ჯერ არ მიგჩოქენია მე არასოდეს.

გორი ჭადრების ყდაში ჩასმული.
და მუხასავით ფესვებმაგარი,
მთას ებჯინება ცამდე ასული,
მილიონების გულში ჩამდგარი.

ვუცქერ და თითქოს ზღვაა გაშლილი,
მზერა ავუშვი ზღვაში მენავედ...
შორს დაღესტნის მთებს უყვართ შამილი
მე აქ შადრევნის შხეფით ვენამე!

ეს გულიც დიდხანს ფიქრით დაბმული
ტყვედ ეპყრა ციურ ცეცხლიან თაღებს.
ძირს ეგდო ველი მოფარდაგული,
მტკვარი დუღუნით ისროდა ტალღებს.

და მერე სივრცე ჩისლით ნაბური
შემოსცქეროდა შორიდან მდღუმარს,
ცაში გედების ფრთების დგაფუნნი
ბერდუჯის მთაში წვებოდა ღრუბლად!

შვიან ლიანება ჩქარი ჩქერებით
ტყიან მთა-ველებს დაუკრა ტაში,
როგორც ვარსკვლავნი თვალმიჩერებით
ბელადის ქობი ყვაოდა ბაღში.

შორის ციხესთან განცდილი შვება
ფიქრებს კრემლისკენ თან გავატანე,
ქართლის ბედნიერ პირში მშვენებას
უმღერის ხალხი და მატთანე!

ინგლისალი პოეზიებიდან

ჰერბერტ რილ

სამხრეთის გაზაფხულის ბრძანება
ჩრდილოეთში

მწვანე ხავერდის მთის ფერდებზე დასხდნენ ფიფქები...
მზე შემოვიდა და შემკრთალი ქალი, ზღაპრული,
შემოიყვანა დიდ მინდორში წყნარ დარიგებით:
გახსენ თვალები, ცას გახედე: ჰა, გაზაფხული!

ქალს გაეღიმა, მზეს მოშორდა და ყვავილთ კრეფით
შორს გაეკიდა ცრცელი მინდვრის დაკარგულ კიდეს...
ძმებო, ის მოდის. ჩვენსკენ მოდის მინდვრების გზებით!
ჩვენს ქვაბულამდე მაინც უნდა კვლავ დიდხანს ვლიდეს.

ვიყოთ მშვიდები. გაზაფხული მოვიდა ახლოს.
აწ მოვიგონოთ ძმა ყოველი და მეგობარი.
დარჩენილებმა მოლოდინში გავხედოთ მალღობს,
დაცემულებმა შესვით ჩვენი შესანდობარი.

უილიამ ბატლერ უაიის

*
* *

მე ირლანდია, როგორც ირემი
მიყვარს გაკრული გაუფალ გზაზე.
მის ღრმა თვალეში მე ვიმზირები
მისი ზღაპრებით და ჟრუჟოლით საესე.

ის მიჰქრის, თითქოს მდევარი ჰყავდეს,
მიდის და უცხო გზები ერევა,
სთელავს ყვავილებს, ბალახებს, კალთებს,
ყოველი წუთის შვენიერებას.

თუ ვინმე ტყიდან ვედრებით მისკენ
ხელ-გამოწვდილი გამოვა წყნარად,
ის მოიხედავს. შეკრთება ისევ
და შავედრებელს დატოვებს მარად.

ის ტბას შეხვდება ბოლოს და ნაღვლით
შესდგება. შესვამს ქცეულს ლანდებად.
ტყე გარინდებით დახედავს დაღლილს
და მის თვალებში ჩამოლამდება.

როცა მოხუცდე

როცა მოხუცდე, გახდე რუხი და ძილს დანებდე
და წელი თვლემით უჯდე ხოლმე ცეცხლისა კერას,
ნახე ეს წიგნი, წაიკითხე და წყნარსა მზერას
და ძველ ღრმა ჩრდილებს შენთა თვალთა მოიგონებდე.

რამდენს უყვარდა სინარნარის შენის გრძნებანი
და სილამაზე, კეშმარიტი გრძნობით თუ ყალბად.
მაგრამ ერთს შენში პილიგრიმი უყვარდა ხარბად
და შენი სახის ცვალებადი მწუხარებანი.

და თავდახრილმა ნაკვერჩხლების წინაშე თრთოლით
წაიჭურჩულე, ოდნავ სევდით, რომ სიყვარულმა
გადაიარა შორი მთები წყნარად ფარულმა
და თავის სახე მოაფარა ვარსკვლავთა შორის.

თარგმანი ინგლისურიდან
გივი ბაჩიჩილაძისა:

კლასიკური მემკვიდრეობა

უილიამ შექსპირი

ორი სონეტი

*
*

მიყვარს თვალები, რადგან ოდეს გული აივსო,
ზიზღით ჩემდამი და არ მერგო მე გახარება.
თვალები შავით შეიმოსენ სამარადისოდ
და მგლოვიარედ შეჰყურებენ ჩემს მწუხარებას.
მზესაც კი თვითონ ჭეშმარიტად ვერ ძალუძს ასე,
ასე საოცრად გაათენოს აღმოსავლეთი:
სავე ვარსკვლავი ვერ ამოვა ცის კამარაზე
და მშვიდ დასავლეთს ვერ შეამკობს სიღვარეთი,
ვითარც შენს სახეს მგლოვიარე თვალები შენნი..
და თუ კი გულიც ერთხელ თვალებს დაემსგავსება,
თუ შეცოდებაც შენს ხატებას ასევე შენის,
თუ სიბრალული დაეუფლა მთელ შენს არსებას,
მაშინ ვიწამებ, რომ შავია თვით სილამაზე
და შავი ქალი მეფობს მარტო მთელს ქვეყანაზე..

*
*

დე კვლავ იღწოდენ თავიანთი ვარსკვლავისათვის,
ხალხში ღირსება და სახელი რომ დაიუფლონ,
ვიღრე პრწყინვალე გამარჯვება და ბედი მათი
მიზღავს სიხარულს, რასაც ქვეყნად ვაფასებ უფრო.
დიდ გვაროვანებს თვის ფოთლების გაშლა ახარებთ,
როგორც ნარგიზი შეტრფიალებს მზის თვალებს სავსეს.
ამაყ სიცრუეს საკუთარსვე გულში მარხავენ
და ღირსებითვე დატანჯულნი კვდებიან ასე.
ტანჯულ მეომარს, სახელგანთქმულს ბრძოლებში დიდად,
მის ათასეულ გამარჯვებებს მარცხი თუ მოსდევს,
ღირსების წიგნის ფურცლებიდან აყრიან მშვიდად
და ივიწყებენ, თუ რისთვისაც ილტოდა ოდეს.
ბედი მქონია მაშ მე მიჯნურს, რომ მხოლოდ მიყვარს,
სადაც არ ძალმიძს ლტოლვა ან და ლტოლვილი ვიყო.

ანებელ ლი

ძველად სულ ძველად, მრავალ წლის წინათ...
ეს იყო ნაპირად ზღვის;
იქნებ თქვენც იცნობდეთ მშვენიერ ასულს,
სახელად ანებელ ლის;
მას მხოლოდ ტრფობა უნდოდა ჩემი
და თვითონ მეტრფოდა ის.

მე ვიყავ ბავშვი, თვითონაც ბავშვი,
ეს იყო ნაპირად ზღვის;
ჩვენ სიყვარულზე მეტად გვიყვარდა
მე და იმ ანებელ ლის.
სერაფიმს მოვწონდით და აღარ ზოგავდა
სურვილს და სიკეთეს თვისს.

და სწორედ ასე მიზეზად ამის
ეს იყო ნაპირად ზღვის
დაჰბერა ქარმა... სუსხავდა ქარი
მშვენიერ ანებელ ლის.
მოვიდა მისი ციური მამა
და ასე მომშორდა ის
და ენახე მისი სამარეც ბნელი
იმავე ნაპირად ზღვის.

ანგელოზთ ბეჭად უბედურთ ცაში
შევშურდით აქ მე და ის
დიალ მიზეზი იყო ეს (იცის
ყველამ ნაპირად ზღვის)
რომ ქარი მჭროლი ღრუბლიდან ღამით
მკვლელია ანებელ ლის.

მაგრამ ჩვენ ტრფობით ვაჯობეთ ყველას;
ვინც იყო უფროსი ხნის;
და ვერცერთ ანგელოზთ ცაში,
დემონებს უფსკრულში ზღვის,
ვერ ძალუძთ გამყარონ ვერასდროს
მშვენიერ ანებელ ლის.

შთვარე მასიზრმებს საოცარ სიზრმებს
მშვენიერ ანებელ ლის,
ვარსკვლავთა ელვაში ვიგოძენი მღელვარე
თვალეზი ანებელ ლის.
მუდამ ლამ მე მასთან, მის გვერდით ვრჩები
ჩემი სიცოცხლე, საცოლე ჩემი, —
საფლავში ნაპირად ზღვის
მღელვარე ნაპირად ზღვის.

თარგმნილი ინგლისურიდან
ალექსანდრე საჯაიასი.

კ რ ი ო ი კ ა

შალვა შოჭალაშვილი

იაკობ შოჭალაშვილი

საბჭოთა საქართველოს თავისუფალი და ბედნიერი ხალხი მიმდინარე წლის ოქტომბერში უდიდესი სიყვარულითა და სიხარულით ზეიმობს სახელოვანი დიდი ქართველი პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის დაბადებიდან ასი წლისთავს.

ასი წლის წინათ, 1840 წლის 28 ოქტომბერს (ახ. სტილით) გორის რაიონის სოფელ ვარიანში დაიბადა იაკობ გოგებაშვილი. მისი მამა სვიმონი იმავე სოფლის მღვდელი იყო, ხოლო დედა მაგდანა კალმახელიძე მეტად გულკეთილი და შრომის მოყვარე ადამიანი ყოფილა.

პატარა იაკობი პირველად სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ იგი მამამ გადაიყვანა ტფილისში სასწავლებლად.

სწავლის მეტად მოყვარულმა, უაღრესად ნიჭიერმა იაკობმა 1855 წელს წარმატებით დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი, იმავე წელს იგი შევიდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში.

ოცი წლის ახალგაზრდა ჰაბტუკმა წარჩინებით დაამთავრა სასულიერო სემინარია. სემინარიის წარმატებით დამთავრების გამო, ადმინისტრაციის წარდგენით, იაკობი უმაღლესი სწავლის მისაღებად გაგზავნილი იქნა კიევის სასულიერო აკადემიაში. კიევში გაგზავრებასთან დაკავშირებით იაკობი სწერს: „ოცი წლის ვიქნებოდი, როდესაც სემინარია დავასრულე. პირველი მოწაფე ვიყავი წინაკლასებშიაც და უკანასკნელი კლასიც პირველ მოწაფედ გავათავე. აკადემიაში გასაგზავნად დამნიშნეს. მხოლოდ მომთხოვა მთავრობამ, ექიმს ეჩვენე და მოწმობა მომიტანე ჯანსაღობისათ. ვერვინე. ექიმმა სობოლშიკოვმა კარგად გამსინჯა და მითხრა: ამ ეამად სრულიად საღი ხარ; მაგრამ ფილტვები დაბადებიდანვე სუსტი აგებულების დაგყოლია, რუსეთის სიცივეს ვერ აიტან და ადვილად შეიძლება დასნეულდეო. ამიტომ გირჩევ აკადემიაში ნუ წახვალ. დაკმაყოფილდი სემინარიის კურსით და პირდაპირ რაიმე პრაქტიკულს საქმეში ჩაეგბიო. მოწმობაში ჩასწერა: გოგებაშვილი ამჟამად სრულიად საღია, მაგრამ სუსტი აგებულების პატრონია და შეიძლება რუსეთის ყინვა ვერ აიტანოსო. ეს მოწმობა რო მთავრობას მიუტანე, მითხრეს: თქვენზე და მოკიდებულნი საქმე: თუ წასვლა გსურთ, გაგზავნით, თუ არა და მეორე მოწაფეს გავამგზავრებთ კიევის აკადემიისაკენო. მე ძალიან მწყუროდა მაღალი განათლება და წასვლის სურვილი გამოვაცხადე. ორი თვის შემდეგ მე გაეჩნდი კიევის აკადემიაში. მისაღები ეგზემენები თავმოწაფედ დავიჭირე და გავხდი სტუდენტათ. ორის წლის განმავლობაში ადვილად ავიტანე სუსხიანი ზამთრები, თავ-სტუდენტად დავასრულე ფაკულტეტი ყველა საზოგადო საგნებისა და უნდა ახლა გადავსულიყავი საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე. მაგრამ სწორედ ამ დროს გავხდით ავად ფილტვების ანთებითა, რომელიც გადაიქცა ქრონიკულ სენად და იძუ-

ლებული გამხადა გამოვითხოვებოდი ყინვიან რუსეთსა და დავბრუნებულებოდა თბილისს — საქართველოში.

ყოველი ქრონიკული, ხანგრძლივი ავადმყოფობა უფრო იმითია მანებებული, რომ ავადმყოფს უბეზრებს, უსუსტებს, უღიზიანებს ნერვებსა და ასნეულებს იმ ავადმყოფობით, რომელსაც ნევრასტენია ჰქვია. მეც ასე დამემართა. ფილტვების ავადმყოფობამ და ნევრასტენიამ ჩემში ძმურად დაიბუღეს. ვინც ასე დასნეულებული, ის გადამეტებით გულრწველია, პირდაპირია, დაურიდებელი, სიტყვა-პასუხში და მოქმედებაში, რის გამოც იძენს ბევრს, ძლიერს ბევრს მტერსა. მეც ასე მომივიდა. ჩემს გარშემო ფუსფუსი დაიწყეს სხვადასხვა ჯურის მტრებმა და ჩემი განადგურება მოიწადინეს.

მომყავს ერთი ვადამეტებული პირდაპირობის მაგალითი. ბ — ნმა ნიკოლაძემ თავის რუსულს გაზეთში „Обзор“ დაბეჭდა მოწინავე წერილი, რომელშიც გატარებული იყო ის ჰაზრი, რომ რუსულად წერა სასიქადულოა და ქართულად კი სათაკილოა. ამ წერილმა საშინლად გამაბრაზა და ნიკოლაძეს საზოგადოებაში მივაძახე რუსულად: *ваша сегодняшняя передовица — абсолютно подлая* (დღევანდელი თქვენი მეთაური უკიდურესად ფლიდია). ამ ჩემმა სიტყვებმა საშინლად გააბრაზეს ნიკოლაძე, მით უმეტეს, რომ იმას წინადა თავის რუსულ გაზეთში იმან მომიხსენია, როგორც ნიქიერი მოწინააღმდეგე ერთი არამხადა პედაგოგისა — კუვშინსკისა. ამას მოჰყვა შედეგად ჩემი ყეფა (ТРАВЛЯ) ობზორისა რამდენიმე წლის განმავლობაში.

მსგავსავე მიზეზმა დაბადა უბედური კეზელის ყეფა ჩემ შესახებ ძმათა ხეჩატურიანების ორგანოში მთელის ათის წლის განმავლობაში. ძლიერი ბიუროკრატიაც უზომოდ მიწყურებოდა და მსდევნიდა.

მაგრამ გაუძღელ მოურჩენალს ავადმყოფობასაც, გაძლიერებულს მტრობასაც, ბიუროკრატიის დევნასაც, არაფერი არ დაუთმე არც ერთს.

ჩემს საზოგადოებრივს მიზანს აქეთ-იქით გადაუხვევლად ვემსახურებოდი შეძლების დაგვარად და მივალწიე იმ ხანამდინ, რომელიც ენატრებოდა ჯანმრთელობასა და მშვიდობიანის [მოყვარულთ].“

აკადემიაში გამოცდების ჩაბარებისა და მიღების შემდეგ იაკობი უდიდესი გატაცებით შეუდგა სწავლას და კურსიდან კურსზე ყოველთვის დიდი წარმატებით გადადიოდა. იგი არ კმაყოფილდებოდა მარტო აკადემიის ლექციებით და ბევრს მუშაობდა თვითგანვითარებისათვის; ეცნობოდა რუსეთის მე-60 წლების გამოჩენილ მოღვაწეებისა და მოაზროვნეების გამათავისუფლებელ იდეებს; გატაცებული კითხულობდა — გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, პელინსკის, ჰეგელის, სპენსერის და დარვინის თხზულებებს.

იაკობი ამავე დროს დიდი შეუწყნებელი ყურადღებით ეცნობოდა და სწავლობდა რუსეთის მამინდელ გამოჩენილი პედაგოგების — პიროგოვის, კორფისა და უშინსკის პედაგოგიურ აზროვნებას და მოღვაწეობას, რომელთაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს მასზე და განსაზღვრეს მისი მომავალი მოღვაწეობა სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ, იაკობ ვოგებაშვილი დანიშნულ იქნა ტფილისის სასულიერო სასწავლებელში გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, მასწავლებლად დაინიშნა ტფილისის სასულიერო სემინარიაში. ამ სასწავლებელში იყო საშინელი რეჟიმი. მოსწავლე ახალგაზრდობას მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა სწავლა და ცხოვრება. სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის ადმინისტრაციულ-პედა-

გოგურ შემაღენლობის უმრავლესობა აღმზრდელების ქურქში გახვეულნი ნამდვილად იყვნენ მეფის შავრაზმელი აგენტები.

სემინარიის მოსწავლეთა შორის, იაკობმა მალე უდიდესი სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვა, თავის შრომის მოყვარეობითა და მშობლიური მზრუნველობით. იაკობ გოგებაშვილის თავდადებული მოღვაწეობა ახალი თაობის ღირსეულად აღზრდისათვის, შეუმჩნეველი არ დარჩათ სემინარიის შავრაზმელ ხელმძღვანელებს. მათ არაფრად მოსწონდათ იაკობის გულწრფელობა, სითამამე და გამბედაობა.

მეფის აგენტ-პედაგოგებმა აშკარად დაიწყეს იაკობის დევნა. გოგებაშვილი ყოველთვის ამაყად. წარბშეუხრელად ხვდებოდა „მესვეურებს“, მათ შორის საქართველოს ექზარხოსს მთავარ-ეპისკოპოსს ევსეევს.

ექზარხოსი ევსეევი, იაკობის ვაკვეთილებზე რევიზიის დროს ვერაფერს უპოვიდა ხოლმე სამიზნეოს და ყოველთვის იძულებული იყო კმაყოფილი გამოსულიყო მისი ვაკვეთილებიდან. ერთ ასეთი რევიზიის დროს რექტორმა ვალენტინმა წასტურჩულა ექზარხოს ევსეევს გოგებაშვილის შესახებ — „დიდი ნიჭის პატრონია, — ეს რომ მატერიალისტი არ იყვეს, ღირსია დიდი თანამდებობისაო“. („ი. გოგებაშვილის სახსოვრად?“ — არბოელის წერილი გვ. 14. 15)

1868 წელს იაკობ გოგებაშვილი დანიშნულ იქნა ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად; იაკობმა უდიდესი მუშაობა ჩატარა ამ სასწავლებელში სწავლა-აღზრდის საქმის საუკეთესოდ დაყენებისათვის.

1873 წელს რევიზორ კერსკიმ, ტფილისის სასულიერო სასწავლებლის რევიზიის ჩატარების შემდეგ, საიდუმლო ანგარიშში, იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობა მიიჩნია მიუღებლად მთავრობისათვის, იგი დახასიათებულ იქნა, როგორც ათეისტი. ექზარხოსიც თავს ესხმოდა გაბოროტებული: — „შენ დარვინის და კარლ ფოხტის მოწაფე ხარ! სამწერლო მაგიდაზე გიდევეს „შთამომავლობა ადამიანისა“ და არა თუ შენ კითხულობ მას, არამედ მცირე-წლოვან მოწაფეებსაც კი აკითხებო“. („ი. გოგებაშვილის სახსოვრად“, არბოელის წერილი გვ. 23-24). ერთის მხრით, ასეთმა იერიშმა, ხოლო მეორეს მხრით — დიდმა შრომამ გასტეხეს მისი ჯანმრთელობა და იგი ჩავარდა ლოგინად. ბნელი ძალების მიერ შექმნილმა ასეთმა პირობებმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო იაკობი... დაჰკარგა სულიერი სიმშვიდე, წონასწორობა და თვითმკვლელობამდის მიიყვანეს. მაგრამ სრულიად ბედნიერი შემთხვევით გადაჩა. ამ მოულოდნელი შემთხვევის გამო, რამდენიმე ხნის შემდეგ გამოჯანსაღებულმა იაკობმა, თავის შემთხვევის გამო, რამდენიმე ხნის შემდეგ გამოჯანსაღებულმა იაკობმა, თავის თანამებრძოლ მეგობარ ნიკო ცხვედაძის ოჯახში, დროებით ცხოვრების პერიოდში, ანთებულ ბუხარში შეყარა ყველა თავისი ოფიციალური საბუთები და მოსპო, რომ მათი წყალობით აღარ ჰქონოდა საშუალება სამსახურში შესვლისა. ნიკო ცხვედაძის შეკითხვაზე, თუ რა ქაღალდები უთავაზა „მხიარულ“ ბუხარს, — იაკობმა სიცილით უპასუხა — „დავწვი ჩემი გემები, რომ უკან დაბრუნება, აღარ შემეძლოს. — ატესტატი სემინარიისა, მოწმობა აკადემიისა, სამსახურის სია და სხვა საბუთის ქაღალდები. ყველანი ცეცხლს მივართვი ძღვნადა. ვი თუ მაგათის წყალობით შემდეგ როდისმე გამღვიძებოდა სურვილი სამსახურში შესვლისა. ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემ ქვეყანას უნდა მოვახმარო.“ („ი. გოგებაშვილის სახსოვრად“. — არბოელის წერილი გვ. 26)

მართლაც, ამ დღიდან, ეს დიდებული და სახელოვანი ადამიანი არასოდეს არ დაბრუნებია ოფიციალურ სამსახურს, მაგრამ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე და ცხოვრება შეაღია ქართველი ხალხის სამსახურს, მშობლიური ენის, კულტურისა და სწავლა-აღზრდის დაცვასა და აღორძინებას.

*
* *

ქართველი ხალხის გამოჩენილი პედაგოგი, სამშობლო ქვეყნის თავდაღებული საზოგადო მოღვაწე — იაკობ სვიმონის-ძე გოგებაშვილი ეკუთვნის მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის იმ მცირე ქართველ მოღვაწეთა საუკეთესო თაობას, რომელთაც მთელი თავიანთი ცოდნა, ენერგია და სიცოცხლე მოახმარეს ქართველი ხალხის კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას.

ილია ქავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად იაკობ გოგებაშვილიც არის თვალსაჩინო წარმომადგენელი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციურ გამათავისუფლებელი მოძრაობისა. ილიასი და აკაკის ღვაწლთან ერთად, იაკობ გოგებაშვილის ნათელი მოღვაწეობაც ყოველთვის შარავანდედით იქნება შემოსილი ქართული კულტურის საგანძურში. ნახევარი საუკუნის მანძილზე იაკობი თავგამოდებული ებრძოდა ცარიზმის ბიუროკრატ-შავარზმელ მოხელეებს: — იანოვსკის, კუვშინსკის, კერსკის, ვოსტორგოვსა და სხვა მათ მსგავს მეფის დაქირავებულ აგენტებს, რომლებიც მოკალათებულნი იყვნენ მაშინდელ განათლების ხელმძღვანელ აპარატში და აწარმოებდნენ გამარჯვებულ საგამანათლებლო პოლიტიკას ქართველი ხალხის გადაგვარებისა და მოსპობისთვის. ცარიზმის კარნახით სობდნენ ქართულ სკოლებს, დევნიდნენ ქართული ენის სწავლებას და ნორჩი თაობის სულსა და გულში შხამსა და ნაღველს აწვეთებდნენ. საქართველოს წარსულის ასეთ შავებელ ეპოქაში, დიდ ილიასთან და აკაკისთან ერთად, იაკობ გოგებაშვილი მფარველად ედგა ქართველი ხალხის მშობლიური სწავლა-განათლების საქმეს; იცავდა ქართველი ენის სწავლებას და მის სიწმინდეს. იაკობი მრავალჯერ ახედრებულა თავისი მებრძოლი პუბლიცისტური სტატიებით და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავდა მეფის გამარჯვებულ პოლიტიკას და მის გამტარებელ ჩინოვნიკ-მოხელეებს.

ქართველი ხალხის ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლის ნათელ ისტორიულ დოკუმენტებს წარმოადგენენ იაკობ გოგებაშვილის — „ბურჯი ეროვნებისა“, „რანი ვიყავით ვუშინ?“ და სხვა მისი მრავალი პუბლიცისტური ხასიათის წერილები, რომლებიც იბეჭდებოდა მაშინდელ რუსულსა და ქართული პრესის ფურცლებზე.

სახელმძღვანელოების შედგენას იაკობ გოგებაშვილი უდიდესი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეციდებოდა, რადგან მას ღრმად სწამდა, რომ: — „სახელმძღვანელო ორპირი ბასრი ხანჯალია, რომელსაც შეუძლიან დიდი სიკეთეც დათესოს და დიდი სიბოროტეც ჩანერგოს სკოლის და ხალხის ცხოვრებაში. თუ მასში (სახელმძღვანელოში. — შ. გ.) იხატება სალი, გონიერი მიმართულება, დამკვიდრებული პედაგოგიურს და ეროვნულს პრინციპებზედ, სახელმძღვანელო აყენებს სწავლას სწორე და მტკიცე გზაზედ, აწარმოებს მას ნაყოფიერად და უწყევს დიდს სამსახურს სკოლასაც და საზოგადოებასაც. მაგრამ თუ იგი ასცდენია პედაგოგიურს დედააზრსა, მოსწყვეტია ეროვნულს ნიადაგს და ემსახურება რომელსამე უკუღმართს მიმართულებასა, ხალხის განათლების მაგიერ, მაშინ სახელმძღვანელო შეადგენს სკოლისათვის და ხალხისათვის ნამდვილ საწამლავსა. (იხ. ი. გ.-ის არქივი საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბ ფონდი № 5331 ბ).

ქართველი ხალხისა და ახალი თაობის საყვარელი წიგნები — „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ ავტორთან ერთად განიცდიდა დევნასა და შევიწროებას. ამის შესახებ თვით იაკობ გოგებაშვილი, — თავის ხელნაწერ წერილში — „უშ-

ვერი ცილის წამება“ — წერდა: — „რაც მე დრო და შრომა მოვანდომე ჩემს სახელმძღვანელოების შედგენას და ხანგამოშვებით გაუკეთებდას, ათი იმოდენა დრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვადასხვა ცილის წამებისაგან“ — ო. (იხ. საქ.მუზ. ხელ. განყ. S ფონდი № 5331ა).

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა, იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა ღრმად გაიდგეს ფესვები ქართველი ხალხის გულში.

მწერალი ვგნატე ნინოშვილი, თავის სიცოცხლის უკანასკნელ წელს, ერთ პირად წერილში იაკობს წერდა: „...ვინ იქნება დღეს საქართველოს შვილთაგანი, რომ ქართული წერა-კითხვა იცოდეს და თქვენ კი ვერ გიცნობდეს! განა ყველანი თქვენგან შედგენილ ქართულ სახელმძღვანელოებზე არ აღვიზარდეთ? თქვენგან შედგენილ სახელმძღვანელოებში ვისწავლეთ ქართული წერა-კითხვა, თქვენ შეგვაყვარეთ სამშობლო და მისი ენა -ო“.

როცა იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“. ამის შესახებ, საქართველოს წარსულის ცნობილი მკვლევარი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი პეტერბურგიდან იაკობს სწერდა: — კარგა ხანია თქვენი წიგნი განვიხილე, მოვიწონე და გავგზავნე კომიტეტში, აქამდინ, მგონი. მოგივიდოდათ: ჩემის აზრით აკადემიური ასოებით რომ ბეჭდოთ, ემჯობინებოდა, რადგან აკადემიური შრიფტი, თუმცა, წერილია, მაგრამ უფრო ცხადია და მშვენიერი, ვიდრე „დროების“ შრიფტი, რომლითაც თქვენი წიგნის უმეტესი ნაწილი დაბეჭდილია. ქაღალდიც, რომ უფრო სქელი იყოს და ერთი გვერდიდან მეორეში შავი ხაზები არა სჩანდეს — ემჯობინება თეალისთვის, სხვაფერე მშვენიერი წიგნია თქვენი წიგნი. ვგონებ ცალკე „ქრისტომატია“ რომ გამოსცეთ ძველი და ახალი მწერლების ნიმუშებითა, ახსნით და განმარტებით ბიბლიოგ [რ] აფიულ — ბიოგრაფიულითა — სასარგებლო წიგნი იქნება.“ (საქ. სახ. მუზ. განყ. A ფონდი № 1745)

ქართული პოეზიის დიდი სიამაყე. იაკობის პირადი მეგობარი და მოსიყვარულე აკაკი წერეთელი, ახლად გამოსულ იაკობის წიგნის მიღების შემდეგ, უდიდესი თანაგრძობითა და სიყვარულით წერდა: „ხანდახან, რომ გამომელაპარაკები ხოლმე, გულს მიკეთებ!... აი ახლაც შენმა წერილმა და თან მოყოლებულმა წიგნმა გულს გადამყარეს, მოწოლილი სევდა!... გადავიკითხე. გადავთვალიერე მუშტრის თვალით; ავწონ-დავწონ-გავზომე და შიგ ქეშმარიტებისა და სიკარგის მეტი ვერა ვიპოვერა. კურთხეულ იყოს არა თუ მარტო შენი შრომა, ყოველი ბიჯის გადადგმაც კი!..“ (საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. S ფონდი № 5331ა).

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, პუბლიცისტმა. „ახალი ქართული გრამატიკის“ ავტორმა დიმიტრი ყიფიანმა 1876 წელს დასწერა იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“ შესახებ რეცენზია, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ — „დედა ენა“ ი. გოგებაშვილისა ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოთ არის შედგენილი“.

სამშობლო ქვეყნის უდიდესი სიყვარულით არის გამსჭვალული იაკობის მხატვრული საბავშვო მოთხრობები: „იავნანამ რა ჰქმნა?“, „ასანძის ომი“, „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, „თავდადებულნი ქართველნი“, „სხიენი წარსულისა“, „ხატის მიზეზი“, „საარაკო თავადასავალი ტახტის მემკვიდრისა“ და სხვა. —

იაკობ გოგებაშვილის მხატვრული მოთხრობების ქარგა ყოველთვის ჩვენი წარსული ისტორიის ფურცლებიდან არის აღებული, რადგან იგი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ისტორიულ მოთხრობებს ბავშვის აღზრდაში. იგი გვასწავ-

ლის, რომ „ჩვენი ხანგრძლივი და მღელვარე ისტორიული წარსულიდან“ შევარჩიოთ ცალკეული ეპიზოდები და მხატვრულად, გადაუქარბებლად მოუთხროთ. ნორჩ თაობას.

„ამოიჩინეთ უფრო თვალნათელი ფაქტები, — სწერს იაკობ გოგებაშვილი, — დალაგებით უამბეთ ბავშვებსა, გადაუქარბებლად, ურიტორიკოდ, საზოგადოდ, ფრაზების მორიდებით და თქვენ მისცემთ მათ გონებასა და გულს საუკეთესო საზრდოსა“. აქედან გამომდინარეობს ის დიდი ყურადღება და სიყვარული, რომლითაც მთელი თავისი სეროიზულობით ეკიდებოდა საბავშვო მხატვრული ლიტერატურის შექმნას. თვით იაკობ გოგებაშვილი გარკვევით მიგვითითებს, რომ: — „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. მოგონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრდენით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრა ადგამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისს მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა.“ (ი. გოგებაშვილის „რჩეული ნაწერები“ ტ. (გვ. 126)

იაკობის მრავალმხრივ და ხანგრძლივ მოღვაწეობაში ნათელ სვეტად არის აღმართული ის დიდი საქმე, რაც გააკეთა მშობლიური ენისა და ლიტერატურის აღორძინებისათვის. იგი ამბობდა: — „წართვით ხალხს ყოველისფერი და ის ყოველისფრის დაბრუნებას შეიძლებს: მაგრამ თუ ენა წართვით, ის თავისდღეში ველარ შეჰქმნის მას; ახალ სამშობლოს კიდევ შექმნის ხალხი, მაგრამ ენას კი ველარ; მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც! და კაცს აძრწუნებს ერთის ადამიანის მოკვლა, რომელს უიმისოდაც დიდი დღე არა აქვს, — რა უნდა ვიგონოთ მაშინ, როდესაც ვუბრებთ მოკვლას მრავალს საუკუნე გამოგლილს და ისტორიულს პირს—ხალხს, ამ უდიდებულესს ღეთის ქმნილებას?“.

ძველს სამყაროში, ცარიზმის დევნისა და შევიწროვებისაგან გადარჩენილმა საქართველომ, მისმა ენამ და ლიტერატურამ მრავალი ქრილობებით დაკოალიშა, მოაღწია ჩვენს ბრწყინვალე თავისუფალ სტალინურ ეპოქამდე. ხალხის გულში ღრმად ფეხვებგამდგარი იაკობ გოგებაშვილის დიდი ღვაწლი სტალინური მზის ბრწყინვალეებით შეიმოსა. საბჭოთა ქვეყნის მძლავრ სახელმწიფოთადიდ ოჯახში აყვავდა და აღორძინდა იაკობ გოგებაშვილის ბედნიერი და საყვარელი სამშობლო—საქართველო თავისი მძლავრი ეკონომიური და კულტურული მონაპოვრებით.

Handwritten notes in red ink at the top right of the page, including the name "საქართველო" (Georgia) and other illegible scribbles.

იაკობ ბალახაშვილი

გრიბოედოვი საქართველოში და ნინო ჭავჭავაძე *)

„ყაზარმობის“ სახელით ცნობილ 1832 წლის შეთქმულების წევრები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის მონაწილეობას ამბოხებაში.

შეთქმულთა მეთაურის ელიზბარ ერისთავის ცნობით: „არც ერთ შეთქმულს არ უნდოდა მონაწილეობის მიღება გენერალ ჭავჭავაძის გარეშე“.¹

მართალია, ალექსანდრე ჭავჭავაძე შემდეგ ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა საგამომძიებლო კომისია, რომ მან არც არაფერი იცოდა და არც მონაწილეობდა შეთქმულებაში, მაგრამ სიმართლის დამალვა არ მოხერხდა, იგი იცნეს დამნაშავედ და ქ. ტამბოვიში გადაასახლეს.

შეთქმულების არსებობის შესახებ ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავდაპირველად თავის ცოლის ძმისაგან — ლუარსაბ ორბელიანისაგან გაიგო.

ეს მოხდა 1831 წელს გაზაფხულზე ქართლში მამასთან გამგზავრებულ მანანა ორბელიანის გაცილებების დროს. გამცილებელთა შორის იყვნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ელიზბარ და გიორგი ერისთავები, ალექსანდრე და ლუარსაბ ორბელიანები, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალები — ნინო და ეკატერინე და სხვანი.

„მანანას ქართლში გამგზავრებამ — გადმოგვცემს დრამატურგი გიორგი ერისთავი, — შემდეგნაირად მოხდა. მანანა და გამცილებლები ჩემზე ადრე გამგზავრდნენ და მე მათ ცოტა მოგვიანებით წამოვეწიე ზასტავის მახლობლად. ზასტავასთან რომ მივედი, ელიზბარმა დიდი სიხარულით მითხრა, რომ ლუარსაბმა დღეს ალექსანდრე ჭავჭავაძეს გამოუცხადაო.“

გამცილებელი მამაკაცები ყველანი ცხენებზე ისხდნენ, ქალები კი კალიასკებში. გავაცილეთ ყველამ და ყველა ერთად დავბრუნდით, მხოლოდ ქალაქში დაბრუნებისას ლუარსაბ ორბელიანის სახლიდან მე და ელიზბარ ერისთავმა ჭავჭავაძის ქალები შინამდის გავაცილეთ და შემდეგ კი დავშორდით ერთმანეთს“.²

გავიდა რამდენიმე ხანი და ალექსანდრე ჭავჭავაძემ შეთქმულებაში მონაწილეობის თანხმობა განაცხადა.

*) იხ. „ჩვენი თაობა“, № 9.

¹ გ. გოზალიშვილი — „1832 წ. შეთქმულება“, 1935 წ., გვ. 41.

² საქართ. ცენტრ. საარქ. სამმართველო. 1832 წ. ამბოხების მასალები. ტ. X, გვ. 1861.

ელიზბარ ერისთავი მოგვითხრობს:

„... 1831 წელს გამოუცხადე ჩვენო განზრახვა მაიორს თავად ლუარსაბს ორბელიანს და მან მითხრა, რომ ის ამის შესახებ მოელაპარაკება ჭავჭავაძეს. რამოდენიმე დღის შემდეგ მე და ალექსანდრე ორბელიანი მივედით ლ. ორბელიანთან და ვკითხეთ ჭავჭავაძეზე, მან ჩვენ გვკითხა ამ სიტყვებით: „ჭავჭავაძე თანახმაა და ბრძანა ალექსანდრე ბატონიშვილთან კაცის გაგზავნა, რათა ის კახეთს გადმოვიდეს, დანარჩენები თვითონ იცის, რასაც გააკეთებს“.³

შეთქმულთა გადაწყვეტილებით აჯანყების წინააღმდეგ უნდა გამართულიყო წვეულება. „წვეულებაზე, — წერს იასე ფალავანდიშვილი, — უნდა მოწვეული ყოფილიყვნენ: კორაუსის უფროსი და ყველა სამხედრო და სამოქალაქო რუსი მოხელენი. აქვე უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე მოწვეული ჩვენი თანამზრახველთაგან ყველაზე უფრო გაბედულნი; როგორც თავადები, ისე აზნაურნი, ისინი ჩაცმული იქნებოდნენ ეროვნულ ტანისამოსში და თან უნდა ჰქონოდათ ხმალი და ჯიბეში ორ-ორი გატენილი დამბაჩა..

წვეულება ლუარსაბ ორბელიანის სახლში უნდა მომხდარიყო, რადგან იგი ფართეა და მოედანზე დგას, როგორც კი ღამის პირველ საათზე შესაკრებ ადგილიდან რაკეტებით ნიშანს მისცემდნენ, მაშინათვე უნდა დაეწყოთ ხოცვა და იქიდან არც ერთი რუსი არ გამოეშვათ. ხოლო თუ ვინმე ქართველთაგანი გაბედავდა წინააღმდეგობის გაწევას, ისიც რუსებთან ერთად უნდა მოეკლათ“.⁴

ნადიმის დამსწრე ქალთა როლი კაი ხანს გაურკვეველი იყო და ამიტომ შეთქმულთა შორის კამათს იწვევდა საკითხი, თანაგრძნობას გამოუცხადებენ თუ არა ამ ყლექას ქართველი თავადის ქალები და მათ შორის ნინო ალექსანდრეს ასულიც. პოეტი გიორგი ერისთავი გვიამბობს:

„მამუკა ორბელიანზე მახსოვს, რომ 1831 წელს მე და ელიზბარ ერისთავი მოვედით მასთან, როცა მას ისევ ეძინა და დავუწყეთ ლაპარაკი. ელიზბარმა უამბო ყველაფერი ჩვენ შეთქმულებაზე. მამუკამ უპასუხა გავმართოთ წვეულება, მოვიწვიოთ ყველა მთავარი მოხელეები და ყველა უფროსები დავხოცოთ, შართლაც, რომ ეს უკეთესიაო — უპასუხა ელიზბარმა.

მერე მე ვთქვი, იქ ჩვენ ქალებს შიშის ზარი აიტანს მეთქი. ელიზბარმა ჩაიციხა და თქვა, მამუკა, წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ ნადიმია, ქალები არხეინად სხედან, უცბად ვიშიშვლეთ ხმლები და დაიწყო ჩხვება, მე მგონია შენ პირველი ისახელებ თავსო.

მამუკა წამოხტა, წაიწია სახელოები და დაიძახა: ოხ ბოროტებო. — მოითმინეთ, გავაწყვეტინე მე, — მამუკა, მაგალითად თქვენ იშიშვლეთ ხმალი და დაიწყეთ ჩხვა, ამ დროს მოვიდა შენთან ნინო ალექსანდრეს ასული გრიბოედოვის ძეგულე, დაიჩოქა შენ წინ და გეუბნება: მამუკა რასა შვრებიოთო, — მაშინ რას იზამდი მეთქი, — მათ გაიცინეს.. მამუკამ თქვა, მე ხმალი ხელიდამ გამივარდებოდა, ელიზბარმა კი — მე მას შეფურობებით გაუმასპინძლდებოდითო“.⁵

ამბოხებაში ქალების ჩათრევის საქმეს ადვილებდა ის გარემოება, რომ შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო თამარ ბატონიშვილი.

მოკლე დროის განმავლობაში შეთქმულებაში ქალთაგან ჩარეულ იქმნენ: თეკლე ბატონიშვილი, ქეთევან ბატონიშვილი, ალექსანდრე ორბელიანის მე-

³ ვ. გოზალიშვილი — „1832 წ. შეთქმულება“. 1935 წ., გვ. 42.

⁴ იგივე წყარო, გვ. 90, 91.

⁵ იგივე წყარო, გვ. 394, 395.

ულლე — ეკატერინე, მელანია შანშეს ასული მელნიკოვისა, მართა მესხიშვილი და სხვანი.

1832 წლის ნოემბრის დასასრულს, შეთქმულ ქალთა რიცხვს მიემატა ნინო ჭავჭავაძის ბიჯოლა მანანა მირმანოვის ასული ორბელიანი, რომელიც უახლოეს მეგობრობაში იყო ნინო ალექსანდრეს ასულთან.

ამავე ხანებში აგარაკიდან ტფილისში დაბრუნდა ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის სახლობით და მის ოჯახში „შეთქმულებმა“ ხშირი სიარული დაიწყეს.

ჭავჭავაძესთან მოსალაპარაკებლად მოსულნი შეთქმულნი, იცავდნენ რა კონსპირაციის ყველაზე მაღალ სახეს, ერიდებოდნენ ალექსანდრე გარსევანიძესთან ქალიშვილების თანდასწრებით საუბარს.

„1832 წლის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში, — გვიამბობს ელიზბარ ერისთავი, — თბილისში ჩამოვიდა ოჯახით გენ. მაიორი თ. ჭავჭავაძე. მე მათთან ხშირად დავდიოდი, რადგან ჭავჭავაძის მეუღლე ჩემი ალალი დეიდაა.

ერთ საღამოს შევიარეთ მასთან მე და პორუჩიკ გიორგი ერისთავმა; ზალაში მისი მოცუკვავე ქალიშვილები დაგვხვდნენ, რამოდენიმე წუთის შემდეგ სასტუმრო ოთახში გამოვიდა ჭავჭავაძე და მე მას შევეყე, გიორგი კი ზალაში დარჩა.

როგორც კი დავსხედით, მხოლოდ იმის კითხვა მოვასწარი, ლუარსაბმა გელაპარაკათ, თუ არა მეთქი და მან მიპასუხა მელაპარაკაო, მაშინათვე შემოვიდა დეიდაჩემი და მე შეეწყვიტე საუბარი, მას სხვებიც მოჰყვნენ და ამგვარად მოლაპარაკება ჩაიშალა.

დეკემბრის 4-ს მივედით ჭავჭავაძესთან: ლუარსაბ ორბელიანოვი, კაპიტანი ჩოლოყაყვი და მე, რომ მომელაპარაკნა მასთან განზრახულებაზე. ჭავჭავაძე, ლუარსაბი და ჩოლოყაყვი შევიდნენ კაბინეტში, მე კი სასტუმროში დავჩი, რომ გამერთო ქალები და არ შეეშალათ მოლაპარაკებისათვის ხელი“.⁶

რასაკვირველია, ეს სრულიდაც იმას არ ნიშნავს, თითქოს განზრახულ საქმეთა შესახებ ა. ჭავჭავაძის ქალებმა ნინომ და ეკატერინემ არაფერი იცოდნენ.

ახლა ხომ გამოკვეულია, რომ საგამომძიებლო კომისიას ყოველგვარ ცდის მიუხედავად მაინც გამორჩა დიდი რიცხვი შეთქმულებაში მონაწილეებისა.

სწორედ ამის შესახებ წერდა ალექსანდრე ორბელიანი: „...„ ბევრნი ერივნენ ამ ჩვენს საქმეში, მაგრამ დიახ ფრთხილად და არც თავიანთი თავი გამოიჩინეს კომისიაში“.⁷

~~შეთქმულთა ამ კატეგორიას ეკუთვნოდა ნინო ალექსანდრეს ასულიც.~~

შეთქმულებაში ქალების მონაწილეობის შესახებ იგივე ალექსანდრე ორბელიანი თავის მემუარებში მოგვითხრობს შემდეგ:

„ხნიან დედაკაცთ და ყმაწვილ ქალთ ერთი აზრი ჰქონდათ ყველას ჩვენთან. ბევრმა პატიოსანმა გვარმა დედაკაცებმა დაიფიცეს: კატურად ჩავიცომთ მამულის გამოსახსნელად. ზოგიერთმა ყმაწვილმა დედაკაცებმა, ბაირალებს კერვაც დაუწყეს და არეულობის ნიშნად მოამზადეს“.⁸

შეთქმულების ხელმძღვანელი მამაკაცები აჯანყების დაწყებას რატომღაც აჭიანურებდნენ, მაშინ მოთმინება დაკარგულმა ქალებმა გადასწყვიტეს თვითონ დაეწყათ ამბოხება.

⁶ იგივე წყარო, გვ. 45ბ.

⁷ იგივე წყარო, გვ. 128.

⁸ იგივე წყარო, გვ. 128, 129.

„თ. ალ. ორბელიანოვისაგან გავიგონე, — გვიამბობს სოლომონ დოდაშვილი, — რომ თამარ ბატონიშვილი იწვის აჯანყების მოხდენის სურვილითაო და თვით დედაკაცები დაიწყებენ, თუ მამაკაცები არ მოისურვებენ“.⁹

მაგრამ ამბოხების დაწყება არც მამაკაცებს და არც ქალებს არ დასცალდათ. 1832 წლის დეკემბრის დამდეგს შეთქმულება იქნა გაცემული.

დღემდე გავრცელებულია ყოვლად მცდარი შეხედულება თითქოს შეთქმულება გასცა თვალსაჩინო წევრმა იასე იოსებისძე ფალავანიშვილმა.

ეს ასე არ არის.

არსებობს 1832 წლის შეთქმულების გამოძიებაში და მის გამო წარმოებულ საქმეებში ჩახედულ ნიკოლოზ მურავიოვ-კარსკის ავტორიტეტული და ყოველმხრივ სანდო ცნობა შეთქმულების პირველი დამბეზღებლის შესახებ, რომელსაც სამწუხაროდ აქამდე არავინ არ მიაქცია ყურადღება.

ნიკოლოზ მურავიოვ-კარსკი ამის გამო თავის საინტერესო მემუარებში მოგვითხრობს: „მთავარი გამცემი იყო ცნობილი ყორღანოვი.“¹⁰

რა თქმა უნდა, რომ მურავიოვ-კარსკი გულისხმობს განთქმულ ავანტურისტსა და პროვოკატორს ზედმეტ სახელად „ვანკა კაინს“ — ივანე იოსებისძე ყორღანოვს, რომელსაც ა. ს. გრიბოედოვი მთავარმართებელ პასკევიჩისადმი გაგზავნილ წერილში „პადლეცს“ ეძახის.¹¹

მაშ საიდან მოდის ვერსია იასე ფალავანიშვილის გამცემლობის შესახებ? აი საიდან:

შეთქმულების გაცემის წინა დღეს ალექსანდრე ჭავჭავაძე შეთქმულთა დავალებით მივიდა ტფილისის გუბერნატორ ნიკოლოზ იოსებისძე ფალავანიშვილთან და მისი მიმხრობის მიზნით ცალკე ოთახში ჩაკეტილი ორი საათის განმავლობაში ესაუბრა მას.

ივანე იოსებისძე ყორღანოვის დაბეზღებით ხელისუფლებამ უკვე იცოდა შეთქმულების არსებობა, მაგრამ კონკრეტული ცნობები მას ზელთ არ ჰქონია..

მთავრობამ მიმართა ერთგულ გუბერნატორს ნიკოლოზ ფალავანიშვილს. მან ყველაფერი აუწყა საგამომცემლო კომისიას, რაც ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან შეიტყო და ალბათ ისიც, რომ ამ ამბოხებაში ვარეულა მისი ძმა იასე და წარუდგინა იგი ხელისუფლებას დასაკითხავად.

სწორედ ამას გულისხმობს ალექსანდრე ორბელიანი, როცა თავის მემუარებში ორჯერ აღნიშნავს, რომ ნიკოლოზ ფალავანიშვილმა დაგვლუპაო.¹²

ამასვე იმეორებს პოეტი და დრამატურგი გიორგი ერისთავი.¹³

იგივე ალექსანდრე ორბელიანი იუწყება: „საბეზღარი დასტა ქალაღი შემდეგ ვერავინ ველარ ნახა კომისიაში, რადგან რუსეთის მთავრობა ცდილობდა ეჭვი არავის არ ჰქონოდა დაბეზღებისა და ამისთვის სხვას უცოდველს აბრალებდნენ“.¹⁴

ასეთ „დამბეზღებლებად“ რუსეთის ცარიზმი ხან იასე ფალავანიშვილს ასახელებდა, ხან ალექსანდრე ორბელიანსა და სხვებს.

⁹ იგივე წყარო, გვ. 397.

¹⁰ უფრ. „Руский Архив“, 1894 წ. № 1.

¹¹ უფრ. „Дела и Дни“, 1921 წ. № 2, გვ. 63.

¹² საქ. მუხ. პალ. განყ. S ფონდი, ხელნ. №№ 1658 და 1656.

¹³ უფრ. „მნათობი“, 1932 წ. № 4—5.

¹⁴ გ. გოზალიშვილი — 1832 წ. შეთქმულება“, 1935 წ. გვ. 127.

რა თქმა უნდა, ნიკოლოზ ფალავანდიშვილს რომ არ გადაეშალა ხელისუფლებისათვის შეთქმულების სურათი, ყორღანოვის დაბეზღებით მთავრობა კარგა ხანს ბევრს ვერაფერს გამოარკვევდა.

ნინო ალექსანდრეს ასული გრიბოედოვის დაკრძალვის დღიდანვე ოცნებობდა მეუღლისათვის შესაფერ ძეგლის დადგმაზე.

ეს ოცნება მან 1832 წელს აისრულა.

აღნიშნულ წელს გრიბოედოვის საფლავს გაუკეთა მშვენიერი მღვიმე, რომლის ფრონტონის თავზე ქართულად წარწერილია: „აქა მდებარებს გვამი გრიბოედოვისა“. თვით საფლავებზე დადგმულია ცნობილ მოქანდაკის კამპიონის მიერ შავ მარმარილოს ქვისაგან გაკეთებული ბრინჯაოს ჯვრიანი მშვენიერი ქანდაკება, რომლის ძირში მოთავსებულია ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მტირალი ქალის გამოხატულება.

მუხლმოდრეკილ გამოხატულების ფეხებთან ერთ მხარეს ჯვარი და სახარებაა გამოხატული — სიმბოლო ტანჯვისა და რწმენისა, მეორე მხარეს ერთმანეთზე დაწყობილი, რომელთა ვარჯიხანზე წარწერილია „Горе от ума“, მის ზემოთ დაფნის ფოთლებით გარშემოწყობილი ქნარია.

ძეგლის პიედესტალის წინა მხარეს ბარელეფით გაკეთებულია მწერლის პორტრეტი, მის გასწვრივ ოქროს ასოებით რუსულ ენაზე სწერია: „Александр Сергеевич Грибоедов, родился в 1795 году, генваря 4-го дня, убит в Тегеране в 1829 году, генваря 30-го дня“.

სამხრეთ მხარეს წარწერილია: «Ум и дела твои бессмертный в памяти русской, но для чего пережила тебя любовь моя».

ჩრდილოეთის მხარეს წერია: «Незабвенному его Нина».

ძეგლი აგებულ იქნა ქერვის ხარჯზე. ამ მშვენიერ აკლდამის ხილვამ რუსეთის პოეტ პოლონსკის შემდეგი სტრიქონები ათქმევინა:

И положила и его
На той скале, где спит
Семья гробниц и где святой
Давид их сторожит;
Где раньше, чем заглянет к нам
В окошки алый свет,
Заря под своды алтаря
Шлет пламенный привет;
На той скале, где в бурный час
Зимой, издалека
Причалив, плачут по весне
Ночные облака;
Куда весной, по четвергам
Бредут на ранний звон
Тропинкой каменной, в чадрах,
Толпы грузинских жен;
Бредут нередко в страшный зной
Один—просит детей,
Другия воротить мольбой
Простивших к ним мужей,—

Там в темном, гроте—мавзолей,—
 И скромный дарь вдовы—
 Лампадка светит в полутьме,
 Чтоб прочитали вы
 Ту надпись, и чтоб вам она
 Напомнила сама
 Два горя: горя от любви
 И „Горе от ума“.¹⁵

ოთხმოც წელს მიახლოვებული გრიგოლ ორბელიანი, 1879 წლის 24 აგვისტოს გაგზავნილ ერთ თავის ბარათში, იგონებდა რა ქართველ გრაციათა საზოგადოებას, რომელსაც ეკუთვნოდნენ: ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, მანანა ორბელიანი, სოფიო ორბელიანი, მარია ორბელიანი, მართა სალოლაშვილი, მაიკო ორბელიანი, ჟოზეფინა ოპერმანი და სხვანი, სინანულით წერდა სამეგრელოს დედოფალ ეკატერინეს:

„მაგონდება თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილ-ქალობა ქს მასვე დროს სხვანიცა მრავალნი, დახატულნი სილამაზითა, მიმზიდველნი მაღალ-ზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით. მართლაც მეტად კარგი დრო იყო, საცხე მხიარულებით, უზრუნველობით და ამასთანა საითაც შეჰხედავდით, უთუოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძველებურს სავათნავს ლექსსა“ ნეტა რომელს ვენაცვალო, ვანა რამდენი თავი მაქვს.“ ხშირად მაგონდება: ის დრო, თქვენი დრო, მეტად ლამაზი დრო. ლმერთმან გიშველოსთ, მეტად კარგები იყავით, და ეხლაც ჩემი თავი მით მიმაჩნია ბედნიერად, რომ მეცა თქვენს საზოგადოებაში ვიქცეოდი და მას ვეკუთვნოდი“.¹⁶

ლამაზმანთა ამ წყებიდან გრიგოლ ორბელიანი სხვადასხვა დროს ვატაცებული იყო სოფიო ორბელიანით, მანანა ორბელიანითა და ჟოზეფინა ოპერმანით, მაგრამ გულწრფელი, ტარიელისსადარ სიყვარულით, ცხოვრების თითქმის მთელ მანძილზე ეტრფოდა პოეტი ნინო ჭავჭავაძეს.

პირველი ტრფობის ამურის ისარმა დაჰკოდა ჭაბუკი პოეტის გული, როცა გრ. ორბელიანი 16 წლის იყო, მაშინ იგი ახლად შესული იყო სამხედრო სამსახურში.

რვა წლის შემდეგ, 1824 წელს შილდაში დაწერილ ნინო ჭავჭავაძისადმი მიმართულ ეპისტოლარულ მხატვრულ ესკიზში პოეტი წერდა:

ნ [ი ნ ო ს ა] დ მ ი

მე ვიყავ თავისუფალ დროს სიკაბუკისას; მაშასადამე ვიყავ ბედნიერიცა, ვინიდან აწმყოცა დამატკობდა და მომავალიცა აღმითქვამდა უმეტეს ბედნიერებას — ვარნა ახ! ყოველივე ეს იმედნი და თვით თავისუფლებაცა განჰქრენ გულისა ჩემისათვის ესრეთ მჰსწრაფლიად, ვითარცა საამურისა სიზმრისა ოცნებანი.

ბაგეთა ჩემთა დაივიწყეს ღიმი, და სიამოვნებანიცა არლა მყოფობენ დამკვნარსა ჩემისა გულისათვის, რომელიცა მოცულ არს მწუხარებისა ღრუბლითა. შექცევათა და ღიბითა შინა ვერლა მიპოვნიეს შვებანი: ყოველგან თავსა ჩემსა ვხედავ მარტოდ დაშთენილსა. ზოგჯერ ვჰსიერიობ წალკოტსა შინა და მუნცა მშვენიერნი ყვავილნი ჰსკენებიან მემუნეარეთა ფიქრთაგან ჩემთა.

უწყოდე, მეგობარო ჩემო! რომელ მიზეზი ესრეთისა ჩემისა უბედურებისა არს სიყვარული, რომელიცა უმეტეს გზნების, რაოდენცა შირბიან დრონი. რვამან წელიწადმან ვერ შეამსუბუქა ტანჯვანი ჩემნა, და ოხრვათცა ესედენსა დროსა ვიმაღლე გულსა შინა ჩემსა.

¹⁵ Я. П. Полонский — „Стихотворения и поэмы“, 1935 წ.

¹⁶ საქ. ცენტ. საარქ. სამართ. საგანგ. მნიშვ. საქ. ფონდი, საქმე № 175, ფურ. 28.

არს უკვე რვა წელიწადი, რა გონება ებრძვის გულსა, რომელსაცა ვჰხედავ დასასრულ მძლეველად. აქ შეჰსწყდა ყოველ მოთმინება ჩემი — ახ! საყვარელო მეგობარო, რჩევათა ესრეთსა ჩემსა მდგომარეობისა ძალ გედუთა მოცემად ჩემთა რომლისამე ნუგეშისა, გარნა შენცა ხარ ჩემგან განშორებულ, და ვარ ესრეთ დაჰშთენილ შესაჰმელად მწუხარებათათვის.

მშვიდობით, მეგობარო ჩემო! ვხედავ უფსკრულსა წინაშე ჩემსა და არ ძალმიძს მოარიდებად. ახ! ნეტარ წერილსა შენსა ძალედვას მოცემად ჩემდა წარსულისა ბედნიერების და განმჭრალისა ჩემისა თავისუფლებისა უკუმოქცევად. მშვიდობით.

შილდა 1824 წელს.¹⁷

ნინო ჭავჭავაძისადმი უხადო ტრფობის შედეგია გრიგოლ ორბელიანის შემდეგი ლექსები ნინოზე: „სამო არს სახილველად“, „როს ბულბული ვარდს შესტროფოდეს“, „მტრალ ნ. ...ს“, „ნ.. დმი“ („მნათობო თვით შენ აღმიხსენ“), „ნ ...დმი“ („როს ვხედავ მნათო!“) „ამა სოფელს დამშთომიეს“, „ნ ...ს“ („თაყვანის მცემელს როს გუნდი“...) და „ან“... („...დღესა ამას საყვარულმან“)

ნინოსადმი საყვარულს პოეტი უდიდესი საიდუმლოებით ინახავდა. ამით არის გამოწვეული, რომ ზემოთმოყვანილი ეპისტოლარული ესკიზი და ჭავჭავაძის ასულისადმი მიმართული ლექსები გრ. ორბელიანს დაშიფრულად აქვს დასათურებულნი. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრფობის მამხილებელ ნაწერთა გაგზავნას შეყვარებულისადმი პოეტი გაურბოდა და ყველა ეს თხზულებანი ადრესატისადმი გაუგზავნელი რჩებოდნენ გრიგოლ ორბელიანის პირადს არქივში.

ნინო ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ წერილებში და სხვა პირებისადმი მიმართულ ბარათებში გრ. ორბელიანი ახერხებს დამალოს თავისი ზეაშვიდი და მიჯნურისა და მოტრფიალის ნაცვლად თავისი თავი მეგობრისა, თუ პატივისმცემელის სახით წარმოგვიდგინოს.

რასაკვირველია ნინო აღექსანდრეს ასულმა იცოდა, რაზომ ძლიერად უყვარდა იგი გრიგოლ ორბელიანს და ამიტომ თავიდანვე უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა და მეგობრობდა პოეტს.

ყველაფერი რიგზე წავიდოდა ალბათ, ჯერ ა. ს. გრიბოედოვი და მერე გრიგოლ ორბელიანის ძმა — ზაქარია რომ არ გამოჩენილიყო მეტოქე.

ნინო ჭავჭავაძის გრიბოედოვზე დანიშვნისა და გათხოვების პერიოდში დაწერილ ერთს ლექსში გრიგოლ ორბელიანი თავის რაყიფს — გრიბოედოვს „ყვავს“ ეძახის, იმის გამო, რომ მან პოეტს ბედნიერება დაურღვია:

როს ბულბული ვარდს შესტროფოდეს,
უგალობდეს, შეჰხაროდეს,
მაშინ ყვავსა რად არ ჰსცხენის,
რომ მათ შორის სამზღვრად დადეს?

გრიბოედოვისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გრიგოლ ორბელიანს გამოხატული აქვს ნინო ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ ბარათშიაც:

«...Взглянем вокруг себя, на ком можно жениться, неужели на тех, кои подражая вам, отделись в пансион, где выучив несколько французских слов и променяв ქოშები на башмаки воображает, что кончила курс воспитания. Полурусские, полуфранцуженки, полугрузинки, неужели они могут быть добрыми женами? Между тем, как каждая из них не иначе хочет выйти замуж, как за Грибоедова или по крайней мере за флигель-ад'ютанта».¹⁸

1832 წელს კავკასიის აქეთა — მხრების მთავარსარდლის პანკრატევის ბრძანებით გრ. ორბელიანი პეტერბურგს გაიგზავნა, სადაც წაიყვანა მან კავკა-

¹⁷ საქ. ცენტ. საარქ. სამმარ. 1832 წლის ამბობების მასალები, ტ. XXI, ფურ. 4056.

¹⁸ გრ. ორბელიანი — „წერილები“ 1936 წ. ტ. I, გვ. 34.

სიის კორპუსიდან დარჩენილი ჯარისკაცები „საგანგებო ქვეითი ჯარის პოლკისთვის“.

ტფილისიდან გამგზავრების წინ გრიგოლ ორბელიანი მივიდა თავის იდუმალ სატრფოსთან გამოსამშვიდობებლად.

მეორე მხატვრულ ეპისტოლარულ ესკიზში პოეტი ასე ავგიწერს ამ გამომშვიდობებას:

ნ[ინო], ე[კატერინა], მ[ანანა]

გახსოვთ დღე იგი, ოდესცა მე გულითა მწუხარებისაგან შევიწროებულთა მოვედ რა თქვენთა ნ[ინო] გამოსასალმებლად, გიხილეთ მოულოდნელად სამნივე ერთად ნ[ინო], ე[კატერინა], მ[ანანა], ვითარცა მშვენიერნი გრაციანი მჯდომარენი მოაჯირზე ფანჯარასთანა და უმწერდით ყმაწვილურისა სიამოვნებითა საშინლად აღრეულთ ღრუბელთ, და ისმენდით უშიშრად ქუხილთა, რომლისა გრგვინათა განიმეორებდენ მთანა.

უმწერდით უშიშრად და არ უწყოდით, თუ უსაშინელეს ამა ღრუბელთა არიან ღრუბელნი ვნებათნი ცხოვრებისა ჩვენის დამამწარებელ და დამაბნელებელნი, რომელნიცა ჯერეთ არა შეხებიათ გულთა თქვენთა, აქამომდის უმანკოთ, წმინდათ და ნათლად.

მოვედ თქვენდა და მსურდა მხიარულად მეჩვენა თავი ჩემი; მარამა მხიარულისა სახისა ჭკეპე, ვერა დავჭარბე თვალთაგან თქვენთა მწუხარებითი მდგომარეობა გულისა ჩემისა. შემამჩნიეთ მკმუნვარება და იწყევი ჩემდა ნუგეშისცემა, მე ვიჯექ მდუმარედ, ვისმენდი სიტყვათა თქვენთა, მსურდა მეცა უბნობა, და ვერცა ერთი სიტყვისა ვერ შევძელ წარმოთქმად:

გახსოვთა! რა გესმათ ჩემგან სიტყვა მ შ ვ ი დ ო ბ ი თ, თვალნი თქვენნი უნებლიეთ აღივსნენ ცრემლითა, ერთი და ორიც გამოქცივდათ მშვენიერთა ლაწვზედა; ხოლო ბაგენი ღიმილითა ჰსცილილობდნენ დაფარვასა მწუხარებასა თქვენისას.— ახ! ვითარ მშვენიერ იყვენით უამსა მას; ვითარ გშვენოდით ცრემლნი.

არა გიხილავთ? მშვენიერისა გაზაფხულისა დილასა ვარდი ახლად გაშლილი რომელსა ზედაც უბრწყინვალეებს ზეცისა ნამი? ანუ არა გახსოვთ? მზიანსა დღესა მოწმენდილი ცა გადმომღვრეველი წვიმისა, რომლისა თვითეულნი მარცვალნი მზისა სხივით გაბრწყინვალეებულნი ჰსცივიან მარგალიტებრ და ასიამოვნებენ თვალთა.

ესრეთ იყვენ თვალნი თქვენნი. სიხარულმან განანათლა და განაბნივა მწუხარებითი სიბნელე სულის ჩემისა. ნუ თუ ვარ ესრეთ ბედნიერ რომელ ღირს ვიქმენ ცრემლსა თქვენსა? ნუთუ გულთათვის თქვენთა ვნიშვნელობ რასმე? ამა აზრმან სრულიად გამოიცა, რომელ წამსვე მას გესალმებოდით: ესრეთ მცირედი სიხარული იგიწყეებს მრავალთა სიმწარეთა.

შესაძლო არს, რომელ არცა დღე იგი, არცა თვით მე გახსოვართ თქვენ. მარამა დღე იგი არაოდეს არა აღიხორცების გონებისაგან; და ოდესცა მეწვევის მწუხარება ანუ უბედურება, რომელნიცა არიან კაცთათვის აუცილებელ და განუარელ სიოცხლესთანა ჩვენისა, მაშინ მომაგონდების ჰე გრაციანო! ცრემლნი თქვენნი ჩემთვის გადმოცვივულნი, და ვიქნები მით ნუგეშეცემულ.

პეტერბურღს 1832 წელს

ნოემბრის 5 დღესა.¹⁹

სატრფოს მოშორებულთ, პეტერბურღში გამწესებულთი გრიგოლ ორბელიანი თავის ტფილისელ მეგობრისაგან—დავით ყორღანაშვილისაგან ღებულობდა ბარათებს, რომელთა შორისაც ნინო ჭავჭავაძის სახელი თითქმის ყოველთვის იხსენიებოდა ხოლმე.

1831 წელს 24 აგვისტოს დავით ყორღანაშვილი წერდა პოეტს: „..შენი წიგნი, კვირას ბალიდან რომ დავბრუნდით, ბინდისას მოვიტანე თქვენსა. დედა შენი, ნინო და სხვა ქალები ყაბახზედ დაიარებოდნენ, მივეც წიგნი და საკვირვლად იამათ“.²⁰

¹⁹ საქ. ცენ. საარქ. სამმ. 1832 წ. ამბოხების მასალები, ტ. XXI.

²⁰ საქ. ცენ. საარქ. სამმ. საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № 171, ფურ. 118.

იგივე დავით ყორღანაშვილი 1832 წლის მაისის 5 აუწყებდა გრიგოლ ორბელიანს:

„გუშინ სადილთ უკან შეველ ნინოსთან. მანანა იქ იყო. ეგრეთვე სხვა ქალები, შენზედ ლაპარაკი ჩამოვარდა, ყველანი გაქებდნენ“.²¹

1832 წლის სექტემბრის 15-ს დავით ყორღანაშვილი კვლავ წერდა გრიგოლ ორბელიანს:

„... წრევანდლისთანა ლხინები სულ არ ყოფილა. რივის პურსავეთ ყველას კამპანია გამართული აქეთ და სულ ბალებში. ზეგ, ესე იგი შაბათს მე მყვანან დაპატიჟებულნი ბაღში ვახშმათ და კვირას სადილათ: ნინო, თარხნიანთ სალომე დედითურთ, ჩვენი დედა ხორეშანი, ელისაბედ, ყორსმაზის და სოფიო თავისის ქმრით გრიგოლ ბარათოვით იაგორ სტეფანიჩის და სტეფანოვიჩის ცოლი, კაცები: ბატონი იაკობ, იაგორ სტეფანიჩი, გერასიმა, ყორხმაზ, ანდრია და სხვა ახალი დრუგები რომელსაც შენ არ იცნობ“.²²

დასახლებული წლის დასასრულს, თუ შემდეგი წლის დასაწყისში შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული გრიგოლ ორბელიანი ტფილისში ჩამოიყვანეს და ჩასვეს ავლაბრის ყაზარმაში, ძნელი სათქმელია ინახულა, თუ არა ნინო ალექსანდრეს ასულმა თავისი თაყვანისმცემელი პოეტი.

რუსეთში გრიგოლ ორბელიანის სამსახურისა და მერე გადასახლებაში ყოფნის პერიოდში ნინო ჭავჭავაძისადმი ტრფიალებაში პოეტს შეეცილა თავისი ძმა ზაქარია.

გრიგოლ ორბელიანმა უმაღლვე გაიგო ეს ამბავი, თუმცა ზაქარიამ არაფერი იცოდა ძმის სულიერი ტკივილების შესახებ.

ნინო ჭავჭავაძე ერთხანს თანაუგრძნობდა ამ სიყვარულს, და როგორც ქვემოთ დავინახავთ, თანახმა იყო გაპყოლოდა კიდევ ცოლად ზაქარია ორბელიანს.

1834 წლის 24 ივლისს ქ. ვილნოში მყოფი გრიგოლ ორბელიანი წერდა თავის ძმას ზაქარიას:

„...სად არის Н* და ან როცა ნახე და ან როგორ იყო თქვენი შეყრა დაწვრილებით მომწერე. Не знаю, что мне сказать о твоей любви, ибо я смотрю на её, как на слабость человеческого сердца, более потому позволительную, что от нее выходит очень редко дурные следствия; ибо она скорее всех других слабостей проходит и оставляет по себе приятные воспоминания; потому приятные, что он суть дела или шалости юных лет.“

შე გიყო! რათ მიგდის სიცოცხლე — მე თვით ვიცი, Н. არის ჭკვიანი, უმეტეს ლამაზი და უფრო კეთილი; მაგრამ მერწმუნე, მე გამოცდილებით ვეუბნები, რომ არცა ერთი დედაკაცი მრთელს ქვეყანაზე არა ღირს, რომ ნახევარი ნეკი მოიჭრას მისთვის, შენ კი სიცოცხლე მიგდის. Как ты слаб! впрочем желал бы тебе такую жену.—Очень, очень жаль, что нельзя тебе на нее жениться да сხვარიად ვერას გახდები.²³

²¹ იგივე საქმე, ფურ. 126.

²² იგივე წყარო, ფურ. 129.

^{*)} იგულისხმება ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე.

²³ გრ. ორბელიანი — „წერილები“ 1936 წ., ტ. I, გვ. 18.

ქორწინება ზაქარია ორბელიანისა ნინო ალექსანდრეს ასულზე არ მოხდა. გაჯავრებულმა ზაქარიამ ჯერ საერთოდ უარყო ცოლის შერთვა, მაგრამ მერე სრულიად მოულოდნელად ჯვარი დაიწერა ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზის დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ასულ ქეთევანზე.

1835 წლის 18 თებერვლის თარიღით გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში ზაქარია ორბელიანი ამის გამო სწერდა:

„ვიცი ბევრს იცინებ ჩემს ხარაქტირზე. ამას წინათ მოგწერე, რომელშიაც უარყავ საუკუნოდ ცოლის შერთვა; მაგრამ ამ თვის 10-ს ჯვარი დავიწერე, ისე ერთბაშად ანჩისხატის დეკანოზის ქალზე. მელიტონ, იფემია და ერთიანად ბატონიშვილები იყვნენ ამაში მოცადინენი და მიზეზნიცა. არ ვსწუხვარ, მოხარულიცა ვარ ამისთანა ქალისათვის და მოყვარეებისათვის... Она, Кетевана очень умна с прекрасными чувствами!

მე უწინათვე ხშირად მენახა ეს ქალი, მარამა ჰსწორედ ვითხრა გაჯავრებულმან ვჰქმენ ესე (это смешно). ეხლა კი დიდად ჰსწუხან, როგორც მესმის (я говорю на счет Н.), რომელსაც დიდად ჰსურდა, მაგრამ არა ჰქონია იმდენი ხარაქტერი, რომ თავი გამოედვა и пренебрегла бы сем.“²⁴

1835 წლის მაისის დასაწყისში წინანდალს ეწვია უკვდავი რუსი გენის ალექსანდრე პუშკინის უმცროსი ძმა (თვითონაც პოეტი) ლევ სერგეისძე (1805 — 1850), რომელიც იმხანად კავკასიის სამხედრო ნაწილებში მსახურობდა.

ჭავჭავაძეების განთქმულ მამულში ლევ პუშკინმა უდიდესი სულიერი სიმშვიდე ჰპოვა. მას ბედნიერება ჰქონდა გაეცნო ნინო ალექსანდრეს ასული და ეგემნა ჭავჭავაძიანთ გულუხვი მასპინძლობა.

ამავე ხანებში ჭავჭავაძეებთან ჩავიდა მანანა ორბელიანი.

ლევ პუშკინმა, რომელიც ჩინებულ დეკლამატორად ითვლებოდა და რომელიც სხვათაშორის, თავის ძმის ნაწერებს ავტორზე უკეთესად კითხულობდა, წინანდალში მყოფ ქალებს წაუკითხა „რუსლან და ლუდმილას“, რომლის შინაარსი მანანას ქართულად მოუთხრეს.

კახეთში გატარებულ დროისა და იქ მიღებულ სიამოვნების შესახებ მანანა გრიგოლ ორბელიანს რამდენიმე დღის შემდეგ ტფილისიდან წერდა:

და: „მე ხომ კახეთს ვიყავ, ესე იგი წინანდალში, უცხოთ შავექვც.“²⁵

წინანდალში ყოფნით არანაკლებ ნასიამოვნებ ლევ პუშკინის შესახებ პოეტის დედა იმავე წლის 19 ივნისს თავის ქალიშვილს ატყობინებდა:

„სამი დღის წინათ მივიღე ლოვასაგან 29 მაისს გამოგზავნილი წერილი. მან მოიარა მთელი საქართველო, ორი კვირა კი გაატარა გრიბოედოვის ქვირის მამულში. ის ამბობს, ეს დღეები ყველაზე ნეტარია ჩემს ცხოვრებაშიო. მწერს, რომ „იგი უმშვენიერესი ქალია“. იგი კვლავ აპირებს მასთან წასვლას.“²⁶

წინანდალში რუსულად მოსმენილ და ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალებისაგან ზეპირად ნათარგმნ „რუსლან და ლუდმილას“ შესახებ მანანა რუსეთში მყოფ გრიგოლ ორბელიანს რამდენიმე დღის შემდეგ ტფილისიდან წერდა:

²⁴ წერილის დედანი ჩემთან ინახება.

²⁵ საქ. მუზ. პალ. გან. Q ფონდ. ხელთ. № 155 ბ.

²⁶ „Литературное Наследство“, 1935 წ. № 16—18, გვ. 793.

„... ახლა გთხოვ, გრიგოლ, თუ ქისები და წინდები გინდა, ხომ კიდევ და-
მპირდი წიგნის თარგმნასა და შეასრულე ჩემი თხოვნა „რუსლანისა და ლუდ-
მილასი“. ის წიგნი მითარგმნე, შენი ჭირიმე, ისე კარგა და ძლიერად, როგორც
რუსულად არის დაბეჭდილი. თუ გინდა, რომ შეიტყო ეს სახელი ვინ მასწავლა,
მე მითარგმნეს ჩვენმა ქალებმა წინანდალში. შენი ჭირიმე სადაც იყოს იზოვნე-
და მითარგმნე, ყმაწვილო.“²⁷

ერთ „წინანდალელ ქალთაგანს“, ნინო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს,
1835 წლის 10 ივნისს გრიგოლ ორბელიანი მანანას თხოვნის პასუხად წერდა:
„... გიჟი მანანა უფრო გაგიგიჟებიათ, გადამკიდებია მითარგმნეო“.²⁸

იმავე წლის 22 ივლისს მანანა აგონებდა გრიგოლ ორბელიანს: „ამას წინად
წიგნის თარგმნა გთხოვე ჩემს წიგნში და არ ვიცი მოგივიდა თუ არა, თუ შეიძ-
ლებოდეს მითარგმნე, გენაცვალე“.²⁹

არ ვიცი, შეასრულა თუ არა გრიგოლ ორბელიანმა მანანას დაკვეთა. პუ-
შკინის ხსენებულ პოემა დღემდე უცნობია ქართულ თარგმნაში.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

²⁷ საქ. მუზ. პალ. განყ. Q ფონდ. ხელთ. № 155, ბ.

²⁸ გრ. ორბელიანი — „წერილები“, 1936 წ. ტ. I, გვ. 34.

²⁹ საქ. მუზ. პალ. განყ. Q ფონდ. ხელთ. № 155 ბ.

აკაკი წერეთლის დაუბეჭდავი პოემა „ასი წლის ამბავი“

პოემა „ასი წლის ამბავის“ სრული ტექსტი, რომლის ავტოგრაფი ჩემთან ინახება, აკაკი წერეთლის შემოქმედების უკანასკნელ პერიოდს ეკუთვნის. მისი დაწერის თარიღად 1906-7 წლები შეიძლება მივიღოთ. პოემა, რომელსაც ჩვენ პირველ სრულ ტექსტს ვუწოდებთ, პოეტის მიერ პირველად რედაქტირებული და დასაბეჭდად გამზადებული ტექსტია. როგორც ჩანს, მაშინდელი საცენზურო პირობების გამო აკაკის ამ პოემის იმ სახით დაბეჭდვა, რომელსაც პირველი სრული ტექსტი შეიცავს, ვერ მოუხერხებია და ზოგი ადგილების გადაკეთებით ეს პოემა რამდენიმე, შინაარსეულად შესაფერ, ცალკეულ ნაწილად დაუყვია.

პოემის პირველი სრული ტექსტი ოთხი თავისაგან შესდგება. აკაკი წერეთელი ამ პოემაში, ერთი მხრივ, ეხება საქართველოს იმ პერიოდს, როდესაც ქართველი ხალხი ფიზიკურად და სულიერად მტკიცე და დაუძლეველი იყო, როდესაც საზღვრებთან ერთად იცავდა რჯულსა და საკუთრებას:

„უმკლავდებოდა ერთი ათს,
იცავდა საკუთრებასა,
რჯულის და ქვეყნის დაცვაში
ხედავდა ნეტარებას“.

როდესაც

„გარე მტერი დათრგუნვილი
შულღს მათ ველარ უბედავდა
და შინაგან მშვიდობასაც,
ვინ იყო, რომ ვერ ხედავდა?...“¹

მაგრამ, მეორეს მხრივ, აკაკი წერეთელი აღნიშნულ პოემაში — გადმოგვცემს ოდესღაც ძლიერი საქართველოს დაცემის სურათებს. ფეოდალურმა შინაბრძოლებმა, კინკლაობამ და გაუტანლობამ დააუძლეურა საქართველო:

„ძმა ძმას გაუდგა, მამა — შვილს
და მაშინ გასწყრა ღმერთიცა“.

¹ პოემა „ასი წლის ამბავი“.

სწერს გულნატკენი აკაკი წერეთელი.

ესოდენ მდიდარი, გმირული ისტორიული წარსულის მქონე, თავისუფლებისმოყვარული ქართველი ხალხი ამ პერიოდში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო. მეფის რუსეთის მმართველი, რომლებსაც თვალი ეჭირათ აღმოსავლეთისაკენ და ოცნებობდნენ მის ხელში ჩაგდებას, სარგებლობენ საქართველოში შექმნილი მდგომარეობით და პრივილეგიურ პირობებში მყოფი დიდკაცების მიმხრობით ახერხებენ საქართველოს დაპყრობას:

„მაგრამ ვაი, რომ მიემხრენ
ზოგი ძალით, ზოგი ნებით,
მიიყიდეს მმართველებმა
ფულით, ჩინით, ორდენებით“.

საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტს თავადაზნაურობის ერთი ჯგუფი თავიდანვე ეჭვის თვალთ უცქეროდა. ქართული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელი ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ცნობილ პოემაში „ბედი ქართლისა“ ეჭვქვეშ აყენებდა თავისი წინაპრების საქციელს საქართველოს მეფის რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით.

აკაკი წერეთელი პოემაში „ასი წლის ამბავი“ ჭაბუას და სოლომონის დიალოგში ნათლად ამჟღავნებს მეფის რუსეთის ნამდვილი კოლონიური ჩაგვრის, ზრახვებს:

„რუსეთს შენც იცნობ, სოლომონ,
გინახავს მათი ქვეყანა,
ქრისტიანულის განძრახვით,
მოგვეშველება ჩვენ განა?
თეთრ კბილს გიჩვენებს, გულს შავად,
შემოიპარვის მელურად,
და სადაც ხერხი ვერ გასჭრის,
იქ ცულს მოიქნევს ველურად“.

ასე აფასებდა აკაკი წერეთელი მეფის რუსეთის პოლიტიკას პოემაში და, ამ აზრის იყო ის თავიდანვე საქართველოში რუსეთის ცარიზმის შესახებ. აკაკი ამჩნევდა, რომ მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად ქართული თავადაზნაურობის ზედაფენები გადაგვარების გზას აღდგენ და ეროვნულ თვითშეგნებას რუსეთის მეფის მიერ ნაბოძებ ეპოლეტებზე სცვლიდნენ:

„ჩვენს დიდ თავადაზნაურებს
აკერებდნენ ეპოლეტებს,
და ქვეყანას კი იმავ დროს,
თავში სცემდნენ ხერხით კეტებს“.

ამას ხედავდა ქართველი ხალხის მესაიდუმლე, ქირში და ლხინში მასთან მყოფი აკაკი წერეთელი და ებრძოდა მას როგორც კალმით, ისე პრაქტიკული საქმიანობით.

ცარიზმი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ გადაგვარებული თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ზედაფენების მოსყიდვით. და თავისი კოლონიური პოლიტიკის უკეთ გატარებისათვის ამკვიდრებდა საქართველოს რაიონებში რუს გლეხთა და კაზაკთა კულაკურ ელემენტებს. ცარიზმი ამით ცდილობდა გადაექცია ეს ელემენტები თვითმპყრობელურ მისწრაფებათა სიღმელთა დასაყრდენად.

მართალია ალექსანდრე I თავის მანიფესტში საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ აცხადებდა, რომ „ძალთა შემატების, ანგარების, ქვეყნიერება-

ზე ისედაც უზარმაზარი იმპერიის ფარგლების გავრცელებისათვის კი არ ვკისრულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს ტვირთს.. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებენ ჩვენ ამ სამღვრთო მოვალეობას, ყურად ვიღეთ რა ტანჯულთა მუდარა. მათი ნაღველის გასაქარებლად, დავაწესოთ საქართველოში ისეთი მართვაგამგეობა, რომელსაც შეეძლება დაამყაროს შართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უშიშროება და მისცეს ყველას დაცვა კანონისა“. მაგრამ სინამდვილეში ქართველ ხალხს დააწვა კოლონიური ჩაგვრის აუტანელი უღელი. „ცარიზმი, — სწერს ამხანაგი სტალინი, — განძრახ ანვითარებდა განაპირა ქვეყნებში პატრიარქალურ ფეოდალურ ჩაგვრას იმ მიზნით, რომ მასები მონობაში და მცონარეობაში ყოლოდა. ცარიზმმა განძრახ დაასახლა განაპირა ქვეყნების კუთხეები კოლონიზატორული ელემენტებით იმ შინით, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ყველაზე უარეს რაიონებში გაეძევიბინა და ნაციონალური შუღლი გაეძლიერებინა. ცარიზმი ავიწროებდა, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრსა, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, იმ მიზნით, რომ მასები ბნელეთში დაეტოვებინა. ცარიზმი ძირშივე ჰკვეთდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველგვარ ინიციატივას. ბოლოს ცარიზმი ახშობდა განაპირა ქვეყნების ხალხის მასების ყოველგვარ აქტივობას.“¹

აკაკი წერეთელი თითქმის მთელი პოემის მანძილზე შეტად ამაღლებულად გადმოგვცემს მეფის რუსეთის დაპყრობით პოლიტიკას საქართველოს მიმართ და დაუზოგველად ამქლავნებს ალექსანდრე I თვალთმაქცობას, რასაც ის ქართველ ხალხს პირდებოდა.

„და რაც პირობა დაუდგა,
არ აუსრულა არც ერთი;
გასტეხა ფიცი და მტკიცეი:
ალარ იწამა მან ღმერთი.
ხელში ჩაიგდო და ძველი
წესწყობილება გაშალა:
შემოიტანა თავისი
და მოაყოლა თან ძალა.
ქვეყნის გამყიდველს და ორგულს
უძღვნიდა „ქებათ-ქებასა“,
და ყოველ ბიჯზე ცდილობდა
მთელ ქვეყნის გარუსებასა“.
ჯერ ეკლესიას ეძგერენ,
სთქვენს: „აქ მარხია ძალღიო“.
ჯერ ძირი გამოუთხარე,
თუ გსურს წაიქცეს სახლიო.
სანამდე სარწმუნოება
ქართველს ექნება ხელშიო,
და არ მოკვდება ზნეობით,
ხელს ვერ წაუჭერ ყელშიო:
ჯერ უნდა რეჯული წავართვათ,
გაეხადოთ უნამუსოდო
და მერე შეეძლებთ ადვილად,
რომ კიდევ გავარუსოთო.

¹ ს ტ ა ლ ი ნ ი — „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხები“.

ეს სთქვეს და კიდევ მაშინვე
შეუდგნენ გარუსებასო
და ქართველობის უარყოფს
არ ამადლიდნენ ქებასო“.

აკაკი ხედავდა, რომ მეფის რუსეთის პოლიტიკით მოტყუებული მმართველი წრეები მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ. ქართველი თავადაზნაურობა გადაგვარდა. მეფის რუსეთის პოლიტიკის ერთგული დამცველი გახდა. ეს აწუხებდა აკაკის და მას კიცხავს პოემა „ასი წლის ამბავში“. აკაკის პოემაში ასახული აქვს ცარიზმის პოლიტიკით გამოწვეული ხალხის აუტანელი მდგომარეობა. „საქართველოში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წარმატებას დიდად უწყობდა ხელს როგორც ქართველი, ისე სომხური და მაჰმადიანი მრავალრიცხოვანი სამღვდელოებაც. ცარიზმი იზიდავდა სამღვდელოებას მისი მატერიალური მდგომარეობის მოწყობით. კულტის მსახურთათვის ჯამაგირის დანიშვნით, მათი შეილებისათვის სასულიერო სასწავლებლის მოწყობით, ჯილდოებით, ორდენებით, და წარჩინების ყოველგვარი ნიშნებით“. რუსეთის კანონით სასულიერო წოდების პირნი თავისუფლდებოდნენ ბატონყმობისაგან. საქართველოს ეკლესიას მოუსპეს დამოუკიდებლობა და რუსეთის სინოდს დაუმორჩილეს. კათოლიკოსის ნაცვლად შეიქმნა ექზარხოსის თანამდებობა. ექზარხოსის თანამდებობაზე ინიშნებოდნენ რუსების წარმომადგენელი სასწავლებლის მზრუნველად ნიშნავდნენ ქართული ენის უცოდინარო, ქართული ეკლესიისა და ქართული კულტურის წინააღმდეგ მებრძოლო აკაკი ამ ფაქტის გამო სწერს:

„სამასწავლებლო მზრუნველად
ნიშნავდნენ იმისთანასა,
ვინც ქართველობას პირდაპირ
ყელში ურჭობდა დანასა.
და ისიც მოძღვრად ნიშნავდა
ქვეყნის მტერს, ქვეყნის ორგულსა,
მარტო რომ კუჭზე ფიჭობდა
და ოცში იღებდა ფულსა.
სკოლებში მოსწავლეებსა
უსპობდნენ დედაენასა.
ყურს არ უგდებდნენ იმათი
მშობლების ცრემლთა დენასა“.

აკაკის პოემა „ასი წლის ამბავი“ სხვა ნაწარმოებთან შედარებით მხატვრულად სუსტია. უბრალო თხრობის კილოთი გალექსილია ამბავი — საქართველოს ბედი 19-საუკუნეში მეფის რუსეთის ხელში. პოემაში იშვიათად შეხვდებით შედარებას, ეპიტეტებს, ბუნების სურათების დახატვას. ეს კი პოემას ხდის მეტად ერთფეროვნად და აკაკის ლექსის ჩვეული სიძლიერე იკარგება. პოემა „ასი წლის ამბავი“, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, აკაკი წერეთლის შემდეგ სამი ცალკეული სათაურის ქვეშ დაუყვიათ. პოემის პირველი თავი ცალკე ნაწარმოების სახითაა წარმოდგენილი „ტერმშოვანთ კეკელას“ სათაურით, რომელიც საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში ინახება (1844 — №-ით). სათაურის ქვეშ მიწერილი აქვს „ასი წლის ამბავი“. „ტერმშოვანთ კეკელას“ სათაურით აღნიშნული ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს პოემის „ასი წლის ამბავის“ სრული ტექსტის პირველი თავის ვარიანტს, არავითარ განსხვავებას არ შეიცავს, გარდა ერთი ადგილისა. მაგალითად, პოემა „ასი წლის ამბავში“, სადაც სწერია:

„წინ მიუძღვის ამაყად
რუსების ურდო ჯარებს“;

მის ვარიანტში „ტერშმოვანთ კეკელაში“ ეს ადგილი შეცვლილია შემდეგნაირად:

„წინ მიუძღვის ამაყად
უცხო ქვეყნის ჯარებს“.

პოემის სრული ტექსტის მეოთხე თავის ნახევარი ნაწილი ცალკე პოემის სახითაა დაცული იმავე პალეოგრაფიულ განყოფილებაში (საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში, სათაურით „ისტორია“. 1467 ნომრით). ეს ვარიანტიც თითქმის უცვლელად მისდევს პოემის ტექსტს. მხოლოდ ერთი გამოკლებით. პოემის პირველად სრულ ტექსტში, სადაც ნახმარია სიტყვა „რუსეთი“, მისი შესატყვისი ვარიანტში „ისტორიაში“ შეცვლილია სკვითებად, და ზოგჯერ უმნიშვნელო სტილისტური ცვლილებებია შეტანილი.

რაც შეეხება პოემის „ასი წლის ამბავის“ ნაწილს, სადაც აკაკი წერეთელი ეხება ქართული რჯულისა და ეკლესიის მდგომარეობას ცარიზმის დამყარების შემდეგ, პოემიდან ეს ამბავი ცალკე სათაურის ქვეშ მოუქცევია „დაკარგული ქრისტიანობის“ სახელწოდებით, რომელიც საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში ინახება 1488 ნომრით.

პოემა „ასი წლის ამბავის“ ზოგიერთი ადგილები აკაკი წერეთელს გამოქვეყნებული აქვს 1912 წელს რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის შემდეგ დაწერილს პოემა „რაჭა-ლეჩხუმში“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1934 წელს „სიტყვა და საქმე-ში“ № 7, ქ. ქუთაისში.

მოსალოდნელია კიდევ აღმოჩნდეს პოემის რომელიმე ვარიანტი, ჯერჯერობით ჩვენთვის მიუწვდომელ აკაკის მასალებში, (რაც ავტოგრაფების სახით მოიპოვება კერძო პირთა ოჯახებში) მაგრამ ჯერჯერობით ჩვენს მიერ მხოლოდ პოემის ეს ვარიანტი იქნა შენიშნული.

იხილეთ მარჯვენა მხარე

იხილეთ
11 მარტი 1940
ქართული საბჭოთაო
საბჭოთაო მთავრობის
წინამძღვარი
„ს. წიგნი“ № 5 111

1940
11 მარტი 1940
11 მარტი 1940
11 მარტი 1940

**1940 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გაგონდის
ყოველთვიურად**

ხელის მოწერის პირობები

წლიურად 18 მან.
ნახევარი წლით 9 „
ცალკე ნომერი 1 მ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩა-
ტის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

№ 1 0. 50 ლ.

პ. 553
1940



Ежемесячный журнал

„ЧВЕНИ ТЛОБА“

Сахелгами 1940 г. Тбилиси